საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# Ronal D'OR

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
14 იანვარი **სამშაბათი** 2014
№ 006 (14 227) ფასი 80 თეთრი

# კრიშტიანო რონალდო
## 2013 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია



9

## ქართველთა არჩევანი





თემურ ქეცბაია: 1. რიბერი, 2. მესი, 3. რონალდო

ჟაბა კანკავა: 1. ინიესტა, 2. პირლო, 3. კავანი

*სკანდალი*

## ქართველი მოჭიდავეები დოპინგზე ჩავარდნენ

ევროპის ჩემპიონი გიორგი ელიზბარაშვილი და ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ლევან არაბული დისკვალიფიკაციას ელიან

11

## თანამედროვე ლეკიანობა

ბეთქილ შუკვანი აზერბაიჯანის ნაკრებში წავიდა

11





5

## ალეგრი წარსულია

მილანში ხუთშაბათს სეედორფს ელიან

ტრანსფერი

# კვასხვაძემ ტორპედო აირჩია

## ...მაგრამ გული მაინც უცხოეთისკენ მიუწევს

როინ კვასხვაძე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეა. გერმანული სამენეჯერო სააგენტო „ტრანსფერმარკტი" მის ტრანსფერს 700 ათას ევროდ აფასებს, რაც უმაღლეს ლიგაში დასაქმებულისთვის იშვიათი დაფასებაა - უფრო ძვირადღირებული ორიოდე ფეხბურთელი თუ იქნება. 25 წლის გამოცდილ მეკარეს ეროვნულ ნაკრებში მუდმივად იძახებდნენ, თუმცა მხოლოდ ორ ოფიციალურ შეხვედრაში უთამაშია, მათ შორის - თბილისში, ესპანეთის წინააღმდეგ. იყო საქართველოს 17, 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების უცვლელი პირველი ნომერი. 155 მატჩით „ზესტაფონის" რეკორდსმენი გახდა. მას შემდეგ, რაც კვასხვაძეს „ზესტაფონთან" კონტრაქტი ამოეწურა და თავისუფალი აგენტი გახდა, თავად დაადასტურა, რომ გუნდში 8-წლიანი კარიერა დასრულა. თუ სად ითამაშებს ეროვნული გუნდის მეკარე, ამის შესახებ ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:



როინ კვასხვაძე

**- მართალია, რომ ქუთაისის „ტორპედოში" გადახვედით?**

- ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ დავილაპარაკეთ და დიდი ალბათობაა, რომ მაისამდე სწორედ „ტორპედოში" ვითამაშო.

**- უცხოეთში წასვლის შანსი არ გქონდათ?**

- ვარიანტები იყო. „ტორპედოს" გარდა, სხვა ქართული გუნდებიც მიწვევდნენ. მაგრამ, რადგან მაისში უცხოეთში წასვლა მინდა, დროებით აქ დარჩენა ვამჯობინე.

**- უცხოეთში ახლა რატომ ვერ მიდიხართ?**

- ტრანსფერი მაისში უფრო რეალური იქნება.

**- თქვით, რომ საქართველოში სხვა გუნდებიც გიწვევდნენ - თბილისის „დინამოს" გულისხმობთ?**

- დიახ, „დინამო" მიწვევდა. ჩემთვის ასეთი კლუბისგან დაინტერესება სასიხარულო იყო.

**- მაშინ რატომ თქვით უარი?**

- საქართველოში დარჩენა აღარ მსურს, მაისამდე ვიქნები და მერე აუცილებლად უნდა წავიდე.

**- „ზესტაფონში" თამაში თავიდანვე გამორიცხეთ?**

- არა, რატომ? ვილაპარაკეთ, მაგრამ ფინანსურ საკითხებზე ვერ შევთანხმდით და წასვლა ვამჯობინე.

*შეგახსენებთ, რომ როინ კვასხვაძეს მშობლიური ქუთაისის გუნდში არასოდეს უთამაშია: 2003-05 წლებში „თბილისის" დუბლებში გამოდიოდა, 2005 წელს კი „ზესტაფონში" ჩაირიცხა, სადაც ბოლო 4 წელი უცვლელი პირველი ნომერი გახლდათ.*

**მერაბ მამულაშვილი**

ჩიხურა

# რეხვიაშვილი დინამომ დაიბრუნა

## ფრუიძე ტატანაშვილის შემცვლელსაც ეძებს

„ჩიხურამ" მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო. საჩხერეს ნაცვლად, გუნდი თბილისში ვარჯიშობს. ეს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფრუიძემ** გვითხრა.

*„მოთამაშეები 10 იანვარს თბილისში შევკრიბეთ. ფიზიკური კონდიციების აღსადგენად მოთამაშეებს დილით თბილისის ზღვაზე ვტვირთავთ, ხოლო ბურთით ვარჯიშები საღამოს „მარაკანაზე" გვაქვს, რომლის საფარიც უკვე მოთხოვნებს პასუხობს. სად გავივლით შეკრების დარჩენილ ნაწილს, ეს ჯერ არ შემიძლია გითხრათ, რადგან ჩვენი ბიუჯეტი საბოლოოდ არ დამტკიცებულა. 2 მილიონი ლარის პროექტი არსებობს, მაგრამ ზუსტი პარამეტრები მალე გვეცოდინება. თუ ნორმალური ბიუჯეტი გვექნა, მაშინ 24 იანვრიდან 6 თებერვლამდე მოსამზადებლად თურქეთში გავემგზავრებით"*, - ამბობს ფრუიძე.



გიორგი რეხვიაშვილი

„ჩიხურას" მთავარი მწვრთნელის თქმით, დღეისთვის გუნდში მნიშვნელოვანი და მასშტაბური ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირის, „ზესტაფონში" გადასული **დიმა ტატანაშვილის** გარდა, გუნდს კიდევ ერთი ლიდერი დააკლდა, რაც საჩხერელებისთვის მტკივნეული დანაკლისი აღმოჩნდა:

*„სამწუხაროდ, გიორგი რეხვიაშვილი თბილისის „დინამოს" დაუბრუნდა. ის ჩვენთან იჯარით თამაშობდა და თბილისელებმა დაიბრუნეს. ჯაბა ჯილაური კი, ალბათ, ისევ ჩვენთან ითამაშებს".*

ვინ შეცვლის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ ტატანაშვილსა და „დინამოში" დაბრუნებულ **გიორგი რეხვიაშვილის?** ფრუიძეს ამის შესახებაც ვკითხეთ:

*„ცხადია, რეხვიაშვილისა და ტატანაშვილის შემცვლელის მოძებნა დაგვჭირდება. თავდამსხმელის პოზიციაზე რამდენიმე მოთამაშის კანდიდატურას განვიხილავთ, რამდენიმესთან მოლაპარაკება გვაქვს და მალე გვეცოდინება, ვის დავიმატებთ. სხვა ჯერ არც წასულა და არც მოსულა".*

**მერაბ მამულაშვილი**

U 17

# ზავი ბელარუსამდე

გუშინ „ბენდელას" სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა გაიმართა - პირველი ლიგის „საბურთალომ" **ნოდარ აკობიას** გაწვრთნილ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს უმასპინძლა. სპარინგი უხვგოლიანი გამოდგა - 3:3.

| საბურთალო-U17 | 3:3 |
|---|---|

**1:0 ხარაიშვილი (13), 1:1 მიქელთაძე (25), 1:2 ჯობავა (45-პენ), 2:2 მამუჩაშვილი (55), 2:3 ალთუნაშვილი (61), 3:3 ხორხელი (78)**

საბურთალო: **კუპატაძე, მარგველაშვილი, ტაბიძე, ბარამიძე, თევზაძე, მამუჩაშვილი, გოშთელიანი, ხარაიშვილი, წივილაშვილი, გოცირიძე, ლორენცო.** შეცვლაზე შევიდნენ: **ბეროშვილი, ჩომახიძე, ნადარაია, გვარაძე, მამუჩიშვილი, ბიძინაშვილი, ბლიაძე, ალენი, ხორხელი, ჩაბრაძე, გოშაძე.**

U 17: **კულუა, კაპანაძე, კაციტაძე, კომახიძე, კევლიშვილი, კიკნაძე, მიქელთაძე, ჯობავა, ქობულაძე, კამლაძე, ლაშხია.** შეცვლაზე შევიდნენ: **ართმელაძე, ალთუნაშვილი, ლებანიძე, ქურდაძე.**

შეგახსენებთ, რომ 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის ემზადება. ტურნირს მარტში სერბეთი გაუწევს ორგანიზებას. მასპინძელი ქვეყნის გუნდთან ერთად ჩვენს ჯგუფში გერმანელები და ირლანდიელებიც არიან.

აკობიას გუნდი შეკრებას „ბასაზე" გადის. 17 იანვარს პატარა „ჯვაროსნები" მინსკში გაემგზავრებიან, სადაც ყოველწლიურ, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. B ჯგუფში ქართველები ირანელ და ყაზახ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. ბელარუსში წამსვლელ ფეხბურთელთა საბოლოო სიას ნაკრების მთავარი მწვრთნელი დღეს დაასახელებს.

**მერაბ მამულაშვილი**

პერიფერიული კალეიდოსკოპი

# კერა არ უნდა გაცივდეს...

ფეხბურთი თუ გინდა, ამისი კერა უნდა არსებობდეს. საქართველოში ეს საქმე ასეთნაირად იყო მოწყობილი - ეროვნული ჩემპიონატის გულისფეთქვა პერიფერიებში იყო, დედაქალაქში კი საფეხბურთო ხმები ოდენ ევრომატჩებზე ისმოდა.

და რა ვითარებაა ამ დროისთვის?

მივყვეთ ლიხსაქედან. იყო დრო, ბოლნისში 3-4 ათასი ქომაგი იყრიდა თავს თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე. ქალაქის ხელმძღვანელობას ფეხბურთი ძალიან უყვარდა და „სიონისთვის" თანხებს არ იშურებდა, იყო სპონსორული შემოსავლებიც, მაგალითად, „მადნეულისგან".

ბოლნისი გერმანელი ტყვეების მიერ აშენებული ქალაქია, როგორც ამბობენ - შვაბების. კარგი რქაწითელი ბოლნისის რაიონშიც მოდიოდა. თამაშის დღეს, ღვინო მატჩის წინაც ისმებოდა, ხოლო თუ „სიონი" მოიგებდა, ქეიფი გრძელდებოდა. ამ გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები იყრიდნენ თავს და ბოლნისიდან ქულის წაღება ნებისმიერი გუნდისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი იყო.

„სიონმაც" მიაღწია გარკვეულ წარმატებებს, ითამაშა ევროსარბიელზე, გახდა საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ ბოლნისში საფეხბურთო კერა ნელ-ნელა ქვრებოდა, შესაძლოა იმტომაც, რომ სიღარიბემ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ხალხი იქაც დაჩაგრა, სტადიონზე მისვლის ხალისი თითქმის გაუნელა...

ბოლნისელებს ახლა კარგი გუნდი ჰყავთ. „სიონი" ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა, თასის გათამაშებიდან „ზესტაფონი" გამოთიშა, მაგრამ ის საფეხბურთო ჟრიამული ბოლნისში აღარ არის, რაც ადრე იყო...

ბოლო პერიოდში გორის „დილა" მოღონიერდა, შარშან რიგიანადაც ითამაშა ევროსარბიელზე. გუნდის განკარგულებაშია განახლებული სტადიონი კარგი საფარით, მაგრამ კლუბს სტაბილური დაფინანსება არ აქვს და ასეთ დროს ძალიან ძნელია ძლიერი კერის შექმნა.

ამ ცოტა ხნის წინ საჩხერის „ჩიხურამ" სუპერთასი მოიგო, ევროპალიგის საკვალიფიკაციოზეც ითამაშა, მაგრამ კლუბის ბიუჯეტის ზრდა ჯერ არ ჩანს, არადა, ამ რეგიონში ფეხბურთი ძალიან უყვართ. რამდენიმე თვის წინ გახლდით ივანწმინდაში. იქაურ სტადიონზე პირველად მიწევდა მისვლა. სოფლის მოსახლეობამ მყის შეგვნიშნა და მიხვდა, რომ ფეხბურთის საყურებლად ვიყავით ჩასულები. სრულიად უცხოებს შინ გვეპატიჟებოდნენ, თამაშის დაწყებამდე რამდენიმე ჭიქის დალევასაც მოვასწრებთო. მოკლედ, კერა იქაც გაჩნდა, ოღონდაც, ამ ყველაფერს გაღვივება სჭირდება. „ჩიხურა" ახლა მეორე ადგილზეა ჩემპიონატში. როგორც ალან შირერი იტყოდა - იყო მეორე, იგივეა, რომ იყო - ხელმოცარული...

მას შემდეგ, რაც ქუთაისის „ტორპედო" კომპანია „ვისოლის" ხელში აღმოჩნდა, გუნდი მოწინავეთა მარაქას დაუბრუნდა. „ტორპედოს" არ ჰქონია ისეთი დიდი დაფინანსება, რაც ორი წლის წინათ ჰქონდათ „დინამოსა" და „დილას", თუმცა მაინც ტოლ-სწორად ეთამაშებოდა ამ გუნდებს. ქუთაისში ხელახლა გაღვივდა საფეხბურთო კერა. ამ ქალაქში ფეხბურთი ხომ მართლაც განსაკუთრებულად უყვართ, მაგრამ „ვისოლმა" ჯერ დაფინანსება შეუმცირა „ტორპედოს", მერე კი პროფესიული კლუბისგან განზე ყოფნა არჩია. „ტორპედოში" მწვრთნელად **რევაზ ძოძუაშვილი** დაბრუნდა, თუმცა მხოლოდ სახელიანი მწვრთნელი საქმეს ვერ უშველის - კარგი დაფინანსების გარეშე ქუთაისში ის საფეხბურთო კერა ვერ აღორძინდება, როცა გუნდი 2000-02 წლებში სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

ბათუმის „დინამო" და ფოთის „კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში აღარ თამაშობენ. ვნახოთ, თუ ზღვისპირეთის გუნდები ჯეროვნად მოფულიანდებიან, ტრადიციები ნამდვილად უწყობს ხელს საფეხბურთო კერის ასაღორძინებლად.

საფეხბურთო ტრადიციებით თავს ლანჩხუთის „გურიაც" მოიწონებს, თუმცა იმდენი პრობლემა დაუგროვდა, ჯერ ზუსტად არავინ იცის, რა და როგორ იქნება.

დარჩა „ზესტაფონი", რომელმაც მეტ-ნაკლებად მძლავრი სატრანსფერო პოლიტიკა განახორციელა და ყველაფერი იქითკენ მიჰყავს, რომ მალე მხოლოდ ტიტულებისთვის და ევროსარბიელზე ღირებული წარმატებისთვის იბრძოლოს.

ქალაქის ხელმძღვანელობამ მზადყოფნა გამოთქვა, რომ „ზესტაფონის" ინფრასტრუქტურას დაახლოებით 300 000 ლარით შეეწიოს, რაც უკვე მნიშვნელოვანი შეღავათია კლუბის მფლობელისთვის. პოტენციურად, „ზესტაფონი" დღეს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში და იმედია, სტადიონისკენ კვლავაც ბევრ ქომაგს მიიზიდავს.

**დავით თავართქილაძე**

დილა

# ხიზანეიშვილი დარჩა

**ოთარ ხიზანეიშვილი** კარიერას კვლავ გორის „დილაში" გააგრძელებს. არადა, 33 წლის მცველს დეკემბერში რამდენიმე გუნდში იწვევდნენ.

*„კონტრაქტი დამიმთავრდა და რალაც ვარიანტები მართლაც შემომთავაზეს. მაგრამ მზადება ისევ „დილაში" დავიწყე და თუ რამე სასწაული არ მოხდა, ზაფხულამდე გორში დავრჩები"*, - ამბობს ხიზანეიშვილი.

გამოცდილი მცველის აზრით, გორელებმა საშემოდგომო ეტაპი წარმატებით ჩაატარეს: *„ევროპალიგის შემდეგ გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა, წავიდნენ მთავარი მწვრთნელი და ლიდერები - ილურიძე და გვალია. ცხადია, ამან ჩვენზე გავლენა მოახდინა და პატარა ჩავარდნაც გვქონდა. მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ წარუმატებელი სეზონი გვქონდა. იმ სიტუაციაში პირველი წრის მე-3 ადგილზე დასრულება კარგი შედეგია. თავიდან ხომ ჩვენი მიზანი სწორედ სამეულში მოხვედრა იყო".*

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# კახა ალადაშვილი სკა-ენერგიაში გადავიდა

გორის „დილას" 32 წლის ფეხბურთელი **კახა ალადაშვილი** ხაბაროვსკის „სკა-ენერგიას" შემადგენლობაში ისრაელის შეკრებაზე იმყოფება - იტყობინება „ამურ პრესი". ის ერთადერთი ქართველი არაა, რომელიც **გოგიტა გოგუასა** და **გიორგი ნავალოვსკის** გუნდში ჩაირიცხა. აი, რას წერს „ამურ პრესი":

*„ქართველ ნახევარმცველ გოგიტა გოგუას შეკრებაზე არყოფნის მიზეზი გარკვეულია. ვახარებთ ხაბაროვსკელ ფანებს - ის არ აპირებს „სკა-ენერგიას" დატოვებას. მისი არყოფნა მამის ავადმყოფობითაა გამოწვეული. „სკა-ენერგიასთან" ერთად ახალი ფეხბურთელებიც წავიდნენ შეკრებაზე, მათ შორის - ალექსანდრე ვერულიძე, ცნობილი მსაჯის ლაშა ვერულიძის ვაჟი, სანდრო ცვეიბა, ცნობილი ფეხბურთელის ახრიკ ცვეიბას ვაჟი. კიდევ ერთი ფეხბურთელი - მცველი ალადაშვილი, ძალიან გამოცდილია და თამაშის მანერით ნავალოვსკის ჰგავს".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გურია

# ვინ იქნება მთავარი?

„ლელო“ ოპერატიულად წერდა, რომ „გურიას“ მთავარ მწვრთნელად **დავით მახარაძე** დაინიშნა. მართალია, ეს ფაქტი თავად მწვრთნელმაც დაგვიდასტურა და ინფორმაცია კლუბის დირექტორატიდანაც გავრცელდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მახარაძე მწვრთნელად დანიშნული არ არის! ამის მიზეზი კი შეუთანხმებლობა აღმოჩნდა - როგორც გახსოვთ, მხარის გუბერნატორმა კლუბის მესვეურებს მთავარ მწვრთნელად ადგილობრივი კადრი **თემურ ლორია** შესთავაზა, თუმცა რეგიონის პირველკაცის გზავნილი ლანჩხუთში ყურად არ იღეს და სასწრაფო წესით მახარაძე დააბრუნეს. ეს ის მახარაძეა, რომლის თავკაცობითაც „გურიამ“ ერთმანეთის მიყოლებით დაიბრიყვა ლიდერები, თუმცა ისე ჩაანაცვლეს **რომან პოკორათი,** ეს ამბავი გაზეთიდან გაიგო. ბოლოს მახარაძე იმაზეც იყო განაწყენებული, რომ კლუბი მოლაპარაკებას **გიგლა იმნაძესთან** აწარმოებდა.

სხვათა შორის, მახარაძეს მხარდაჭერა გამოუცხადა ლანჩხუთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **თემურ ჩხაიძემ,** რომელმაც ადგილობრივ მედიასთან კომენტარში აღნიშნა, რომ მწვრთნელს დიდი დამსახურება აქვს და მას მხარს უჭერს.

„გურიასთან“ დაკავშირებული ამბები სულ უფრო მწვავდება და არა მარტო ლანჩხუთის, არამედ სპორტის ფარგლებსაც სცდება. დაპირისპირებაში უკვე „ჩართეს“ გურიის გუბერნატორი **გიორგი ჩხაიძე,** უკვე ღიად გამოჩნდა მაჟორიტარი თემურ ჩხაიძეც.

გიორგი ჩხაიძემ ლანჩხუთის ფეხბურთის მესვეურებთან შეხვედრისას მხარეებს გუნდთან დაკავშირებული ხედვების ჩამოყალიბება მოსთხოვა და უმწვრთნელოდ დარჩენილ კლუბს თემურ ლორიას მოსმენა შესთავაზა. ანუ, ამით გუბერნატორმა მიანიშნა - ორი ჩამოყვანილი მთავარი მწვრთნელისთვის 5500 ლარის გადახდას, სჯობს, ადგილობრივი კადრი დავასაქმოთ, რომელიც თანახმაა 1500 ლარადაც იმუშაოს და თან შესაბამისი ლიცენზიაც აქვსო.

ჰოდა, ამის შემდეგ თემურ ჩხაიძემ მახარაძის მთავარ მწვრთნელად დაბრუნებას დაუჭირა მხარი, რაც, თავისთავად, გუბერნატორის მოსაზრების მინიმუმ უპატივცემულობად იქნა აღქმული. თუმცა მაჟორიტარს თავის მართლებაც შეუძლია - ის გუბერნატორთან შეხვედრას არ ესწრებოდა.

აქვე, რეგიონის პირველკაცის ფინანსურ გზავნილებსაც გეტყვით. უკვე ვწერდით, რომ მან ოფიციოზს ფულის დაზოგვა მოსთხოვა და ურჩია, ანტალიაში შეკრების მოწყობას ადგილზე მომზადება სჯობს და თანხის სხვაობა გრიგოლეთის ბაზას მოვახმაროთო. ამ კუთხით ერთი საინტერესო დეტალიცაა - როგორც გვითხრეს, „გურიას“ პირველ ეტაპზე გრიგოლეთში ყოფნა 40000 ლარი დაუჯდა და გუბერნატორი, ალბათ, ამ მხრივაც იტყვის შენიშვნას - აქაოდა, სჯობდა, ეს ფული სასტუმროს ნაცვლად ისევ ბაზის კეთილდღეობას მოხმარებოდა და თუნდაც გუნდისთვის საკმარისი ოდენობის ოთახები გარემონტებულიყო!

მოკლედ, მას შემდეგ, რაც გუბერნატორმა „მესიჯები“ დატოვა, მეორე დღესვე სასწრაფოდ მახარაძე დაინიშნა მთავარ მწვრთნელად, თანაც მას შემდეგ, რაც წინა დღეს მწვრთნელმა „გურიის“ მესვეურები ერთ-ერთ გამოცემასთან ინტერვიუში ლამის მიწასთან გაასწორა.

მოკლედ, ახლა „გურიას“ თავკაცის პოსტზე სამი კანდიდატურა განიხილება: დავით მახარაძე, გიგლა იმნაძე, თემურ ლორია. თუ განვითარებული მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, უპირატესობა ამ უკანასკნელს აქვს.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება

მეტალურგი

# ამბიცია და მიზეზები

სეზონის დაწყებამდე ბევრს მიაჩნდა, რომ რუსთავის „მეტალურგს“, „მთლად“ ჩემპიონობისთვის თუ არა, საპრიზო ადგილებისათვის უნდა ებრძოლა. ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს კი კლუბის სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობასთან ერთად, მაღალი (გნებავთ - ამბიციური) მიზნების „შესაფერისი“ კონტინგენტიც იძლეოდა: ისედაც არცთუ ურიგო ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „მეტალურგში“ სეზონის დაწყების წინ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე 7 მეტ-ნაკლებად ცნობილი ახალწვეული ჩაირიცხა, კიდევ სამი მოთამაშე კი გუნდს უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობისას დაემატა.

ახალი სეზონის დაწყებისას ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართული კლუბი სხვა საკადრო ცვლილებებითაც შეხვდა: კლუბში ახალი დირექტორი (ზაზა დოლიძე) და ახალი მთავარი მწვრთნელი (გელა სანაია) მივიდნენ.

...ამბიციურ გუნდს სტარტი ურიგო ნამდვილად არ ჰქონია: ქუთაისში ზედიზედ ორი სტუმრობიდან (ჯერ - „ტორპედოსთან“, მერე - „ჩიხურასთან“) „მეტალურგმა“ ოთხი ქულა „წამოიღო“; თუმცა, ამას მოჰყვა არასტაბილური პერიოდი: „მეტალურგი“ ვერაფრით ახერხებდა ზედიზედ ორ მატჩში გამარჯვებას. განსაკუთრებით წარუმატებლად კი რუსთაველთა გუნდი სტუმრად ასპარეზობდა: „დილასთან“, „გურიასთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩატარებულ სამ საგარეო შეხვედრაში „მეტალურგმა“ სამივეში მარცხი ხომ განიცადა, ამასთან საკუთარ კარში 11 ბურთიც მიიღო! თუმცა, სეზონის შუაგულისკენ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: 20 ოქტომბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, „მეტალურგმა“ ჩემპიონატში ხუთმატჩიანი სერია „გამოაცხო“, პლუს უპრობლემოდ შეძლო თასის მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებაც.

და აი მაშინ, როცა გუნდის სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, კიდევ ერთი კრიზისული პერიოდი დადგა: პირველი ეტაპის დასკვნით ხუთ შეხვედრაში „მეტალურგმა“ მხოლოდ 4 ქულის მოპოვება შეძლო. ანუ, გუნდმა საშუალედო ეტაპი ზედა ექვსეულში კი დაამთავრა, მაგრამ იქ დასამკვიდრებლად კონკურენციაც დიდია და დარჩენილი მატჩების კალენდარსაც ნამდვილად ვერ ვუწოდებთ იდეალურს. მაინც, რა იყო ასეთი ამბიციური გუნდის არასტაბილურად ასპარეზობის მიზეზი?

უპირველეს ყოვლისა, ალბათ, საკადრო პრობლემები უნდა ვახსენოთ: წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების გამო გელა სანაიას, ფაქტობრივად, არც ერთ მატჩში არ მისცემია ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა.

ჰო, დისკვალიფიკაციები შემთხვევით არ გვიხსენებია: არბიტრები ერთობ მკაცრად აფასებდნენ „მეტალურგის“ ფეხბურთელთა ქმედებებს და წითელ-ყვითელ ბარათებსაც არ იშურებდნენ. ამას გარდა, „მეტალურგის“ ხელმძღვანელობას, სამწვრთნელო შტაბს, ფეხბურთელებსა თუ რუსთაველ ქომაგებს, საერთოდაც, მთელი სეზონის განმავლობაში არაერთი პრეტენზია ჰქონდათ მსაჯების მიმართ.

და კიდევ ერთი, თანაც არცთუ უმნიშვნელო მიზეზიც: საჯაროდ არ ცხადდებოდა, თუმცა „დაფარულად“ მაინც ლაპარაკობდნენ. „მეტალურგის“ გაუარესებულ ფინანსურ მდგომარეობაზე; უფრო ზუსტად, კლუბის მთავარი სპონსორის, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მიმდინარე არცთუ სასურველმა პროცესებმა აშკარად ნეგატიური გავლენა იქონია გუნდზეც...



გრიგოლ ბედიაშვილი

## მეკარე

წინა სეზონში „მეტალურგს“ სამი გამოცდილი და თანაბარი კლასის მეკარე (**გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, მიხეილ ალავიძე**) ჰყავდა. ამათგან „მეტალურგში“ მხოლოდ 33 წლის ბედიაშვილი დარჩა, ვინც მშობლიური ქალაქის გუნდის ძირითადი მეკარის სტატუსს მეოთხე სეზონია ინარჩუნებს. ორი მატჩი ჩაატარა ძირითადში გუნდის ახალწვეულმა, 27 წლის **კოკა სეფიაშვილმა.**

## დაცვა

ზემოხსენებული ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების გამო ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, „მეტალურგის“ დაცვის ხაზში მოასპარეზე ერთი და იგივე ოთხეულს ზედიზედ ორ მატჩში ეთამაშა! ანუ, გელა სანაიას იძულებითი როტაციის მოხდენა ყველაზე ხშირად, სწორედ ამ რგოლში უწევდა. ასე მაგალითად, გარკვეული პაუზის მერე გუნდში დაბრუნებულ 31 წლის **სერგი ორბელაძეს** ხან მარჯვენა მცველის ფუნქციების შესრულება უწევდა, ხან - ცენტრალური მცველის.

დაცვის ორივე ფლანგზე ეხედავდით 28 წლის **ლაშა ჯაფარიძეს,** რომელსაც ტრავმის გამო ბევრი მატჩი გაუცდა; ორჯერ გაიძევეს მოედნიდან 24 წლის **გიორგი გავაშელიშვილი** და ამის გამოც, ამპლუით ცენტრალურმა მცველმა, ფაქტობრივად, ნახევარი ეტაპი გამოტოვა; წინა სეზონისგან განსხვავებით, ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი ფეხბურთელის „სტატუსი“ დაკარგა 25 წლის **ანზორ სუხიაშვილმა,** ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო ქართველი ფეხბურთელი, 23 წლის **ლევან კაკუბავა** ტრავმებს ვერც თავის ახალ გუნდში გაექცა.

დაცვის რგოლში ყველაზე სტაბილურად ზემოთნახსენებ სერგი ორბელაძესთან ერთად გუნდის კაპიტანმა, 35 წლის **მიხეილ მახვილაძემ** იასპარეზა, რომელიც ასევე ვერ გადაურჩა დისკვალიფიკაციებს.

## ნახევარდაცვა

ტრავმების გამო ბევრი გაუცდა ორ გამოცდილ შუახაზელს: 33 წლის შემტევ ნახევარმცველს **ლევან კორღალიძეს** და 28 წლის მარცხენა გარემარბს **რევაზ გეწაძეს;** სამაგიეროდ, პირველ ეტაპზე თითქმის ყველა მატჩი ძირითადში ჩაატარეს ახალწვეულებმა, 24 წლის საყრდენმა **გურამ გურეშიძემ** და 21 წლის სწრაფმა მარჯვენა გარემარბმა **დავით კორკიტაძემ.**

როგორც ყოველთვის, შეუცვლელი ფეხბურთელის სტატუსი ჰქონდა გამოცდილ საყრდენს, 30 წლის ლუკა რაზმაძეს, აი, რუსთავის საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა, 24 წლის **გიორგი ქავთარაძემ** ტრავმის გამო ბევრი მატჩი გამოტოვა.

ფაქტობრივად, არ უწევდათ თამაში ახალწვეულებს, 24 წლის **გიორგი ვასაძესა** და მის თანატოლს **დავით მაისაშვილს;** ისევე როგორც „მეტალურგის“ ყველაზე სტაჟიან წევრს **დენის დობროვოლსკის.** თუმცა ამ 28 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა „ჩიხურასთან“ საშინაო შეხვედრაში (24 ნოემბერს) 45 მეტრიდან (!) ისეთი გოლი გაიტანა, „სეზონის საუკეთესო გოლის“ ნომინაციაში ჯერჯერობით რომ უკონკურენტოა!..



ლუკა რაზმაძე

## თავდასხმა

წესითა და რიგით, გუნდის უძლიერესი რგოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში „მეტალურგის“ ფორვარდები დისკვალიფიკაციებს თუ გადაურჩნენ, აი, ტრავმებს თავი ვერაფრით დააღწიეს.

თავად განსაჯეთ: გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა და საკვანძო ფეხბურთელმა, 28 წლის **გოგა ფიფიამ** მხოლოდ 11 მატჩი ჩაატარა, კიდევ ერთმა წამყვანმა მოთამაშემ და „მეტალურგში“ გარკვეული პაუზის მერე დაბრუნებულმა 27 წლის ცენტრფორვარდმა **გიორგი ბერიაშვილმა** კი - 10. რუსთაველ ქომაგთა სამწუხაროდ, პირველ ეტაპზე ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანეს „მეტალურგის“ ფორვარდებმა, 23 წლის **ირაკლი სიხარულიძემ** და 24 წლის **ბექა ტულუშმა.**

სამაგიეროდ, ჩინებული დებიუტი ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატში ტანმაღალ ფორვარდს, 23 წლის **გიორგი ჩირგაძეს,** რომელიც „მეტალურგში“... ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადმოვიდა.

## საუკეთესო მატჩი

პირველ ეტაპზე „მეტალურგს“ რომ სტაბილურად ეასპარეზა, ალბათ, ბევრად უფრო მეტი ქულაც ექნებოდა; თუმცა, გუნდმა რამდენიმე გამორჩეული მატჩი მაინც ჩაატარა: მეორე ტურში სტუმრად „ჩიხურასთან“, შინ - „მერანთან“ და „გურიასთან“. ეს სამივე შეხვედრა „მეტალურგის“ გამარჯვებით დამთავრდა, განსხვავებით „დინამოსთან“ საშინაო მატჩით.

თუმცა, სწორედ მოქმედ ჩემპიონთან დაპირისპირება მიგვაჩნია პირველ ეტაპზე „მეტალურგის“, უდავოდ საუკეთესო შეხვედრა! გეხსომებათ, ალბათ, 3 ნოემბერს რუსთავში ჩატარებული მატჩის მერე „დინამოს“ იმდროინდელმა თავკაცმა **დუშან უჰრინმა** გულახდილად რომ თქვა: დღეს, ჩემმა გუნდმა ქულა მოიპოვაო...

## ყველაზე ცუდი მატჩი

ამბიციური მიზნების მქონე გუნდისათვის 18 მატჩში 6 წაგება, ვფიქრობთ, ცოტა ნამდვილად არ არის; თანაც, ამ წაგებული შეხვედრებიდან რამდენიმე მართლაც მტკივნეული იყო, მაგალითად, „დილასთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ დიდი ანგარიშით მარცხი.

## მიზანი

ისე როგორც უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობაში, პირველი ეტაპის შემდეგ „მეტალურგშიც“ სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა; უპირველესად, იმას ვიტყვით, რომ გუნდის გაძღოლა ადგილობრივ კადრს, **ვარლამ კილასონიას** დაევალა, რომელიც ბოლო წლები ერთობ წარმატებულად მუშაობდა რუსთავის ბავშვთა ფეხბურთში და რომელიც „მეტალურგს“ მთავარი მწვრთნელის რანგში ოთხწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

კილასონიას არცთუ სახარბიელო სიტუაციასთან მოუწევს გამკლავება: იმის გამო, რომ კლუბის ბიუჯეტი პირველ ეტაპთან შედარებით შესამჩნევად შემცირებულია, წამყვანი ფეხბურთელების დიდმა ჯგუფმა „მეტალურგი“ უკვე დატოვა. არადა, იმ დარჩენილი ოთხი მატჩიდან რუსთაველებს ორი უშუალო კონკურენტთან („ვიტ ჯორჯია“, „სიონი“) აქვთ, ერთიც - „დინამოსთან“, თანაც, შარშანდელი სათასო ნახევარფინალის მსგავსად, „მეტალურგს“ არც ამჯერად არ გაუმართლა თასის წილისყრისას: მეოთხედფინალში მეტოქედ მაინცდამაინც „დინამო“ ერგო...

**გია ტუხაშვილი**
ნინო გელაშვილის ფოტოები

## მეტალურგის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

I ეტაპი: 18 მატჩი, 7 მოგება, 5 ფრე, 6 წაგება, ბურთები: 23-23, ადგილი - V

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ტორპედო-მეტალურგი | 1:1 |
| II ტური | ჩიხურა-მეტალურგი | 2:3 |
| III ტური | მეტალურგი-ზესტაფონი | 0:0 |
| IV ტური | დილა-მეტალურგი | 3:0 |
| V ტური | მეტალურგი-სპარტაკი | 1:0 |
| VI ტური | გურია-მეტალურგი | 3:1 |
| VII ტური | მეტალურგი-ზუგდიდი | 1:0 |
| VIII ტური | ვიტ ჯორჯია-მეტალურგი | 5:2 |
| IX ტური | მეტალურგი-მერანი | 6:1 |
| X ტური | სიონი-მეტალურგი | 0:1 |
| XI ტური | მეტალურგი-დინამო | 0:0 |
| XII ტური | მეტალურგი-ტორპედო | 2:1 |
| XIII ტური | მეტალურგი-ჩიხურა | 1:1 |
| XIV ტური | ზესტაფონი-მეტალურგი | 2:1 |
| XV ტური | მეტალურგი-დილა | 1:1 |
| XVI ტური | სპარტაკი-მეტალურგი | 2:0 |
| XVII ტური | მეტალურგი-გურია | 3:1 |
| XVIII ტური | ზუგდიდი-მეტალურგი | 1:0 |

### მეტალურგი 2013/14

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი- 16 (-21 გოლი), კოკა სეფიაშვილი-2 (-2 გოლი);

მცველები: სერგი ორბელაძე-16, მიხეილ მახვილაძე-15, ლაშა ჯაფარიძე-11, ლევან კაკუბავა-11 (1), ანზორ სუხიაშვილი-11, გიორგი გავაშელიშვილი -9 (1), თედო კაკულია-3;

ნახევარმცველები: გურამ გურეშიძე-18, დავით კირკიტაძე-17 (3), ლუკა რაზმაძე -16 (3), რევაზ გეწაძე-14 (2), გიორგი ქავთარაძე-12, ლევან კორღალიძე-12 (2), დენის დობროვოლსკი-9 (1), დავით საჯაია-5 (2), გიორგი ვასაძე-3, დავით მაისაშვილი-3, ირაკლი გოგინაშვილი-2;

თავდამსხმელები: გოგა ფიფია-11 (2), გიორგი ბერიაშვილი-10 (2), ირაკლი სიხარულიძე-10, გიორგი ჩირგაძე-8 (3), ბექა ტულუში-6.

● კლუბი და ფეხბურთელი



გივი კვარაცხელია

# კვარაცხელიას პრეცედენტი სამაგალითო უნდა გახდეს

დეკემბერში თბილისის „დინამოდან“ რამდენიმე მოთამაშე გაუშვეს, რამდენიმეც ტრანსფერზე დააყენეს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის დამფუძნებელმა **ბესიკ აბაშიძემ** მოთამაშეები გააფრთხილა, რომ კონტრაქტის შეწყვეტის მოტივით კლუბის მიერ შეთავაზებულ დოკუმენტებზე ხელი არ მოეწერათ. აბაშიძემ გააფრთხილა „დინამოც“, რომ ფიფას გადაწყვეტილებით, ფეხბურთელისთვის მოქმედი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო, კლუბებს ფინანსური სანქცია ეკისრებათ.

საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტის თქმით, მიმართვას, ჯერჯერობით, მხოლოდ ასოციაციის წევრი და „დინამოს“ გამოცდილი ცენტრალური მცველი **გივი კვარაცხელია** გამოეხმაურა და საბოლოოდ, მისი საკითხი სადავო და საკამათო არ გამხდარა.

*„კვარაცხელიასა და კლუბის მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო და ორმხრივი შეთანხმებით, 2014 წლის ზაფხულამდე მოქმედი ხელშეკრულება შეწყდა. ფეხბურთელმა გათავისუფლების ფურცელი მიიღო და კომპენსაციის სახით, კლუბი მას ხელშეკრულების ბოლომდე დარჩენილ ხელფასს სრულად გადაუხდის. მადლობა გივი კვარაცხელიას, რომ ბოლომდე იბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად და სხვა ფეხბურთელებს მაგალითი მისცა - არასოდეს თქვან უარი იმაზე, რაც ეკუთვნით. მადლობა თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტ რომან ფიფიასაც. ის უშუალოდ ჩაერთო მოლაპარაკებაში და კლუბის მხრიდან დასაწყისში წარმოქმნილი წინააღმდეგობის მიუხედავად, შეთანხმებას დათანხმდა“*, - ამბობს აბაშიძე.

კვარცხელიას და „დინამოს“ დაშორება პრეცედენტია იმისა, თუ როგორ ცივილურად შეიძლება კლუბი და მოთამაშე შეუთანხმდნენ ერთმანეთს. წესით და რიგით, ამას წინ არაფერი უნდა დაუდგეს, მაგრამ ბოლო წლებში დამკვიდრებული წესების უგულებელყოფა ქართულ ფეხბურთში წესად იქცა და მონათმფლობელობის დონეზე დავიდა. კვარაცხელიასა და „დინამოს“ შეთანხმება კი იმაზე მიუთითებს, რომ ღირსეული ურთიერთობების დამკვიდრება ჩვენშიც შესაძლებელია.

რაც შეეხება კვარაცხელიას მომავალს, გამოცდილ მცველს ახლა არჩევანი აქვს. მას ქუთაისის „ტორპედო“, ბოლნისის „სიონი“ და უმაღლესი ლიგის კიდევ რამდენიმე კლუბი იწვევს. ან უკვე ექსდინამოელს საბოლოო არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიონი

# ვარჯიში მარაკანაზე

ბოლნისის „სიონმა“ სეზონის განახლებისთვის მზადება დაიწყო. **ლადო ბურდულის** გუნდი თბილისში, 35-ე საფეხბურთო კლუბის მოედანზე, „მარაკანას“ ხელოვნურ საფარზე ვარჯიშობს, ჯერ - მეტწილად ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე.

ამ დროისთვის „სიონი“ ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა: 21 წლის მცველი **ირაკლი ხუჭუა**, 23 წლის ნახევარმცველი **გიგი იოსელიანი**, 20 წლის მცველი **არჩილ ტვილდიანი** და მისივე კბილა ნახევარმცველი **ლაშა პარუნაშვილი**.

ტვილდიანი და პარუნაშვილი „სიონში“ „დინამოდან“ გადავიდნენ იჯარით და ეს ვადა უკვე ამოიწურა. ორივე მათგანი ახალგაზრდული ნაკრების საკვანძო ფეხბურთელია. ჯერ უცნობია, სად გააგრძელებენ ისინი თამაშს.

რაც შეეხებათ „სიონის“ ახალწვეულებს, ბოლნისურ გუნდს ახალი ფეხბურთელები ჯერ არ დაუმატებია.

**დავით თავართქილაძე**

● პრობლემა

# ...მაგრამ გამოსავალი ხომ არსებობს?

გუშინდელ „ლელოშიც“ ვწერდით - მუნიციპალურ კლუბებს ხშირ შემთხვევაში ექვსთვიან ან ერთწლიან ბიუჯეტს უმტკიცებენ, საკლუბო ლიცენზირება კი თვრამეტთვიან ფინანსურ გარანტიას ითხოვს. უეფას საკლუბო ლიცენზირების კრიტერიუმის არდაკმაყოფილება იმას ნიშნავს, რომ კლუბი ლიცენზირებას ვერ გაივლის და მერე ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა უნდა გადაწყვიტოს, დაუშვას თუ არა ასეთი კლუბი უმაღლეს ლიგაში.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციის იურისტ **კესო ჩხიკვაძეს** შევეხმიანეთ. მან განგვიმარტა, რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი იურიდიულად არის ნორმატიული აქტი, ფინანსურ გარანტიად კი ვერც საკრებულოს თავმჯდომარის წერილი ჩაითვლება და ვერც - გამგებლის.

ფედერაციის იურისტს ისიც ვკითხეთ, იურიდიულად შესაძლებელია თუ არა, რომ საკრებულომ საფეხბურთო კლუბს დაუმტკიცოს პროგრამა და ამ პროგრამის მიხედვით მოხდეს ბიუჯეტის გამოყოფა კლუბისთვის, თუნდაც ეტაპობრივად, და ასეთი პროგრამა ჩაითვლება თუ არა ფინანსურ გარანტად? პასუხად მივიღეთ, რომ საკრებულოს მიერ ასეთი პროგრამის დამტკიცება იურიდიულად სავსებით შესაძლებელია, ფინანსურ გარანტად ასეთი პროგრამის წარდგენაც იურიდიულად დასაშვებია, ისევე, როგორც სპონსორული ხელშეკრულების წარმოდგენა.

ერთი სიტყვით, გამოსავალი არსებობს - საკრებულომ კლუბის განვითარების პროგრამა უნდა დაამტკიცოს, რითიც კლუბს შედარებით გრძელვადიანი პროექტების განხორციელების საშუალება ექნება და საკლუბო ლიცენზირებასაც უპრობლემოდ გაივლის. საკითხავი ისლა რჩება - რატომ არ აძლევს ხელს საკრებულოს პროგრამის დამტკიცება და ამის მიხედვით კლუბის დაფინანსება?

ახლახან, გორის „დილას“ დაუმტკიცეს ის ბიუჯეტი, რითიც გუნდმა მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპზე უნდა იარსებოს, მაგრამ როგორ წარადგენს „დილა“ 18-თვიან ფინანსურ გარანტიას ფეხბურთის ფედერაციაში?

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციას სხვა ხელმძღვანელობა ჰყავდა, ეგრეთ წოდებულ, საბიუჯეტო კლუბებს გამგებლის წერილი მიჰქონდათ, ვითომდა, ფინანსურ გარანტად. ფედერაცია ლოიალურად ეკიდებოდა ამ ყველაფერს, თუმცა ამით დათვურ სამსახურს უწევდა კლუბებს. ასეთი პრაქტიკის გაგრძელება კარგს ნამდვილად არაფერს მოუტანს ჩვენს საკლუბო ფეხბურთს.

საკლუბო ლიცენზირება ფაქტობრივად აიძულებს მუნიციპალიტეტებს, რომ კლუბს პროგრამა დაუმტკიცონ. ცხადია, პროგრამა 6-თვიანი ვერ იქნება, ნონსენსი, უბრალოდ, ვერ მოხდება და თუ კლუბს მინიმუმ 18 თვიან პოგრამას დაუფინანსებენ, ეს ყველასათვის ხელსაყრელი იქნება.

ვნახოთ. იქნებ, ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა ეფექტურად, პროგრამის მიხედვით იზრუნოს რეგიონში ფეხბურთის განვითარებისთვის. იურიდიულად ირკვევა, რომ ამის განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

**დავით თავართქილაძე**



● ფეხბურთელის ბედი საქართველოში

# როცა ფეხბურთი ძალიან გიყვარს...

## ვალერი ბოლქვაძემ უექიმოდ იმკურნალა

ორიოდე დღის წინ გავრცელდა ხმები „ზუგდიდის“ შესაძლო ახალწვეულებთან დაკავშირებით. რამდენიმე ცნობილ მოთამაშეს შორის, ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ნახევარმცველი **ვალერი ბოლქვაძეც** დაასახელეს.

საბოლოოდ, ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგა, რაც „ლელოს“ ზუგდიდელთა მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დარასელიამ** უთხრა. მაგრამ ექსტორპედოელი ნახევარმცველი სხვა მხრივ გახდა საყურადღებო...



ბურთით ვალერი ბოლქვაძე

ის ქუთაისურ კლუბში 2012 წელს ჩაირიცხა და 30 ოფიციალურ მატჩში 2 გოლი გაიტანა. შარშან, გაზაფხულზე, სეზონის მიწურულს, ბოლნისის „სიონთან“ შეხვედრისას (სხვათა შორის, **გიორგი ონიანთან** ერთად) ტრავმა მიიღო - ჯვარედინი იოგები გაუწყდა, ივნისში კი ქუთაისის „ტორპედოსა“ და ნახევარმცველს შორის კონტრაქტი შეწყდა და ფეხბურთელი ბედის ანაბარა დარჩა.

არადა, ჯვარედინი იოგების ტრავმისგან თავის დახსნა ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებს. უგუნდოდ დარჩენილ 25 წლის მოთამაშეს სხვა გზა არ ჰქონდა და რეაბილიტაციის გეგმა თავად, ექიმებთან შეთანხმებით შეიმუშავა. ხორვატიაში კი „ტორპედოს“ ფიზმომზადების ყოფილ მწვრთნელ **ივო კატუშიჩს** ეხმიანებოდა, რომელიც რჩევებს აძლევდა.

გასაოცარია, მაგრამ ბოლქვაძემ საკუთარი მეთოდით მკურნალობის პროცესი წარმატებით დაასრულა და უკვე ორი თვეა, ინდივიდუალურად ვარჯიშობს. როგორც გვითხრა, კუნთებში ძალა აღუდგა, რთულ ვარჯიშებზეც გადავიდა და უკვე გუნდთან ერთად მოსამზადებლადაც მზადაა. ეგ არის, რომ ჯერ ისევ უგუნდოდაა, არავინ შეხმიანებია.

ბოლქვაძის თვითმკურნალობა უნიკალური შემთხვევაა. ასეთი რამ საქართველოში თუ მოხდებოდა. იმის მაგალითიც არის - როგორ უნდა უყვარდეს ფეხბურთელს თავისი საქმე, რომ უსახსროდ, უყურადღებოდ (რაც ცალკე პრობლემაა) და უექიმოდ დარჩენილი ასეთ რთულ ტრავმას მოერიოს. საცოდაობაა, ფეხბურთზე ასე შეყვარებული კაცი რომ დაიკარგოს...

**მერაბ მამულაშვილი**

# ჭანგა

**ჭანგა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი ძირით, შიშველი, სწორმდგომი, ზოგჯერ იშვიათი ბეწვით დაფარული ღეროთი. ფოთლები ხაზოვანია, ბრტყელი. ყვავილები მწვანეა, ზოგჯერ იისფერი, თავთავებად შეკრული. ნაყოფი ცალმარცვალა თესლია. შეიცავს პოლისახარიდებს, შაქარს, სპირტებს, გლიკოზიდებს, ვიტამინებს, ეთერულ და ცხიმოვან ზეთებს, ორგანულ მჟავეებს. გამოიყენება საშარდე და ნაღველმდენი გზების, კუჭნაწლავის ტრაქტის, ფურუნკულების, ქრონიკული შეკრულობის, რაქიტის, ჰემაროის სამკურნალოდ. წვენს სვამენ ნაღველკენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდაც.**

რომ არა **გია მაისურაძე** და მისნაირი ფანატიკოსები, ქართული ფეხბურთი მართლა მოკვდებოდა. ეს კაცი უკვე 30 წელია იობის მოთმინებით ზელს ტალახს და ყლაპავს მტვერს ხილიანზე, 195-ე სკოლის წინ არსებულ, მის მიერვე დაარსებულ „მთვარის გლობუსის“ სკოლაში. გია მასწავლებელსა და მის აღსაზრდელებზე არ მოქმედებს წვიმა, ქარი, ყინვა, სეტყვა თუ სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები - როგორც ძველი ვაჟკაცი ქართველები ვერ ელეოდნენ საკუთარ მიწას და ათასჯერ აოხრებულ მამულს ისევ უბრუნდებოდნენ, ისე გია მაისურაძეც ვერ ელევა ამ ხრიოკს და დღედაღამ თავს დასტრიალებს. ვერც სამწვრთნელო ნიჭში დაეწუნება - **გიორგი ლომაია, გიორგი შაშიაშვილი, გივი კვარაცხელია, ჯაბა დვალი, ილია კანდელაკი, მიხეილ ხუციშვილი** მისი აღზრდილები არიან...

გუშინ შევიტყვე, საახალწლო საფეხბურთო ტურნირს ატარებსო და ხილიანზე გავეშურე. ბავშვების ჟრიამული შემომესმა. მე გია მაისურაძეს დავუწყე ძებნა და ძლივს ვიპოვე - ხრიოკ ფერდობზე, ტრიბუნის მოვალეობას რომ ასრულებს, გია მასწავლებელი ჩაცუცქულიყო და ბალახებს ებღაუჭებოდა. ვიფიქრე, ალბათ სარეველებისგან წმენდს ფერდობს-მეთქი, მაგრამ... გახარებული უყურებდა ახალმოგლეჯილ ბალახს... ჩემი გაოცებული მზერა დაიჭირა და მითხრა - ეს ჭანგაა, ძალიან გამძლე მცენარე, ახალი წლის მერე უნდა მოვკრიფო ფერდობზე ფესვებიანად და მოედანზე დავრგო, უცხოელმა მეგობრებმა მირჩიეს - ჭანგა თუ გაუძლებს ასეთ დატვირთვასო...

მართალი გითხრათ, ცრემლები მომადგა, მოვტრიალდი, რათა თვალცრემლიანი არ დავენახე სხვა მასწავლებლებსა და ბავშვების მშობლებს. მოედანს გავერიდე და კინაღამ წავიქეცი - გროვად ეყარა ხელოვნურსაფარიანი ნამოედნარის ზოლები...

- საახალწლოდ გადაეყარათ და უბან-უბან ძლივს შევაგროვე ნაგავში, - დამეწია გია, - ვის არ ვეხვეწე, მაგრამ ყურად არავინ ილო, თბილისის ზოგ რაიონში რომ მინი-მინდვრებიდან გაფუჭებული საფარი აყარეს, იმის ნარჩენებია. განა, ამის გადაყრა იქნება?! ასე ნაწილ-ნაწილ დავაგებ და ბავშვები ცოტა სულს მოითქვამენ...

...ტურნირი 2003-წლიანებში ტარდებოდა, ფინალში ჩემი კოლეგის, „ლელოს“ ძალიან კარგი ჟურნალისტის ლევან ჯანეზაშვილის გაწვრთნილმა „წყნეთმა“ მოუგო ტაბახმელას „დიდგორს“ (მწვრთნელები - დავით ფეიქრიშვილი, მირზა სამხარაძე, ლევან დემეტრაშვილი) და ჩემპიონი გახდა.

ბიჭებმა მთხოვეს და მე გადავეცი გამარჯვებულის თასი წყნეთელ კაპიტან გიორგი ჩადუნელს, წარმატებაც ვუსურვე ამ პატარა, ძარღვიან ბიჭს და გამოვექეცი პატარების ჟრიამულს, ცრემლმორეული ჩავჯექი მანქანაში და დიდი სისწრაფით გავქროლე. თვალწინ მედგა გია მაისურაძის დაკოჟრილი ხელები, მტვერში ამოგანგლული გახარებული წყნეთელი და ტაბახმელელი პატარები და მთელი გზა მატყუარა ტოპმილერებსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 18-მილიონიან ვალზე ვფიქრობდი...

**მამუკა კვარაცხელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია. სერია A. XIX ტური

**სამპდორია–უდინეზე 3:0**

**გოლები:** 1:0 ედერი (16-პენ.), 2:0 ედერი (47), 3:0 გასტალდელო 987).

**სამპდორია (4-2-3-1):** და კოსტა – მუსტაფი, გასტალდელო, დე სილვესტრი, კოსტა – კრსტიჩიჩი (72. რენანი), პალომბო – სორიანო, გაბიადინი, ვრსოლეკი (66. ბარნასონი) – ედერი (85. სანსონე).

**უდინეზე (3-4-2-1):** კელავა – ერუ, დანილო, დომიცი – პინცი, ბასტა (65. ფერნანდესი), ალანი, გაბრიელ სილვა - პერეირა, მაიკოსუელი (90. ბადუ) – დი ნატალე (87. ზელინსკი).

**გაფრთხილება:** კრსტიჩიჩი, ვრსოლეკი, ბარნასონი – კელავა, დომიცი, ბადუ.

**გაძევება:** სორიანო (61) – ალანი (35), გაბრიელ სილვა (69).

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 20-21; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-4(6-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 22 000

**ინტერი–კიევო 1:1**

**გოლები:** 0:1 პალოსკი (8), 1:1 ნაგატომო (12).

**ინტერი (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – კამპანიარო (88. ბოტა), როლანდო, ჟუან ჟესუსი – ჯონატანი, კუზმანოვიჩი (64. ტაიდერი), კამბიასო (65. მილიტო), ალვარესი, ნაგატომო – კოვაჩიჩი – პალასიო.

**კიევო (5-3-2):** პუჯონი – ფრეი, სარდო, დაინელი, ცეზარი, დრამე - ჰეტემაი, ბენტივოლიო (84. მაბაიე), რადოვანოვიჩი – თერეუ, პალოსკი (75. ესტიგარიბია).

**გაფრთხილება:** კოვაჩიჩი - ჰეტემაი.

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8-3(5-1); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 19 | 17 | 1 | 1 | 46-12 | 52 |
| 2. რომა | 19 | 13 | 5 | 1 | 39-10 | 44 |
| 3. ნაპოლი | 19 | 13 | 3 | 3 | 41-20 | 42 |
| 4. ფიორენტინა | 19 | 11 | 4 | 4 | 34-19 | 37 |
| 5. ინტერი | 19 | 8 | 8 | 3 | 38-23 | 32 |
| 6. ვერონა | 19 | 10 | 2 | 7 | 34-30 | 32 |
| 7. ტორინო | 19 | 6 | 8 | 5 | 31-27 | 26 |
| 8. პარმა | 19 | 6 | 8 | 5 | 29-26 | 26 |
| 9. ლაციო | 19 | 6 | 6 | 7 | 23-26 | 24 |
| 10. ჯენოა | 19 | 6 | 5 | 8 | 19-24 | 23 |
| 11. მილანი | 19 | 5 | 7 | 7 | 31-30 | 22 |
| 12. სამპდორია | 19 | 5 | 6 | 8 | 22-27 | 21 |
| 13. ატალანტა | 19 | 6 | 3 | 10 | 20-29 | 21 |
| 14. კალიარი | 19 | 4 | 9 | 6 | 19-28 | 21 |
| 15. უდინეზე | 19 | 6 | 2 | 11 | 18-28 | 20 |
| 16. კიევო | 19 | 4 | 5 | 10 | 14-24 | 17 |
| 17. სასუოლო | 19 | 4 | 5 | 10 | 21-41 | 17 |
| 18. ბოლონია | 19 | 3 | 7 | 9 | 17-33 | 16 |
| 19. ლივორნო | 19 | 3 | 4 | 11 | 16-33 | 13 |
| 20. კატანია | 19 | 3 | 4 | 12 | 13-34 | 13 |

**ბომბარდირები:** 14 – როსი (ფიორენტინა); 11 – ტევესი (იუვენტუსი), ბერარდი (სასუოლო); 10 – პალასიო (ინტერი); 9 - ჩერჩი (ტორინო), იგუაინი (ნაპოლი), იმობილე (ჯენოა), ტონი (ვერონა).

## პრემიერლიგა. XXI ტური

**ასტონ ვილა–არსენალი 1:2**

**გოლები:** 0:1 უილშირი (34), 0:2 ჟირუ (35), 1:2 ბენტეკე (76)

**ასტონ ვილა (4-1-3-2):** გუზანი - ლოუტონი, ვლაარი, კლარკი, ლუნა - ბეიკერი (21. ბაკუნა) - დელფი, ვესტვუდი, ელ აჰმადი (73. ვაიმანი) - აგბონლაჰორი, ბენტეკე

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, მონრეალი (66. გიბსი) - ფლამინი, უილშირი - გნაბრი (69. როსიცკი - 86. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), იოზილი, კასორლა - ჟირუ

**გაფრთხილება:** ელ აჰმადი, ლუნა - მონრეალი

**კარში დარტყმა:** 11-8 (5-4) **კუთხური:** 3-5 **თამაშგარე:** 4-5 **ჯარიმა:** 12-9 **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 36 097

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 21 | 15 | 3 | 3 | 41-19 | 48 |
| 2. სიტი | 21 | 15 | 2 | 4 | 59-23 | 47 |
| 3. ჩელსი | 21 | 14 | 4 | 3 | 40-19 | 46 |
| 4. ლივერპული | 21 | 13 | 3 | 5 | 51-26 | 42 |
| 5. ევერტონი | 21 | 11 | 8 | 2 | 34-19 | 41 |
| 6. ტოტენჰემი | 21 | 12 | 4 | 5 | 26-25 | 40 |
| 7. იუნაიტედი | 21 | 11 | 4 | 6 | 35-24 | 37 |
| 8. ნიუკასლი | 21 | 10 | 3 | 8 | 29-27 | 33 |
| 9. საუთჰემპტონი | 21 | 8 | 6 | 7 | 27-23 | 30 |
| 10. ჰალი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-27 | 23 |
| 11. ასტონ ვილა | 21 | 6 | 5 | 10 | 20-27 | 23 |
| 12. სტოკი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-35 | 22 |
| 13. სუონსი | 21 | 5 | 6 | 10 | 26-30 | 21 |
| 14. ბრომვიჩი | 21 | 4 | 9 | 8 | 23-28 | 21 |
| 15. ნორვიჩი | 21 | 5 | 5 | 11 | 17-35 | 20 |
| 16. ფულჰემი | 21 | 6 | 1 | 14 | 22-46 | 19 |
| 17. ვესტ ჰემი | 21 | 4 | 6 | 11 | 21-30 | 18 |
| 18. კარდიფი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-34 | 18 |
| 19. სანდერლენ. | 21 | 4 | 5 | 12 | 19-34 | 17 |
| 20. კრ. პალასი | 21 | 5 | 2 | 14 | 13-31 | 17 |

**საუკეთესო ბომბარდირები:** 22 - ლუის სუარესი (ლივერპული), 13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 10 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი).

## მილანი

# კაცი, რომელმაც ალეგრი იმსხვერპლა

### მილანში ხუთშაბათიდან ზეედორფის ერა იწყება



მასიმილიანო ალეგრის კლარენს ზეედორფი შეცვლის

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ განვლილ უქმეებზე ყველაზე დიდ რეზონანსს „სასუოლოსა"და „მილანის" პაექრობა გამოიწვევდა, მაგრამ ეს სწორედ ასე მოხდა - სერია A-ს დებიუტანტმა შავი დღე აყარა ლომბარდიულ გრანდს და სამივე ქულა თავისთან დაიტოვა. ქულები იქით იყოს და, თამაში გაჩაღდა ისეთი, გულგრილს რომ არავის დატოვებდა.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, რასაც ორი გოლი მოჰყვა მასპინძელთა კარში. მე-9 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **რობინიო** მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა, 0:1. დაახლოებით ხუთ წუთში, მილანელებმა უკვე მარჯვენა ფლანგიდან შეუტიეს, რასაც გამოზომილი პასი და **მარიო ბალოტელის** უზუსტესი დარტყმა მოჰყვა, 0:2. სტუმრებმა თითქოს ირწმუნეს გამარჯვება და მოდუნდნენ, რაც ძვირად დაუჯდათ - სწორედ აქედან დაიწყო 19 წლის თავდამსხმელის, **დომენიკო ბერარდის** ბენეფისი...

ბერარდიმ პოკერი შეასრულა და ყველანაირი გემოვნების გოლი გაუტანა **კრისტიან აბიატის**: ჯერ მოატყუა მეტოქე და ისე შეაგორა ბურთი ბადეში, შემდეგ მცველს ფიზიკური ორთაბრძოლა მოუგო და ჰაერიდან გადაგზავნა ბურთი კარის ჩარჩოში, მერე იყო დასწრებაზე თამაში და ბოლოს საშუალო დისტანციიდან გამოზომილი, უზუსტესი დარტყმა. ეს ყველაფერი დაახლოებით ნახევარ-საათიან მონაკვეთში მოხდა, შემდეგ კი ვალმოხდილი ბერარდი სულაც დაშავდა და შესაცვლელი გახდა. „მილანს" ჰქონდა დრო და ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო. თუმცა, **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდებს კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ, მათ შორის **კეისუკე ჰონდას**, რომელსაც მძიმე დებიუტი გამოუვიდა ახალი გუნდის შემადგენლობაში. მთლიანობაში, ეს იყო საოცარი, დრამატიზმით აღსავსე მატჩი, რომელმაც ტრიბუნებზე შეკრებილი 20 000 ქომაგი ექსტაზში მოიყვანა.

**მასიმილიანო ალეგრი** (მილანი): *„დღეს ჩვენ დავინახეთ, რომ არ არსებობენ იოლი მეტოქეები და რომ ყველასთან მაქსიმალური მობილიზებით თამაშია საჭირო. დავინახეთ ისიც, რომ მოდუნება არაფრით არ შეიძლება მაშინაც კი, როდესაც ორი ბურთის სხვაობით იგებ და თითქოს, თამაშიც მიგყავს. ბევრი უნდა ვიმუშავთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ".*

**ეუსებიო დი ფრანჩესკო** (სასუოლო): *„მე იმ „ლეჩეს" მწვრთნელი ვიყავი, რომელიც „მილანს" 3:0-ს უგებდა და შემდეგ, 4:3 წააგო. ამიტომ, კარგად ვიცი, რა მდგომარეობაშია მასიმილიანო ალეგრი. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ბრწყინვალე მატჩი იყო, რომელშიც საბედნიეროდ ჩვენ გავიმარჯვეთ".*

**დომენიკო ბერარდი** (სასუოლო): *„ეს იყო თამაში, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მემახსოვრება. ამ გამარჯვებას ვუძღვნი ჩემს ოჯახს, მეგობარ გოგოს და რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს, რომელსაც ბევრი გათავისუფლებას უწინასწარმეტყველებდა. სწორედ მან გადმოგვიყვანა სერია A-ში და იმედი მაქვს, გუნდში კიდევ დიდხანს დარჩება. ჩვენს მწვრთნელს დიდი გული აქვს და მინდა ჩემი გოლებიც მას მივუძღვნა".*

### ბერარდის უჩვეულო რეკორდი

დომენიკო ბერარდი მთელი საფეხბურთო იტალიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული - ხუმრობა ხომ არაა, 19 წლის ფეხბურთელმა „მილანს" პოკერი შეუსრულა, ფაქტობრივად მარტომ მოუგო თამაში და ბომბარდირთა დავაში მეორე პოზიციაზე აინაცვლა. თქმა არ სჭირდება, რომ დომენიკოს იტალიური ფეხბურთის გრანდებმა უკვე დაადგეს თვალი, მაგრამ „იუვენტუსმა" ყველას დაასწრო - ეს ფეხბურთელი „ბებერი ქალბატონის საკუთრებაა" და „სასუოლოში" იჯარით თამაშობს.

ბერარდიმ ერთი უჩვეულო რეკორდი დაამყარა: ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც „მილანს" სერია A-ს არსებობის ისტორიაში, ერთ თამაშში ოთხი გოლი გაუტანა. თავად განსაჯეთ, რამდენ უდიდეს ვარსკვლავს უთამაშია „როსონერის" წინააღმდეგ და რამდენი შეხვედრა აქვს ლომბარდიულ გრანდს გამართული იტალიის ელიტარულ დივიზიონში, ერთი ფეხბურთელისგან კი ასე დაჩაგრული ჯერ არასდროს ყოფილა.

### ალეგრის ზეედორფი შეცვლის

დასრულდა თუ არა „სასუოლო"-"მილანის" შეხვედრა, **ბარბარა ბერლუსკონიმ** მოკლე და ყველასთვის გასაგები კომენტარი გააკეთა: „ცვლილებების დროა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება". ლედი B - როგორც მას იტალიაში ეძახიან, ამჯერად კატეგორიული იყო და ყველაფერი ნათელი გახლდათ: მასიმილიანო ალეგრის პოსტის დატოვება მოუწევდა. თავად მწვრთნელს არა ბარბარა, არამედ **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** შეხვდნენ. გადაწყვეტილი ამბავია, რომ ალეგრი მიდის, მის ადგილს კი **კლარენს ზეედორფი** დაიკავებს. განიხილება **ფილიპო ინძაგის** კანდიდატურაც. დიახ, „როსონერის" ცოცხალი ლეგენდა, რომელიც აქამდე იუნიორთა გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო.

როგორც „გაძეტა დელო სპორტი" წერს, განიხილებოდა კიდევ ორი კანდიდატურა: კლუბის ახალგაზრდულ გუნდთა კურატორი **ფილიპო გალი** და ბოლო წლებში, „მილანის" მთავარი მწვრთნელების მუდმივი თანაშემწე **მაურო ტასოტი**. თუმცა, არჩევანი ზეედორფზე შეჩერდა, რომელსაც მილა

მოკლედ, „მილანის" ისტორიაში ახალი ერა იწყება, მასიმილიანო ალეგრის 3.5-წლიან მილანურ კარიერას კი მსუყე წერტილი დომენიკო ბერარდის პოკერმა დაუსვა.

**ლაშა წიკლაური**



დომენიკო ბერარდიმ „მილანს" პოკერი შეუსრულა

## ამბები



გადაწყვეტილება თავად ფრედი გუარინმა უნდა მიიღოს

### ტოჰირი: გუარინს ძალით არ გავაჩერებთ

ბოლო პერიოდში, აქტიურად ვრცელდება ცნობები **ფრედი გუარინის** „ინტერიდან" „ჩელსიში" შესაძლო გადაბარგებასთან დაკავშირებით. ისიც კი ითქვა, რომ ლონდონელები უკვე მოურიგდნენ 27 წლის კოლუმბიელ ნახევარმცველს და ტრანსფერის გაჩარხვას კლუბებს შორის შეთანხმება აკლია. ამ თემაზე მოკლე კომენტარი „ინტერის" პრეზიდენტმა **ერიკ ტოჰირმა** გააკეთა:

*„გუარინი დიდი ფეხბურთელია და ჩვენი ინიციატივით მას არასდროს გავყიდით. თუმცა, ეჭვი მაქვს, რომ თავად ფეხბურთელი საგონებელშია და მას ხიბლავს ლონდონური ვარიანტი. ისლა დაგვრჩენია, ფრედის გადაწყვეტილებას დაველოდოთ, რადგან თუ მისი გული სხვას ეკუთვნის, ძალით ნამდვილად არ გავაჩერებთ. ვნახოთ, ყველა კითხვას უახლოეს დღეებში გაეცემა პასუხი".*

### კონტე: იქნებ მოიესი ასტორის აკვირდებოდა?

„კალიარი"-"იუვენტუსის" შეხვედრას „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** ესწრებოდა, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვები **კლაუდიო მარკიზიოს** ინგლისურ გრანდში გადაბარგებასთან დაკავშირებით. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მანჩესტერელებს არა მარტო მარკიზიო, „იუვეს" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი აინტერესებთ, მათ შორის **პოლ პოგბა** და **არტურო ვიდალი**. ითქვა ისიც, რომ მოიესი „კალიარის" მცველს **დავიდე ასტორისაც** აკვირდება - სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება პრესასთან საუბარში ტურინული გრანდის მთავარმა მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ**:

*„შემაშფოთა თუ არა დევიდ მოიესის კალიარიში გამოჩენამ? - ნამდვილად არა. თუ „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ჩვენი ფეხბურთელებით არის დაინტერესებული, ეს მხოლოდ მეამაყება, ჩვენი პოზიცია კი უცვლელი რჩება: ლიდერებს არ ვყიდით. თანაც, გავიგე, რომ მოიესს დავიდე ასტორის თამაში ხიბლავს და იქნებ, სულაც მას აკვირდებოდა? - ამიტომ, ნაადრევი დასკვნების გაკეთება არ.ივარგებს".*



კლაუდიო მარკიზიომ და ანტონიო კონტემ კალიარის კარში გატანილი გოლი ასე იზეიმეს



ჯოვანი ტრაპატონი შესაძლოა „ლივორნოს" მწვრთნელი გახდეს

### ტრაპატონი ლივორნოს სათავეში?

სერია A-ს გასული ტური არა მარტო **მასიმილიანო ალეგრისთვის, დავიდე ნიკოლასთვისაც** საბედისწერო გამოდგა - „ლივორნოს" მესვეურებმა „პარმასთან" საშინაო მატჩში განადგურება ველარ მოითმინეს და მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს. აქვე ვთქვათ, რომ განვლილი 19 ტურის შემდეგ, „ლივორნოს" აქტივში მხოლოდ 13 ქულაა და გუნდი ბოლოს წინა ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „ლივორნოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სამი კანდიდატურა განიხილება: **დომენიკო დი კარლო, სერსე კოზმი** და **ჯოვანი ტრაპატონი**. ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს ტრაპატონი იწვევს, რომელიც ბოლოს ირლანდიის ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კვირის ფრაზები




თომას ჰიტცლშპერგერი მეგობარ გოგონასთან ერთად

# მესი მოცარტია, დანარჩენები ბანჯოზე უკრავენ

„სიმართლე ისაა, რომ მე მას მანქანით გადავუარე, მაგრამ ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია და ამიტომაც ცოცხალი გადარჩა," - **ალვარო არბელოამ** უარყო ჭორები, თითქოს სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპზე მან **გარეთ ბეილი** დაამტვრია.

„ლიონელ მესი ჩვენი თამაშის მოცარტია. დანარჩენები? ისინი ბანჯოზე უკრავენ," - **რეი ჰადსონი.**

„მე ვლაპარაკობ ჩემს ჰომოსექსუალობაზე, რადგან მსურს, რომ ამ საკითხზე სპორტსმენებს შორის საუბარი დაიწყოს. იმის გასაანალიზებლად, რომ გეი ვიყავი, საკმაოდ რთული და გრძელი პროცესის გავლამ მომიწია - მხოლოდ რამდენიმე წლის წინ მივხვდი, რომ მერჩივნა სხვა კაცთან ერთად მეცხოვრა. ჰომოსექსუალობა ინგლისში, გერმანიაში ან იტალიაში პრობლემას არ წარმოადგენს - გასახდელში მაინც. არასდროს ვყოფილვარ შერცხვენილი იმის გამო, რომ ჰომოსექსუალი ვიყავი," - **თომას ჰიტცლშპერგერი.**

„მანჩესტერ იუნაიტედი" ბეწვის ხიდზეა. დევიდ მოიესი ძალიან მეცოდება, რადგან მან ჩაიბარა იმპერია, რომელიც განწირულია დაცემისთვის. ფერგი კი ისევ იქ არის - „ნამგალიანი სიკვდილივით" დაძვრება „ოლდ ტრაფორდზე". ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მოიესი ტყვიას მიიღებს, ის კი (ფერგიუსონი) გუნდის გადასარჩენად გამოხტება. რა აზრი აქვს კარიერის დასრულებას, თუ ყველა თამაშზე ისევ სტადიონზე ივლი?! წადი, დაისვენე, გოლფი ითამაშე, მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად გაატარე დრო, შე ბებერო ტ..კო," - **ჯოი ბარტონი**

„ბარსას" თამაში ჩავის გარეშე არაფერია - ის ჩვენი სტილის არქიტექტორია. მან, ინიესტასთან, ბუსკეტსთან და მესისთან ერთად „ტიკი-ტაკა" გამოიგონა - ეს ჩავის საფირმო სტილია. ის „ბარსელონას" ლეგენდაა. გავა წლები, წარსულს გადავხედავთ და მასზე ვიტყვით: „რა დიდებული ფეხბურთელი იყო! ის არის ესპანეთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე." - **სანდრო როსელი**

„ჟოზე მოურინიო არის მწვრთნელი, რომელიც მხოლოდ შედეგზეა ორიენტირებული. ის ამბობს, რომ „განსაკუთრებულია", რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ესა თუ ის ტიტული მოიგო, მაგრამ მე არ მომწონს ის სტილი, რომლითაც მისი გუნდები თამაშობენ. ვის ახსოვს ის „ინტერი", რომელსაც მან ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა? მას იქ მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, განსხვავებით კრუიფისგან. იგივე შემიძლია ვთქვა დი მატეოზე - მან ჩემპიონთა ლიგა მოიგო, მაგრამ ის გუნდი ფეხბურთს საერთოდ არ თამაშობდა. მე ბედნიერი ვარ, რომ „ბარსელონაში" ვთამაშობ, რადგან ჩვენს გუნდს განსაზღვრული ფილოსოფია გააჩნია." - **ჩავი.**

„არასდროს მინახავს ფრანკ რიბერის მსგავსი ხასიათის მქონე ფეხბურთელი. ის ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ მომენტში ბოლომდე იბრძვის, გაუჩერებლად დარბის და გუნდისთვის ბოლომდე იხარჯება. ჩემთვის პატივია, რომ ფრანკის მწვრთნელი ვარ," - **პეპ გვარდიოლა.**

„ვფიქრობ თუ არა, რომ ალექსზე ან მარკინიოსზე ნაკლები ვარ? არა. მე ერთხელ მითხრეს: „შენ მესამე ხარ". მე ვუპასუხე: „დიახ, მესამე ჩემი ნომერია, რომელიც მაისურზე მაწერია, მაგრამ გუნდში; იერარქიულად, მესამე ნომერი ნამდვილად არ ვარ," - **მამადუ სახო** „პარი სენ-ჟერმენის" დაცვის ცენტრში არსებული კონკურენციის შესახებ, რის გამოც მან გუნდი დატოვა და „ლივერპულში" გადავიდა.

**ტატო ბაციკაძე**

● ხსოვნა

# ეუსებიოს ბოლო მატჩი




„ბენფიკას" ფეხბურთელები ეუსებიოს მაისურებით

პორტუგალიის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „ბენფიკამ" „პორტუს" უმასპინძლა და **როდრიგოს** და **ესეკილ გარაის** გოლებით 2:0 მოუგო. ამ გამარჯვების წყალობით, ლისაბონელები პირველ პოზიციაზე დაბრუნდნენ და 15 ტურის შემდეგ პორტუგალიის ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგნენ.

სპორტული თვალსაზრისის გარდა, ეს თამაში საინტერესო იმითაც იყო, რომ „ბენფიკამ" კიდევ ერთხელ მიაგო პატივი ცოტა ხნის წინ გარდაცვლილ ლეგენდარულ **ეუსებიოს** - გუნდის ყველა ფეხბურთელს მაისურზე, საკუთარი გვარის ნაცვლად, სწორედ ლეგენდარული „შავი პანტერას" სახელი ეწერა.

შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული ფეხბურთელი 5 იანვარს, 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეუსებიომ „ბენფიკას" შემადგენლობაში 1960-1975 წლებში ითამაშა და 437 შეხვედრაში 462 გოლი გაიტანა.

● ამბები

## იუნაიტედი საულით დაინტერესდა

„ხეტაფეს" და „რაიო ვალეკანოს" შეხვედრას **დევიდ მოიესის** სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთი წევრი, **ფილ ნევილი** დაესწრო. ყოფილი ფეხბურთელი არა რომელიმე გუნდს, არამედ კონკრეტულად ერთ ფეხბურთელს, **საულ ნიგესს** აკვირდებოდა. მადრიდის „ატლეტიკოს" საკუთრებაში მყოფი 19 წლის ფეხბურთელი იჯარით „რაიო ვალეკანოში" თამაშობს. საულ ნიგესი საყრდენი ნახევარმცველია, თუმცა „რაიოს" რიგებში ის ხშირად ცენტრალურ მცველადაც გვევლინება.

**დიეგო სიმეონეს** ახალგაზრდა ფეხბურთელის გაყიდვა არ სურს და ესპანელი ჟურნალისტების აზრით, მასში **ტიაგოს** შემცვლელს ხედავს, რომელსაც კონტრაქტი 30 ივნისს უსრულდება. მადრიდელებს სერიოზული წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევთ, რადგან „იუნაიტედის" გარდა, თინეიჯერით ლონდონის „არსენალი" და „ჩელსიც" დაინტერესდნენ.

თუ „ატლეტიკო" საულ ნიგესის გაყიდვას მაინც მოისურვებს, მაშინ ინგლისურმა კლუბებმა „ბარსელონასაც" უნდა მიმართონ - კატალონიელებს მისი და **მანკილიოს** უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ, რომელიც **დავიდ ვილიას** ტრანსფერის შედეგად მიიღეს.

საულმა მიმდინარე სეზონში „რაიო ვალეკანოს" ღირსება 17 შეხვედრაში დაიცვა და თავი 1 გოლითაც გამოიჩინა. მას ესპანეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები, 2012 წელს კი 19-წლამდელებთან ერთად ევროპის ჩემპიონიც გახდა. ამჟერად, 19 წლის ნახევარმცველი, მიუხედავად მცირე ასაკისა, 21-წლამდელთა ნაკრების წევრია.

## ბეტისმა ერბესი შეიძინა, სევილია ნეილტონზე ფიქრობს

გაჭირვებაში მყოფმა სევილიურმა „ბეტისმა" **ლეო ბაპტიშტაოს** შემდეგ კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი შეიძინა - „ვერდიბლანკოსმა" „ბოკას" 2,3 მილიონი ევრო გადაუხადა და ცენტრალური ნახევარმცველი **კრისტიან ერბესი** დაიბევა. 24 წლის ფეხბურთელი „ბოკას" აღზრდილია და ამ გუნდში 2009 წლიდან მოყოლებული თამაშობდა. ამ პერიოდში ერბესმა გუნდის ღირსება 74 შეხვედრაში დაიცვა და თავი 2 გოლითაც გამოიჩინა.

გაცილებით უკეთესად აქვს საქმე „სევილიას", რომელიც თავს 7-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს. **უნაი ემერის** საკმაოდ კონკურენტუნარიანი შემადგენლობა ჰყავს, რომელიც ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელების ნაკლებობას არ უჩივის. როგორც ჩანს, ბასკი სპეციალისტი არსებულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და გუნდის გაძლიერებას კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავით აპირებს. ბრაზილიური პრესის ცნობით, „სევილია" „სანტოსის" 19 წლის ფორვარდით, **ნეილტონით** არის დაინტერესებული. ახალგაზრდა ფეხბურთელმა თავი გასულ სეზონში გამოიჩინა, როდესაც ბრაზილიის ჩემპიონატის 14 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა.

## სკოკო შესაძლოა სანდერლენდში აღმოჩნდეს

„ინტერნასიონალის" არგენტინელი ფორვარდის, **იგნასიო სკოკოს** მამის თქმით, მისი შვილი, დიდი ალბათობით, „სანდერლენდში" გადავა. 2012/13 წლების სეზონის არგენტინის ორივე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ბრაზილიურ კლუბს ვერ შეეწყო და წასვლის სურვილით იწვის. 28 წლის ფორვარდის დაბრუნება „ნიუელს ოლდ ბოისს" სურს და მისი შეძენით „რივერ პლეიტიც" არის დაინტერესებული, თუმცა მამის, **ექტორ სკოკოს** თქმით, „ინტერნასიონალის" მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდა მხოლოდ „სანდერლენდს" თუ შეუძლია.

„ამ მომენტისთვის, ყველაზე რეალური კანდიდატი „სანდერლენდია, - განუცხადა ექტორ სკოკომ „ოლეს" - მისი შეძენა „რივერს" და „ნიუელსსაც" სურთ, მაგრამ მათ საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა არ აქვთ".

შეგახსენებთ, რომ „ინტერნასიონალმა" არგენტინელ ფორვარდში 4,25 მილიონი ევრო გადაიხადა, მაგრამ სკოკო ბრაზილიის ჩემპიონტს ვერ შეეწყო - 17 შეხვედრაში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა.

ისევ ექტორ სკოკო: „რამდენიმე დღის წინ მას გუსტავო პოიეტი დაუკავშირდა და უთხრა, რომ მისი შეძენა უნდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაზე კარგი შანსი ამ მომენტისთვის სწორედ „სანდერლენდს" აქვს".

**ტატო ბაციკაძე**

## ნასრი 8 კვირა იუქმებს

**სამირ ნასრი** „მანჩესტერ სიტის" 8 კვირის მანძილზე ვერ დაეხმარება, მაგრამ რეალურად ეს ფრანგი ნახევარმცველისთვის კარგი ამბავია, უფრო სწორად კი ცუდი ამბის კარგი დასასრული, რადგან შეიძლებოდა ტრავმა ბევრად სერიოზული გამომდგარიყო. „სენტ ჯეიმს პარკზე" „ნიუკასლთან" გამართულ შეხვედრაში ნასრის **მაპუ იანგა-მბივა** ძალიან ეუხეშა. ახალგაზრდა შემტევმა მუხლი დაიშავა. ექიმებს ჰქონდათ ეჭვი, რომ მას ჯვარედინი მყესები ჰქონდა დაზიანებული და ველარც ამ სეზონში ითამაშებდა და მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებაც მოუხდებოდა. საბედნიეროდ, ტრავმა მსუბუქი გამოდგა და ნასრის მხოლოდ თვენახევარი მოუწევს უქმობა.

„დიდი მადლობა ყველას თბილი სიტყვებისა და გამხნევებისთვის. კარგი ამბავი მაქვს. მხოლოდ 8 კვირა მომიწევს დასვენება" - დაწერა ნასრიმ საკუთარ „ტვიტერზე".

**გიორგი პაპაბაძე**



სამირ ნასრი ყავარჯნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი


ჰენრიკ ლარსონის ვაჟმა უახლოეს წლებში კარიერა შესაძლოა იუნაიტედში განაგრძოს

# იუნაიტედის სატრანსფერო ლაბირინთები

**ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, რომ კვირას კალიარის „სტადიო სანტ ელიაზე" ადგილობრივი კლუბისა და „იუვენტუსის" შეხვედრას (1:4) „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი დაესწრო. სხვადასხვა წყაროს ცნობით, შოტლანდიელი სპეციალისტი მეტოქეთა შემადგენლობებში თითო ფეხბურთელს აკვირდებოდა - დავიდე ასტორის „კალიარიდან" და კლაუდიო მარკიზიოს „იუვედან". ჟურნალისტებმა მოახერხეს მოიესთან დაკავშირება. აი, რა თქვა „ეშმაკების" თავკაცმა: „იტალიაში მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ თავისუფალი დრო გამომიჩნდა. ტრანსფერები ჩემს ვიზიტთან არაფერ შუაშია". ახლა მთავარია, დავიჯერებთ თუ არა მოიესის ამ გულის ამაჩუყებელ ისტორიას.**

## მომსვლელები

„რეალიდან" **ფაბიო კოენტრაუს** სავარაუდო ტრანსფერი ახლა ყველაზე პოპულარული თემაა. 25 წლის პორტუგალიელის მიმართ ინტერესს „იუნაიტედიც" ადასტურებს, თუმცა კონკრეტული ჯერ არაფერია. მოდი, პრემიერლიგის მოქმედ ჩემპიონებთან დაკავშირებულ სხვა ხმებსაც გადავწვდეთ, მით უფრო, რომ პრესა მანჩესტერულ გრანდს არაერთ საინტერესო ფეხბურთელს უკავშირებს.

ერთ-ერთი ასეთი ბუქარესტის „დინამოს" 18 წლის მარცხენა გარემარბი **დორინ როტარიუა**. რუმინული პრესის ინფორმაციით, ფეხბურთელმა დაადასტურა, რომ „იუნაიტედის" წარმომადგენლებს პირადად შეხვდა, სადაც შეიტყო, რომ მას კიდევ დააკვირდებიან ყურადღებით. როტარიუთი დაინტერესებულთა შორის სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც სახელდებიან. მაგალითად, იტალიიდან და ესპანეთიდან. მიუხედავად მომხიბვლელი შეთავაზებებისა, თინეიჯერი რუმინელი არ ჩქარობს სამშობლოდან წასვლას.

„იუნაიტედის" სახელს ბოლო დღეებში ხშირად ახსენებენ შვედეთშიც. ამბობენ, რომ „ეშმაკებს" **ჰენრიკ ლარსონის** 16 წლის შვილის **ჯორდან ლარსონის** გადაბირება სურთ. იუნიორი შვედი ოფიციალურად ქვედა დივიზიონის „ჰოგაბორსგს" ეკუთვნის, თუმცა ამჟამად უმაღლესლიგელ „ჰელსინგბორგში" ვარჯიშობს. ანალოგიურ ინფორმაციას ავრცელებს „დეილი მეილიც".

## წამსვლელები

„იუნაიტედი" იანვარში რამდენიმე ფეხბურთელთან რომ აპირებს გამოთხოვებას, ეს ბევრჯერ დაიწერა. ყველაზე ხშირად, ვისაც წამსვლელებს შორის ასახელებენ, არიან **ანდერსონი, ნანი** და **ზაჰა**, ფეხბურთელები, ვისგანაც წელს გუნდს სარგებელი არ უნახავს.

"ფიორენტინას" სპორტული დირექტორი **დანიელე პრადე** "სქაი სპორტსთან" ადასტურებს, რომ ანდერსონით არიან დაინტერესებულნი, თუმცა იქვე დასძენს, რომ მათ სიაში 25 წლის ბრაზილიელი ერთადერთი არ არის. თუკი მხარეები საბოლოოდ მაინც შეთანხმდნენ ფეხბურთელთან დაკავშირებით, პირველ ეტაპზე ანდერსონი "ვიოლას" იჯარით მიაშურებს და თუკი იმედებს გაამართლებს, იტალიელები მერე მის კონტრაქტს საბოლოოდ გამოისყიდიან კიდეც.

რაც შეეხება ნანის, 27 წლის პორტუგალიელის კრიზისი უკვე წელიწადნახევარია გრძელდება და კლუბში უკვე საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მას გარემოს შეცვლის გარდა არაფერი უშველის. ლისაბონის "სპორტინგი" მზად არის, პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე იჯარით წაიყვანოს.

"კარდიფში" დანიშვნის შემდეგ **ოლე გუნარ სულშერმა** ხელმძღვანელობას რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვა სთხოვა. 40 წლის ნორვეგიელმა "მანჩესტერ იუნაიტედის" წევრებს დაადგა თვალი. კონკრეტულად **მაგნუს ეიკრემსა** და **მატს დელის** (დუბლებიდან). უელსელებმა მათი ტრანსფერები უკვე გაჩარხეს. ამათ გარდა "სიტი სტედიუმზე" სათამაშოდ შეიძლება გადავიდნენ **ფაბიო და სილვა** და **ვილფრიდ ზაჰა**. *"პროცესი არ დასრულებულა. გუნდის გაძლიერებას კიდევ ვაპირებთ, თუმცა კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელებას წინასწარ ნუ მომთხოვთ,"* – განაცხადა სულშერმა.

## დაბოლოს...

ერთია, როცა კლუბი პრაქტიკულად უსარგებლო მოთამაშის გაშვებას თანხმდება და მეორეა, როცა გუნდს კაპიტანი ტოვებს. 32 წლის **ნემანია ვიდიჩს** "იუნაიტედთან" ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება. ლაპარაკი იყო, რომ მხარეები თითქოს შეთანხმდნენ თანამშრომლობის გაგრძელებაზე, მაგრამ ხმები არ დადასტურდა. სერბი ცენტრალური მცველის გადაბირებას "იუვენტუსი" და "გალათასარაი" აპირებენ. სტამბულელთა შეთავაზება ცნობილია: 2-წლიანი კონტრაქტი და 9 მილიონი ევრო ამ პერიოდში.

ამბები

## ზიდანი მარსელში?

უკანასკნელ პერიოდში „მარსელს" **ზინედინ ზიდანს** უკავშირებენ, აქაოდა სეზონის ბოლოს ზიზუმ შესაძლოა „ველოდრომის" ბინადრები ჩაიბაროსო. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ამჟამად მადრიდის „რეალის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობს. შეგახსენებთ იმასაც, რომ ზიდანი მარსელელია. სხვათა შორის, ფრანგული კლუბის ამჟამინდელი დროებითი მწვრთნელი **ჟოზე ანიგო** ამბობს, რომ ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ...

„შესანიშნავი იქნებოდა, „მარსელი" მართლაც ზინედინმა რომ ჩაიბაროს, მაგრამ არა მგონია, მან „რეალიდან" წამოსვლა ისურვოს" - აღნიშნა ანიგომ.

## ჯერჯერობით ხელმოცარული პსჟ

„პარი სენ ჟერმენი" სატრანსფერო ბაზარზე ნადირობას აგრძელებს, მაგრამ ნადავლი ჯერ არ ჩანს. ტურინის იუვენტუსის გენერალურმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** განაცხადა, **პოლ პოგბას** შესახებ პარიზელთა წინადადებას თავაზიანად მოვისმენთ, მაგრამ უარით გავისტუმრებთ მათო. „ნიუკასლის" ერთ-ერთმა ლიდერმა **იოან კაბაიმ** თქვა, ყველა ინფორმაცია, რომელიც ჩემი პსჟ-ში გადასვლის შესახებ ვრცელდება, ჭორია და მეტი არაფერიო. აი **ედენ აზარზე** კი თავად დედაქალაქელთა თავკაცმა **ლორან ბლანმა** გააკეთა კომენტარი – ჩვენ მსოფლიოს ყველა ფეხბურთელის შეძენა კი არ გვინდაო... თუმცა ფრანგული პრესა ისევ ჯიუტად ირწმუნება, რომ პსჟ პოგბასთვის, კაბაისთვის და აზარისთვის სოლიდურ თანხებს ამზადებს. გრძელდება მითქმა-მოთქმა **ხუან მატაზეც**.

## სიტიმ მანგალა ამოიჩემა

ბოლო ცნობებით, ინგლისური „მანჩესტერ სიტი" მზადაა „პორტუს" ფრანგ მცველში **ელიაკიმ მანგალაში** მისი მოქმედი კონტრაქტით გათვალისწინებული გამოსასყიდი თანხა 41,5 მილიონი ევრო გადაიხადოს. 22 წლის ფეხბურთელით დიდი ხანია წამყვანი გუნდები არიან დაინტერესებულნი - „მანჩესტერ იუნაიტედი", „ჩელსი", „მონაკო", პსჟ... თავად მანგალამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, „პორტუში" ბედნიერი ვარ, ამ გუნდს ვემადლიერები და წასვლას არ ვჩქარობო. თუმცა, თუ „სიტი" ამხელა თანხას გადაიხდის, „დრაკონები" ალბათ ტრანსფერზე უარს არ იტყვიან და მანჩესტერელები სავარაუდოდ, მანგალას მოთაფლვასაც მოახერხებენ.

## დეფო დრეიკს დაურწმუნებია

როგორც ირკვევა, **ჯერმინ დეფოს** „ტორონტოში" გადასვლა დიდწილად ცნობილმა კანადელმა ჰიპ-ჰოპ შემსრულებელმა ან სხვანაირად თუ ვიტყვით, „რეპერმა" **დრეიკმა** გადააწყვეტინა. *„მე ჯერმინს რამდენჯერმე დავურეკე და როგორც ქალაქზე, ასევე კლუბზე ყველაფერი მოვუყევი. ჩვენ ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა და მიხარია, რომ ამ ტრანსფერში ჩემი წვლილიც არის"* - თქვა დრეიკმა. მოგეხსენებათ, რომ 31 წლის ფორვარდი კანადურ „ტორონტოში" 6 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გადაბარგდა, მაგრამ 28 თებერვლამდე იგი იჯარის წესით „დეზებში" აგრძელებს თამაშს.

„სულაც არ ვთვლი, რომ ამერიკის ჩემპიონატი სუსტი და ხელწამოსაკრავია. ჩემი აზრით, მეიჯორლიგა საკმაოდ კარგი ტურნირია და დეფოს იქიდანაც შეეძლება ნაკრებში მოხვედრა. მას ამისთვის რეგულარული სათამაშო დრო სჭირდება და ჩათვალა, რომ „ტორონტოში" ამის საშუალება ექნება. სადაც არ უნდა თამაშობდეს, იგი გოლებს ყველგან გაიტანს" - ეს კი „ტოტენჰემის" მწვრთნელის **ტიმ შერვუდის** სიტყვებია.

**გიორგი კაკაბაძე**

## ჩეხის რეკორდი და შანსი

"ჰალთან" 2:0-ზე მოგებული მატჩი **პეტრ ჩეხისთვის** არ იყო რიგითი მოვლენა. 31 წლის მეკარემ ლონდონში გატარებული თითქმის 10 წლის განმავლობაში 209-ე მატჩი დაასრულა მშრალად, რაც "ჩელსის" ისტორიაში საუკეთესო შედეგია. გეტყვით, რომ 209-დან 153 პრემიერლიგაზე მოდის, 13 ასოციაციის თასზე, 37 ევროპულ ტურნირებში, 6 კი ლიგის თასზე. პეტრმა **პიტერ ბონეტის** შედეგი ერთი ბურთით გააუმჯობესა. *"ჩეხი წლების განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით ამთავრებს თამაშებს გოლის გაუშვებლად. დღეს მან საკლუბო რეკორდი დაამყარა, ხვალ შესაძლოა ლიგის საუკეთესო შედეგსაც შეწვდეს,"* – განაცხადა ამაყი სახით **ჟოზე მოურინიომ**. ლიგის რეკორდი (229) მშრალი მატჩების რაოდენობით **დევიდ ჯეიმსს** ეკუთვნის. ასე რომ, მომდევნო სეზონის სრულად ჩატარების შემთხვევაში ჩეხს ამის შანსი ნამდვილად მიეცემა.





## აგუერო მალე ითამაშებს

**სერხიო აგუეროს** წვივზე ტრავმის გამო 14 დეკემბერს "არსენალთან" მატჩის (6:3) შემდეგ აღარ უთამაშია. 25 წლის არგენტინელმა დაზიანება მეორე ტაიმის პირველ წუთებზე მიიღო, თანაც ისე, რომ არავინ შეხებია. ერთთვიანი პაუზის შემდეგ სერხიო ხვალ "ბლექბერნთან" ასოციაციის თასის შეხვედრაში დაუბრუნდება გუნდს და შესაძლოა თამაში სულაც ძირითადში დაიწყოს.

## ფიფა შიშობს

ფიფას უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი **რალფ მუჩკე** ფიქრობს, რომ მსოფლიოს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფები ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების შედეგების მანიპულაციის შანსს ხელიდან არ გაუშვებენ. *"ნათელია, რომ მსგავსი საშიშროება ადეკვატურად უნდა შევაფასოთ, რადგან დიდი ტურნირები ყოველთვის იწვევს ბუკმეიკერთა განსაკუთრებულ ინტერესს. ჩვენი სამსახურის თანამშრომლები თამაშებს დააკვირდებიან და ტოტალიზატორებისგან დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ ყოველ მატჩზე დადებული თანხების შესახებ. მათთან თანამშრომლობის გარდა ჩვენ გავაანალიზებთ სოციალური ქსელებისა და ფორუმების საშუალებით მიღებულ ინფორმაციებსაც,"* – ამბობს მუჩკე.

## დიდი სემი სეზონის ბოლომდე

"ვესტ ჰემის" გაჭიანურებული კრიზისის გასაღებს ყველანი **ენდი კეროლის** დაბრუნებაში ხედავდნენ. აყლაყუდა თავდამსხმელმა უქმეებზე 8-თვიანი პაუზის შემდეგ პრემიერლიგაში პირველად ითამაშა და შეცვლაზე შესულმა საგოლე გადაცემა მიითვალა. **სემ ელერდაისს** ახლა უფრო მეტი საფუძველი აქვს ოპტიმიზმისთვის, ვიდრე იქამდე. თანაც "კარდიფთან" მოგების შემდეგ კლუბის თანამესაკუთრე **დევიდ გოლდმა** "დიდ სემს" პირობა მისცა, რომ ის პოსტს სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს. *"ვიცი, რომ არასოდეს უნდა თქვა სიტყვა "არასოდეს", ამიტომ კლუბის პოზიციას ასე ჩამოვაყალიბებ: ელერდაისი ის სპეციალისტია, რომელსაც ჩავაბარეთ გუნდის მართვა და რომელიც ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია,"* – განუცხადა "დეილი ექსპრესს" "ჩაქუჩების" ერთ-ერთმა ბოსმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტური

**ვილიარეალი–სოსიედადი 5:1**

**გოლები:** 1:0 ჯოვანი დოს სანტოსი (16), 2:0 ი. უჩე (27), 3:0 ჯოვანი დოს სანტოსი (33), 4:0 ი. უჩე (55), 5:0 მოისესი (58), 5:1 აგირეჩე (60)

**ვილიარეალი** (4-4-2): ასენხო – მარიო, მუსაჩიო, დორადო, ხაუმე კოსტა – ხ. აკინო, ტრიგეროსი, ბრუნო (71. პინა), მოისესი (66. ლეივა) – ჯოვანი დოს სანტოსი (74. პერბე), ი. უჩე

**სოსიედადი** (4-2-3-1): ბრავო – კ. მარტინესი, ანსოტეგი, ი. მარტინესი, ხოსე ანხელი – ბერგარა (59. ხავი როსი), რუბენ პარდო (46. სურუტუსა) – ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი (46. მიკელ გონსალესი) – აგირეჩე

**გაფრთხილება:** ხაუმე კოსტა, ბრუნო – ხოსე ანხელი, სურუტუსა, ხავი როსი, ი. მარტინესი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 22-8 (11-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 24 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 53-12 | 50 |
| 2. ატლეტიკო | 19 | 16 | 2 | 1 | 47-11 | 50 |
| 3. რეალი | 19 | 15 | 2 | 2 | 53-21 | 47 |
| 4. ბილბაო | 19 | 11 | 3 | 5 | 32-24 | 36 |
| 5. ვილიარეალი | 19 | 10 | 4 | 5 | 37-21 | 34 |
| 6. სოსიედადი | 19 | 9 | 5 | 5 | 36-28 | 32 |
| 7. სევილია | 19 | 8 | 6 | 5 | 36-30 | 30 |
| 8. ვალენსია | 19 | 7 | 2 | 10 | 26-31 | 23 |
| 9. გრანადა | 19 | 7 | 2 | 10 | 19-25 | 23 |
| 10. ლევანტე | 19 | 6 | 5 | 8 | 18-27 | 23 |
| 11. ხეტაფე | 19 | 7 | 2 | 10 | 20-31 | 23 |
| 12. ესპანიოლი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-25 | 22 |
| 13. ოსასუნა | 19 | 6 | 3 | 10 | 17-29 | 21 |
| 14. მალაგა | 19 | 5 | 5 | 9 | 19-24 | 20 |
| 15. სელტა | 19 | 5 | 4 | 10 | 23-31 | 19 |
| 16. ალმერია | 19 | 5 | 4 | 10 | 21-38 | 19 |
| 17. ელჩე | 19 | 4 | 6 | 9 | 17-28 | 18 |
| 18. ვალიადოლიდი | 19 | 3 | 7 | 9 | 21-33 | 16 |
| 19. ვალეკანო | 19 | 5 | 1 | 13 | 19-45 | 16 |
| 20. ბეტისი | 19 | 2 | 5 | 12 | 16-38 | 11 |

**ბომბარდირები:** 20 – კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 – დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 12 – ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 11 – ხავი გერა (ვალიადოლიდი), პედრო (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. გვარდიოლას პრესკონფერენცია

# პეპის პირველი ბალანსი

## ყველაფერი იდეალურადაა! ლამს ხან აქ ვათამაშებ, ხან - იქ

მიუნხენის „ბაიერნის" ყატარული შეკრება მთავრდება - მიუნხენური გრანდი დღეს ისევ მიუნხენისკენ აიღებს გეზს. რეკორდმაისტერის თავკაც **ხოსეპ გვარდიოლასთვის** „ბაიერნის" თავკაცის რანგში ეს პირველი ზამთრის პაუზაა - 42 წლის პეპი შეკრების დასასრულს ჟურნალისტების წინაშე წარსდგა და არა მარტო ყატარის შეკრება, არამედ მთლიანად „ბაიერნში" გატარებული პირველი თვეებიც შეაჯამა.

### პეპი როტაციის შესახებ

როტაცია მიყვარს და ვფიქრობ, რომ ძალიან საჭიროა - განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდი ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე იბრძვის. სეზონის პირველ ნახევარში როტაციას ხშირად მივმართავდი. ხან რომელი მოთამაშე იყო ტრავმირებული და ხან რომელი - თანაც, ლაზარეთში წამყვანი ფეხბურთელები ხვდებოდნენ. როცა **არიენ რობენი** და **ბასტიან შვაინშტაიგერიც** გამოჯანმრთელდებიან, უკვე ყველა ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსი იქნება და ცხადია, რომ ზოგიერთის განაწყენება მომიწევს. ეს ნორმალური პროცესია - როტაციის დროს ზოგი ბედნიერია, ზოგიც გაბრაზებული, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩვენი მიზანი ისაა, რომ ყველა ბედნიერი იყოს.

### პეპი ფილიპ ლამის პოზიციის შესახებ

ყველა პრესკონფერენციაზე ამას მეკითხებით, მაგრამ არა უშავს, მე აქ იმიტომ ვარ, რომ ყველა კითხვაზე გიპასუხოთ. **ლამი** საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ძალიან მომწონს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის ნახევარდაცვაში ვათამაშებ. როცა შვაინშტაიგერი გამოჯანმრთელდება, ხოლო **გიოტცე** და **ტიაგო ალკანტარა** ფორმის პიკში იქნებიან, მაშინ ნახევარდაცვაში უკვე უდიდესი არჩევანი მექნება და ლამს უფრო ხშირად მარჯვენა მცველის პოზიციაზე ვათამაშებ. ერთი სიტყვით, ვიცი, რომ ფილიპის ადგილი დაცვის მარჯვენა ფრთაზეა, მაგრამ ლამი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციისთვისაც შესანიშნავი ალტერნატივაა და მასთან მიმართებაში ყოველთვის სიტუაციიდან გამომდინარე ვიმოქმედებ - ხან აქ ვათამაშებ, ხან - იქ.

### პეპი ტრავმირებული მოთამაშეების შესახებ

ყველაფერი კარგადაა. ბასტის საქმე ნორმალურად მიდის და საბედნიეროდ, ახალი ტრავმირებულები არ გვყავს. მიხარია, რომ **ჰოლგერ ბადშტუბერიც** გაცილებით უკეთესადაა. როცა გამოჯანმრთელდება, გუნდისთვის ფაქტობრივად ახალწვეულივით იქნება. საბედნიეროდ, **დავიდ ალაბას** ტრავმაც არ აღმოჩნდა სერიოზული.

### პეპი კონკრეტულად შვაინშტაიგერის შესახებ

შვაინშტაიგერი დიდხანს იყო ლაზარეთში. თითქმის ორი თვე ვერ გვეხმარებოდა. როგორც ექიმებმა თქვეს, სრულფასოვნად გამოსაჯანმრთელებლად მოსალოდნელზე ცოტათი მეტი დრო სჭირდება. ალბათ, 2-3 კვირაში მწყობრში იქნება. ფაქტია, რომ შვაინშტაიგერი ძალიან გვაკლია.

### პეპი ყატარის შეკრების შესახებ

აქ მართლაც ფანტასტიკური პირობებია. არა მგონია, რომ ზამთარში სადმე ამაზე უკეთესი პირობები იყოს. კარგად მოვემზადეთ, ახალი ტაქტიკურ-სტრატეგიული ვარიანტები დავამუშავეთ. ვარჯიშებით კმაყოფილი ვარ.

### პეპი ჩახლეჩილი ხმის შესახებ

დავბერდი. ადრე ასეთი პრობლემები არ მექმნებოდა. არა მგონია, რომ ზომაზე მეტს ვყვიროდე, მაგრამ ხმა მაინც ადრინდელზე მეტად მეხლიჩება.

### პეპი ჰოიბერგის შესახებ

ვფიქრობ, რომ **ჰოიბერგი** დიდი ფეხბურთელი გახდება და უმაღლეს დონეზე ითამაშებს, რადგან მართლაც ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა. შემიძლია ვთქვა, რომ მის დიდ მომავალში დარწმუნებული ვარ.

### პეპი ზამთრის პაუზის შესახებ

ეს პირველი პაუზა იყო მას მერე, რაც „ბაიერნში" ვმუშაობ. მგონია, რომ ასეთი პაუზები არა მარტო ფეხბურთელებისთვის, არამედ მწვრთნელებისთვის და სხვა თანამშრომლებისთვისაც კარგია. გუნდის შეკრების მთავარი მიზანი ვარჯიშია, მაგრამ შეკრება ძალიან დადებითად მოქმედებს ფეხბურთელების მენტალიტეტზე და გუნდურ სულისკვეთებაზეც. შევბულებასავითაა და მიმაჩნია, რომ აუცილებელი რამ არის.



ფილიპ ლამი და ხოსეპ გვარდიოლა

იდეა




# ნიურნბერგმა ლიბერო ამოთხარა!

## მწვრთნელი გადარჩენის გზას ლიბეროთი თამაშში ხედავს

გაჭირვების დროს მწვრთნელებს ხშირად ძალიან უცნაური იდეები მოსდით ხოლმე, „ნიურნბერგის" დამრიგებელმა **გერტიან ვერბეეკმა** კი ძალიან ძველი იდეის „საფლავიდან ამოთხრა" გადაწყვიტა.

როგორც იცით, „ნიურნბერგი" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში პირველი წრის შემდეგ ერთ-ერთი აუტსაიდერი და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების სერიოზული კანდიდატია. თანაც „ფრანკებს" ერთი თამაშიც კი არ აქვთ მოგებული. შესაბამისად, 51 წლის მწვრთნელი ესპანურ შეკრებაზე ბევრს ფიქრობს იმაზე, თუ რა უნდა შეცვალოს გუნდში იმისათვის, რომ ნიურნბერგელები მეორე ბუნდესლიგაში არ დაქვეითდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ვერბეეკი უკვე რამდენიმე დღეა, გუნდს ახალი სისტემით ავარჯიშებს - სისტემით, სადაც 4 კი არა, 3 მცველი თამაშობს, ამ სამეულის უკან კი ერთი, მეოთხე მცველი ლიბეროს ფუნქციას ასრულებს.

ლიბეროთი 90-იანი წლების შემდეგ ფაქტობრივად აღარავის უთამაშია, ყველა დროის საუკეთესო ლიბეროდ კი ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი, **ფრანც ბეკენბაუერია** მიჩნეული. ლიბეროების ფუნქცია ნახევარდაცვაში აწევა და რიცხვობრივი უპირატესობის შექმნაც გახლდათ, თავად კაიზერფრანცს კი არაერთი საგოლე პასი აქვს გაკეთებული. საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა „ნიურნბერგის" თავკაცმა ისეთ სისტემაზე გადაწყობა, რომლითაც 15 წელიწადზე მეტია, თითქმის აღარავის უთამაშია?

ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ვერბეეკი გუნდის ლიბეროიან ტაქტიკაზე გადაწყობას იმ შემთხვევებში გეგმავს, როცა თამაშის დასრულებამდე 10-15 წუთი იქნება დარჩენილი და „ნიურნბერგს" გოლის გატანა დასჭირდება. ვერბეეკს მიაჩნია, რომ სამ მცველზე და ლიბეროზე გადაწყობა დაცვასაც კომპაქტურობას შეუნარჩუნებს, შეტევაში კი პოტენციალს გაზრდის, რადგან ლიბერო ყოველთვის ჩაერთვება შეტევებში.

*„ფაქტია, რომ ტაქტიკურად უფრო მოქნილები უნდა ვიყოთ. პირველ წრეში ბევრი მატჩი არ წავაგეთ, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოვიგეთ, მეორე წრეში კი გამარჯვებები გვჭირდება. ვფიქრობ, რომ ლიბეროიანი სისტემა გამოგვადგება,"* - აცხადებს ნიურნბერგელთა დამრიგებელი. ლიბეროობის კანდიდატები „ნიურნბერგში" ცენტრალური მცველები, 30 წლის **ემანუელ პოგატეცი** და 31 წლის **პერ ნილსონი** არიან. ორივე ამბობს, თუ მწვრთნელი საჭიროდ მიიჩნევს, ამ როლს სიამოვნებით ვიტვირთებთო.

ბუნდესბუნდი

# რაფაელი გერმანიის ნაკრებში?

## ბრაზილიელმა თეორიული გამოცდა ჩააბარა

შოუბის შემდეგ „გლადბახის" ბრაზილიელმა წინახაზელმა **რაფაელმა** ისეთი განცხადება გააკეთა, რომ მთელი საფეხბურთო გერმანიის (და არა მარტო გერმანიის) ყურადღება მიიპყრო. 28 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, რომელსაც გამთამაშებლობაც ეხერხება, გერმანიის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა: *„ვერ ვხედავ პრობლემას იმაში, რომ გერმანიის მოქალაქეობა მივიღო და იოახიმ ლიოვის გუნდში ვითამაშო. მეტიც: ამის სურვილი მაქვს!"*

როგორც იცით, გერმანიის ნაკრებს არც ერთ რგოლში, განსაკუთრებით კი შეტევაში, არ უჭირს და ნამდვილად არ აქვს საქმე საიმისოდ, რომ რომელიმე ვარსკვლავის ნატურალიზება სჭირდებოდეს, რაფაელისთვის კი ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველი ის გახდა, რომ პირველი წრე ძალიან კარგად ჩაატარა - „გლადბახის" ფორმით მან 9 გოლის გატანა მოახერხა.

სანამ გერმანიის ნაკრების თავკაცი იოახიმ ლიოვი ამ საკითხთან დაკავშირებით რამეს იტყოდეს, გაზეთმა „ბილდმა" თემა არ „გააცია" და რაფაელს დაუსვა კითხვები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად იმსახურებს ბრაზილიელი გერმანიის დროშის სამსახურს.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ამას რაფაელის თეორიული გამოცდა უწოდეს - ბრაზილიელმა პირველივე შეკითხვას უპრობლემოდ უპასუხა: კითხვაზე, წარმოშობით რომელმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ჩაატარა ლიოვის ფორმაციის ბუნდესგუნდში 23 მატჩი, მიონხენგლადბახელმა მაშინვე მიუგო, **კაკაუმო**.

რაფაელმა მარტივად უპასუხა კითხვებს გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი ფეხბურთელის, **იოახიმ ლიოვის** წინამორბედი მწვრთნელების რაოდენობის, ბუნდესგუნდის მსოფლიოს ჩემპიონობის რაოდენობისა და ბოლო მოგებული მუნდიალის შესახებ. პრობლემა არც ამ კითხვაზე შეექმნა: *„რომელ თავდამსხმელს შეუძლია რონალდოს 15-გოლიანი რეკორდის დამხობა მუნდიალზე?" „რა თქმა უნდა, მიროსლავ კლოზეს, მას მხოლოდ ერთი გოლიღა აკლია."*

სამაგიეროდ, რაფაელმა ვერ უპასუხა კითხვებს გერმანიის ნაკრების პირველი საპატიო კაპიტნის (**ფრიც ვალტერი**) და იმ მეკარის შესახებ, რომელსაც გერმანიის ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული (**ზეპ მაიერი**, 95 თამაში). თუმცა ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ამ ორი კითხვის გამო არ ჩაჭრეს და გერმანიის ნაკრებისთვის მზად მყოფი ბრაზილიელის სტატუსი მიანიჭეს. ახლა ყველაფერი თავად რაფაელზე და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იოახიმ ლიოვზეა დამოკიდებული.




რაფაელს იოახიმ ლიოვის გუნდში თამაში უნდა

ტრანსფერი

# დე ბრუინი ვოლფსბურგისკენ!

## მგლები ჩელსის 20 მილიონს ჩაუთვლიან

„ვოლფსბურგი" აღარ ხუმრობს! ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ავტოკონცერნ „ფოლკსვაგენის" კლუბი ლონდონის „ჩელსიდან" ბევრისთვის სასურველ ფეხბურთელს, 22 წლის **კევინ დე ბრუინს** გადაიბირებს. გერმანული კლუბის სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსის** თქმით, ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია.



კევინ დე ბრუინი

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ვოლფსბურგელები და ლონდონელები ახლა ბოლო დეტალებს ათანხმებენ. „ბილდი" წერს, რომ გერმანელებს დე ბრუინის ტრანსფერი 20 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ნიჭიერი ნახევარმცველი, რომელმაც „ჩელსის" ფორმით პირველ წრეში მხოლოდ 9 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, „ვოლფებს" ძალიან მალე, აბუ დაბის შეკრებაზე უნდა შეუერთდეს.

ეს ტრანსფერი იმის მანიშნებელი იქნება, რომ „ვოლფსბურგს" ძალიან სერიოზული მიზნები აქვს. ცნობილია, რომ ალოფსმა მიზნად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დაისახა. ზაფხულში „მგლებმა" 20 მილიონი „ბაიერნიდან" ნაყიდ ბრაზილიელში, **ლუის გუსტავოში** გადაიხადეს, ახლა კი დე ბრუინშიც ამდენივეს იხდიან!

ვოლფსბურგელთა მიზანი „ბაიერნის" კონკურენტად ჩამოყალიბებაა. როგორც ირკვევა, „ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელებს უნდათ, რომ მათი ლოგო ჩემპიონთა ლიგაში მუდმივად ჩანდეს და ამისათვის თანხებს არ იშურებენ - ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგი" ზაფხულისთვისაც რამდენიმე სერიოზულ ტრანსფერს გეგმავს. მწვრთნელი დიტერ ჰეკინგი ყველაზე მეტ ფულს მაღალი დონის ცენტრფორვარდის შესაძენად მიიღებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ოქროს ბურთი

# მესის ერა დასრულდა?

## რონალდოს ოქროს ცრემლები ციურიხში

გუშინ ციურიხის „კონგრეს ჰაუსში“ ფიფას გალა-დაჯილდოვება გაიმართა, სადაც 2013 წელს ფეხბურთის სამყაროში თავგამოჩენილი ადამიანები დააჯილდოვეს. ბუნებრივია, მთავარი პრიზი ფიფას ოქროს ბურთი იყო ვაჟ ფეხბურთელთა შორის, რომელიც სამი უმთავრესი კანდიდატიდან ერთ-ერთს უნდა მიეღო: პრიზისთვის **ლიონელ მესი, ფრანკ რიბერი** და **კრიშტიანო რონალდო** იბრძოდნენ.

გაიმარჯვა ფავორიტმა - კრიშტიანო რონალდომ, რომელმაც ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების, კაპიტნებისა და ჟურნალისტების ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

მადრიდის „რეალის“ 28 წლის ვარსკვლავმა ცრემლიანმა ჩაიბარა მისთვის მეორე ოქროს ბურთი (მაგრამ ფიფას ეგიდით პირველი): *„ყველას დიდი მადლობა! მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, გუნდს. ყველას, ვისაც ჩემი იმედი ჰქონდა და აქვს. იყო დრო, როცა მეგონა, რომ ეს მისია შეუსრულებელია, ასე შეიძლებოდა იმედი დამეკარგა. ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა მესის, რადგან მისი ფაქტორი იყო ჩემთვის უდიდესი სტიმული“.*

ხმები ასე განაწილდა: რონალდო - 27,99%, ლიონელ მესი - 24,72% და ფრანკ რიბერი - 23,36%. მეოთხე ადგილზე გავიდა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** - 5,29%, მეხუთეზეა - **ნეიმარი** - 3,17%, მეექვსე - **ანდრეს ინიესტა** - 2,08%.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფიფას წლის სიმბოლური ნაკრებიც დასახელდა: **მანუელ ნოიერი** (ბაიერნი), **ფილიპ ლამი** (ბაიერნი), **სერხიო რამოსი** (რეალი), **ტიაგო სილვა** (პსჟ), **დანი ალვეში** (ბარსელონა), **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ჩავი** (ბარსელონა), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ), **ლიონელ მესი** (ბარსელონა).



ზლატან იბრაჰიმოვიჩის გოლი, რომელიც, სხვათა შორის, მან ჯერ კიდევ 2012 წელს გაიტანა ინგლისის ნაკრების კარში, 2013 წელს გახდა წლის საუკეთესო გოლი, ხოლო ზლატანი ამის გამო 2014 წელს დააჯილდოვეს - ნამდვილი კურიოზია.






საუკეთესო ქალი ფეხბურთელი გახდა გერმანიის ნაკრების ლიდერი **ნადინ ანგერერი**. მან ამერიკელ **ები უიმბაჰს** და ბრაზილიელ **მარტას** აჯობა. შეგახსენებთ, რომ 35 წლის ანგერერი მეკარეა.



ბრაზილიელ ლეგენდა **პელეს** სპეციალური ოქროს ბურთი გადაეცა, როგორც გასული საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელს, მოგეხსენებათ, პელეს დროს ეს პრიზი მხოლოდ ევროპელების საკუთრება იყო. ამიტომაც, პელემ პირველად მიიღო ოქროს ბურთი.



2013 წელს წლის საუკეთესო მწვრთნელი პენსიაში გასული **იუპ ჰაინკესია**, რომლის „ბაიერნმაც“ საოცარი ჰეთთრიკი შეასრულა. 68 წლის გერმანელმა **ალექს ფერგიუსონს** და **იურგენ კლოპს** აჯობა.

ამბები

### გინტერი ყველას უნდა!

ფრაიბურგელი **მათიას გინტერი** ჯერ მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ ბუნდესლიგაში უკვე 53 მატჩის ჩატარება მოასწრო და ორჯერ გახდა **ფრიც ვალტერის** სახელობის მედლის ლაურეატი - ამ მედალს კი გერმანიაში უნიჭიერეს ფეხბურთელებს აძლევენ ხოლმე. შესაბამისად, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ გინტერს უკვე ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავს.

„ფრაიბურგთან“ მას კონტრაქტი 2017 წლამდე აქვს გაფორმებული და თანაც, ხელშეკრულებაში არანაირი პუნქტები არ უწერია, მაგრამ მსურველებს არც ეს ფაქტორი აშინებს - მისი გადაბირება მიუნხენის „ბაიერნს“, ლევერკუზენის „ბაიერს“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ სურთ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, მიუნხენში იმაზეც კი ფიქრობენ, რომ „ფრაიბურგს“ ფული გადაუხადონ, გინტერი შეიძინონ, მაგრამ მერე ისევ „ფრაისვე“ათხოვონ, რათა ყველა მხარე კმაყოფილი დარჩეს.

### ცორკი: როისი სამუდამოდ დორტმუნდში!

დორტმუნდის „ბორუსიას“ სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ამბობს, ყველაფერი ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, **მარკო როისს** სამუდამო კონტრაქტს გავუფორმებდი და „დორტმუნდიდან“ არასდროს გავუშვებდიო. ცორკმა ეს მას მერე თქვა, რაც ჟურნალისტმა კიდევ ერთხელ გაუმეორა კითხვა იმის შესახებ, რომ 24 წლის როისს ევროპის არაერთი გრანდი ეპატიჟება.

*„სპეკულაციებს უკვე შევეგუეთ. მას მერე, რაც ჩვენი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, დღე არ გავა, რომ ჩვენს რომელიმე ფეხბურთელზე ახალი სპეკულაცია არ გავრცელდეს,“* - აცხადებს ცორკი. **მარიო გიოტცესა** და **რობერტ ლევანდოვსკის** დაკარგვის (პოლონელი ზაფხულში „ბაიერნში“ გადავა) შემდეგ, „ბორუსიას“ ბოსები როისს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან, მაგრამ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ მარკოს კონტრაქტში (2017 წლამდე) ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც როისს 2015 წელს „ბორუსიადან“ წასვლა 35 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია.

**გოტფრიდ ლენცი**




მარკო როისი და მიხაელ ცორკი



ციგაობა

# ორი მეათასედი წამი ბრინჯაომდე



გიორგი სოლოიანი

ახალგაზრდა ქართველი მოციგავეები - ბაკურიანის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი, 16 წლის **გიორგი სოლოიანი** და **ვიქტორ ფერაძე** მსოფლიო თასსა და ევროპის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად 3 თვის განმავლობაში ნორვეგიასა და ლატვიაში ემზადებოდნენ მთავარი მწვრთნელის - **ფელიქს ქუმარიტაშვილის** ხელმძღვანელობით. შეჯიბრება, რომელშიც 17 ქვეყნის 50-მდე წარმომადგენელი ჩაება, ლატვიის ქალაქ სიგულდაში გაიმართა. ერთადგილიანი ციგით შესანიშნავად იასპარეზა გიორგი სოლოიანმა, რომელმაც მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპსა და კონტინენტის პირველობაზეც მე-4 ადგილები (1:26.475) დაიკავა. ბაკურიანელ სპორტსმენს ორი დაშვების ჯამში წამის ორი მეათასედით აჯობა იტალიელმა ფაბიან მაილერმა (1:26.473), რომელსაც ბრინჯაოს მედალი ერგო. მეორე ადგილი ლატვიელ კრისტერს აპარიოდსს (1:25.956) ხვდა, ხოლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავსტრიელი ნიკო გლაირხერი (1:25.724) ავიდა.

ვიქტორ ფერაძე მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპზე მე-15 (1:27.695) იყო, რაც ევროპის პირველობაზე მე-13 შედეგი აღმოჩნდა, რადგან იმ სპორტსმენებს შორის, რომლებმაც მას მსოფლიოს თასზე გაუსწრეს, ორი ამერიკელი გახლდათ.

ბალტიისპირული ბატალიების მონაწილეები უკვე ბაკურიანში არიან და ახლა იქ გადიან საერთო ფიზიკურ მომზადებას. მალე უცხოეთში გაემგზავრებიან და საწვრთნელ შეკრებას გერმანიასა და ლატვიაში გაივლიან.

**ფელიქს ქუმარიტაშვილი:** „სიგულდაში მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპსა და იუნიორთა ევროპის პირველობაზეც სერიოზული კონკურენცია იყო საპრიზო ადგილებზე გასასვლელად. სპორტსმენები 1050-მეტრიან და 13-მოსახვევიან ტრასაზე ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. გიორგი სოლოიანმა გვასახელა. მისი შედეგი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი დონის ტურნირზე მე-4 ადგილი მაღალი მაჩვენებელია - ბრინჯაოს მედლამდე ხომ მას ორი დაშვების ჯამში ნახევარი სანტიმეტრი არ ეყო. არც ვიქტორ ფერაძის შედეგია ურიგო.

როგორც ცნობილია, ტრასის უქონლობის გამო ჩვენი სპორტსმენები უცხოეთში ემზადებიან, საამისოდ დიდ დახმარებას გვიწევენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. მხარდაჭერის პასუხად, ვცდილობთ, თავი არ შევირცხვინოთ. შარშან ინსბრუკში 12-წლამდელ მოციგავეთა მსოფლიოს პირველობაზე საბა ქუმარიტაშვილმა და ლაშა ფერაძემ, შესაბამისად, IX და XI ადგილები დაიკავეს. ახლა ისინი მიზანმიმართულად ემზადებიან 2016 წლის ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც ლილეჰამერი უმასპინძლებს. სოლოიანსა და ვიქტორ ფერაძეს ახალ სეზონში მნიშვნელოვანი გეგმები აქვთ - მსოფლიოს თასის ექვსივე ეტაპსა და იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ, რომელიც 2015 წელს ავსტრიაში გაიმართება. შორსმიმავალ მიზნებსაც გაგიმხელთ - 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვება გვსურს.

რაც შეეხება ბაკურიანში ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით ის 2014 წელს უნდა აშენდეს. 380-მეტრიანი იქნება და საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ტალინში კერესის მემორიალზე

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გრძელდება სახელოვანი მოჭადრაკის - პაულ კერესის მემორიალი, რომელშიც ორი ჩვენებურიც მონაწილეობს. გუშინ მე-5 ტურში საერთაშორისო ოსტატმა **აკაკი შალამბერიძემ** თეთრი ფიგურებით ვიორელ იოდაჩესკუ (მოლდოვა) დაამარცხა და 4 ქულა მოაგროვა. **ვარლამ ვეფხვიშვილმა** შავებით კირილ ჩუკავინს (ესტონეთი) სძლია და ხუთი ტურის შემდეგ 3 ქულა აქვს. მემორიალს 4,5 ქულით ალექსანდრ დანინი (რუსეთი) მეწინავეობს. გუშინ მან ბორის ჩატალბაშევს (ბულგარეთი) აჯობა. დაზავდნენ: მიკაელ აგოპოვი (ფინეთი)-ტომს კანტანსი (ლატვია), მინდაუგას ბეინორასი (ლიტვა)-სერგეი აზაროვი (ბელარუსი).

ხუთი ტურის შემდეგ დანინს 4,5 ქულა აქვს. ნახევარ-ნახევარი ქულით ოთხი მოჭადრაკე, მათ შორის - შალამბერიძე, ჩამორჩება.

დღეს მე-6 ტურში შალამბერიძე შავებით აზაროვს ხვდება, ხოლო ვეფხვიშვილი კვეინისს (ლიტვა) დაუპირისპირდება. შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

# სხვაობა გაიზარდა

კიდევ სამი ტური და ნიუ-დელიში დამთავრდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სამი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს. სამწუხაროდ, გუშინ მე-7 ტურში ვერც ერთმა ჩვენებურმა ვერ იყოჩაღა: **მერაბ გაგუნაშვილი** შავი ფიგურებით მასპინძელ ბაბუ ლალიტს დაუზავდა; ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **თორნიკე სანიკიძე** და რაჰულ სანგმა (ინდოეთი), **ლევან ფანცულაია** კი რაჯაპარა ანკიტთან (ინდოეთი) დამარცხდა. სამაგიეროდ, პოზიციები განიმტკიცა ერთპიროვნულმა ლიდერმა აბჰიჯეთ გუპტამ (ინდოეთი), რომელმაც შავებით ტურნირის რეიტინგფავორიტ მარტინ კრავცივს (უკრაინა) აჯობა და 6,5 ქულით ისევ გათამაშების ცხრილის სათავეშია. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან ანკიტი, უკრაინელი ელდარ გასანოვი ინდოელ ვენკატეშს მოუგო), უზბეკი ბობირ სატაროვი (თანამემამულე მარატ ჯუმაევს აჯობა) და უკრაინელი ვალერი ნევეროვი (ინდოელ ვიგნეშს სძლია). გაგუნაშვილს 5 ქულა აქვს, ფანცულაიას — 4,5, ხოლო სანიკიძემ 4 ქულას მოუყარა თავი. მე-8 ტურში ქართველები მეტოქეებთან ასე დაწყვილდნენ: გაგუნაშვილი-დიიპენი (ინდოეთი), ფანცულაია-რატნაკარანი (ინდოეთი), შივანანდა (ინდოეთი)-სანიკიძე. დიდ ინტერესს იწვევს ლიდერთა ორთაბრძოლებიც: გუპტა-ანკიტი, სატაროვი-ლალიტი, გასანოვი-ნევეროვი.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# რაშიჩი კიდევ წლინახევრით

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებს შარშან შემოდგომით ჩაუდგა სათავეში სერბი სპეციალისტი **ჯორჯე რაშიჩი,** რომელმაც მოკლე დროში თავისი ხელი დაატყო ეროვნულ გუნდს. ჩვენმა ბიჭებმა 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სამი საშინაო მატჩი მოიგეს. მსგავსი შედეგი ქვეყნის ნაკრებს 1999 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შემდეგ არ ჰქონია. საქართველოს ხელბურთის ფედერაცია რაშიჩის მუშაობით კმაყოფილია და მასთან კონტრაქტს ახანგრძლივებს. ახალ ხელშეკრულებას წლინახევრით მოეწერება ხელი. სერბი მწვრთნელი, ეროვნულის გარდა, ყველა ნაკრების მზადებაში ჩაერთვება და მათ საქმიანობას კოორდინაციას გაუწევს.

**ჯორჯე რაშიჩი:** შარშან საქართველოში რომ ჩამოვედი, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა საკვალიფიკაციო ეტაპის სამი საშინაო თამაშის მოგება დამისახა მიზნად. გუნდთან ერთად ეს დავალება შევასრულე და ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავეთ. ამ ეტაპზე შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან მეტისთვის დრო არ გვქონდა. ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ. ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დრო საკმარისად გვექნება, რომ ეროვნული გუნდი უფრო მაღალი შედეგებისთვის მოვამზადებთ. ერთადერთი, რითაც ამჟამად უკმაყოფილო ვარ, ფინეთთან ბოლო მატჩია, თუმცა სუომელებთან წაგებასაც აქვს თავისი გამართლება - ნახევარი გუნდი ვირუსით იყო ავად. მართალია, ამ შესარჩევ ეტაპზე სტუმრად სამივე პაექრობა წავაგეთ, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ პრობლემასაც მოევლება. მთავარია, გუნდის წევრები უფრო ხშირად იყონ ერთად. ნაკრებში რამდენიმე პრობლემატური პოზიცია გვაქვს - ესაა ხაზის მოთამაშე, გამთამაშებელი და მარცხენა გარემარბი. პირველი მარტიდან თბილისში ვიცხოვრებ, დავესწრები ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს, მონაწილეობას მივიღებ ასაკობრივი ნაკრები გუნდების მზადებაში და, ვფიქრობ, ამ პოზიციებსაც გავაძლიერებთ. ჩემი ხელშეკრულება 2015 წლის ივლისამდე გაფორმდება, ანუ თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის დაწყებამდე. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ეროვნულ ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ფესტივალისთვისაც ახალგაზრდების კონკურენტუნარიანი გუნდი გვყავდეს.

**ვაჟა დანელია**


მარცხნიდან ჯორჯე რაშიჩი

წყალბურთი

# საევროპოდ თურქეთია გასავლელი

წლეულს 14-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. მედლებისთვის ბრძოლის უფლება უკვე აქვთ სერბეთს, ჩერნოგორიას, იტალიას, გერმანიას, საბერძნეთსა და უნგრეთს. კიდევ ექვს ფინალისტს პლეი ოფი გამოავლენს. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის 18 გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპში მონაწილეობდა. მათგან საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი და სლოვაკეთი პლეი ოფში გავიდნენ, სადაც ისინი 15 თებერვალსა და პირველ მარტს ორრაუნდიან პაექრობაში წინა ევროპის ჩემპიონატის მეშვიდე-მეთორმეტე ადგილოსნებს, შესაბამისად, თურქეთს, ჰოლანდიას, მალტას (მაკედონიის ნაცვლად დაუშვეს პლეი ოფში), ესპანეთს, რუმინეთსა და ხორვატიას დაუპირისპირდებიან.

ჩვენი გუნდი (მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე**, მწვრთნელი **იოვან პოპოვიჩი**) პირველ შეხვედრას შინ — „ოლიმპიკის" საცურაო აუზში 15 თებერვალს გამართავს. ამ პაექრობისთვის საქართველოს ნაკრები ამჟამად თბილისში ემზადება. 26 იანვარს ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრებისა და ტესტმატჩების ჩასატარებლად ჩერნოგორიას გაემგზავრება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ყაზახეთის ნაკრებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას მოაწყობს „ოლიმპიკის" აუზში, 5-6 თებერვალს კი აზიელებთან საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს გამართავს. ჩერნოგორიაში ჩვენს გუნდს ნატურალიზებული წყალბურთელები — მარინო ფრანიჩევიჩი და დამირ ცრეპულია შეუერთდებიან, ხოლო იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე **მარკო ელეზი** და **მარკო ელაჩა** საქართველოს დედაქალაქში თბილისური შეკრებისთვის ჩამოვლენ.

**ვაჟა დანელია**




ჩოგბურთი

Australian Open
The Grand Slam of Asia/Pacific

# კვალიფიკაცია იკმარა

თბილისელი **ანა ტატიშვილი,** როგორც გაუწყეთ, საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება ავსტრალიის ღია პირველობაში (საპრიზო ფონდი 33.000.000 დოლარი). იქ ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია და 50 სარეიტინგო ქულაც გამოიმუშავა. კლასიფიკაციაში 126-ე ადგილზე მყოფი ჩვენებური გუშინ ძირითადი ბადის პირველ წრეში მსოფლიოს რეიტინგში 57-ეადგილოსან მყოფ მონიკა პუიგთან (პუერტო-რიკო) ორ სეტში დამარცხდა: 2:6, 4:6.

მწვანე კონტინენტზე ჩვენებურთა გამოსვლა ამით არ დასრულებულა (საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში შეჯიბრებას გამოეთიშა **სოფიო შაფათავა**): წყვილებში უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან ერთად იასპარეზებს თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა.** სტარტზე ისინი რუს სვეტლანა კუზნეცოვას და მასპინძელ სამანტა სტოსურს გაუწევენ მეტოქეობას.

■ ■ ■

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ (WTA) განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. კლასიფიკაციაში ქართველთა მაჩვენებლები ასეთია: 126 (126). ანა ტატიშვილი (499 ქულა), 214 (214). სოფიო შაფათავა (288), 317 (318). ოქსანა კალაშნიკოვა (150), 418 (419). ეკატერინე გორგოძე (97), 453 (456). მაკა ჩახნაშვილი (81), 743 (743). სოფიო ქვაცაბაია (28), 1206 (1212). მარიამ ბოლქვაძე (4), 1234 (1238). თამარ ჭალაგანიძე (3).

**წყვილებში:** 57 (56). კალაშნიკოვა (1632), 84 (85). ტატიშვილი (1085), 178 (181). შაფათავა (382), 460 (463). გორგოძე (107), 523 (525). ქვაცაბაია (84), 770 (771). ჩახნაშვილი (34), 1264 (1266). ჭალაგანიძე (4), 1289 (1289). ბოლქვაძე (3).

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

# შუკვანი მაინც დავკარგეთ




ბეთქილ შუკვანი ოლიმპიადაზე აზერბაიჯანისკენ წაიქცა

## თანამედროვე ლეკიანობა ანუ რაზე შევუთანხმდით აზერბაიჯანს?

საქართველო რომ პარადოქსების ქვეყანაა და არაფერი უნდა გვიკვირდეს, თითქოს მივეჩვიეთ ამას, მაგრამ ხშირად ისეთი ალიყური მოგხვდება, გინდა-არ გინდა, ოხროხინესავით მაინც გამოგაფხიზლებს. დაახლოებით ამგვარი შემოლაწუნება იყო, როცა აზერბაიჯანულ „azerisport.com"-ზე იაპონიაში შეკრებაზე წასულ იქაურ გუნდში **ბეთქილ შუკვანის** (60) გვარ-სახელიც ამოვიკითხე. როგორც ჩანს, სპორტსმენმა და **პეტერ ზაიზენბახერმა** მაინც მიაღწიეს საწადელს და ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ფალავანი საბოლოოდ დავკარგეთ.

შუკვანმა იქ გადასვლა დიდი ხნის წინ ამოიჭრა გულში, რასაც დიდი ბიძგი ლონდონის ოლიმპიადაზე მომხდარმა, ბოლომდე ჯერაც გაურკვეველმა ინციდენტმაც მისცა, როცა პოლიტიკურ ინტრიგებში გახლართული სპორტსმენი იძულებული გახდა, ნაადრევად დაეტოვებინა ბრიტანეთი და სამშობლოში გამოპარულიყო. თუმცა რიგი გარემოებები გვაფიქრებინებს, რომ საქმე მხოლოდ ამ ინციდენტშიც არ იყო – მაშინ აზერბაიჯანელებმა ბლომად ქართველ ძიუდოისტს მოხვიეს ხელი და ლამის მთელი სათადარიგო შემადგენლობის წაყვანა მოინდომეს. „თანამედროვე ლეკიანობამ" ისეთი მასშტაბი მიიღო, საზოგადოებაში პროტესტმა ძალუმად იფეთქა – აქეთ საქართველოს ძიუდოს ხელმძღვანელობა, იქით კი სპორტის სამინისტრო აცხადებდნენ, რომ ამ თემაზე აზერბაიჯანულ მხარესაც მოელაპარაკნენ და მიგრაცია შეწყდებოდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განგვიცხადა, რომ პირადად შეხვდა თავის აზერბაიჯანელ კოლეგას და შეთანხმდნენ, არ დაეშვათ სპორტსმენთა მიტაცება. ცხადია, ამ თემაზე საუბრისას ყველაზე აქტუალური შუკვანის საკითხი იყო და კონკრეტულად მასზე ვიღებდით დამაიმედებელ პასუხს. ახლანდელი ინფორმაციაც სწორედ ამიტომ იყო შემოლაწუნება. შუკვანმა შარშანწინ აგვისტოში ოლიმპიადაზე იჭიდავა საქართველოს სახელით, იმის შემდეგ კი შარშან, სეზონის დასაწყისში პარიზულ „მუზარადზეც" გამოვიდა ანუ მას ჩვენი სახელით ორწლიანი წყვეტა არ აქვს, ასეთ პირობებში კი ვერც ჩვენი ფედერაციის უნებართვოდ წავიდოდა სადმე და ვერც ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციების თანხმობის გარეშე. ძაღლის თავიც აქაა დამარხული – როგორც ჩვენი ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ქევხიშვილმა** გვითხრა, შუკვანს წასვლის ნება ფედერაციის აღმასკომმა მისცა, თუმცა თვითონ პირადად ამის წინააღმდეგი იყო. გვინდა, თავად აღმასკომსაც მივმართოთ – რატომ აძლევენ წასვლის ნებას საჭირო სპორტსმენებს? არგუმენტად არ გამოდგება, შუკვანს თავად უნდოდა წასვლაო. ხვალ **ლაშა შავდათუაშვილს** რომ შესთავაზოს ვინმემ უფრო მეტი, იმასაც გაუშვებენ? თუმცა ქევხიშვილმა დაგვაიმედა, რომ აღმასკომი მსგავს საკითხს მეტად აღარ განიხილავს....

ვიცით, რომ შუკვანი ზემდგომ ინსტანციებთან მთელი ამ ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს ზემოხსენებული ნებართვის მისაღებად. გვესმის, რომ ძნელია, დააკავო ადამიანი, როცა მას მტკიცედ უნდა სხვაგან წასვლა (მოარული ხმებით, ზემოხსენებულ ინციდენტზე მეტად მისი მოტივაცია ბარაქიანი ფინანსური წინადადებით იყო განპირობებული - ამბობენ, თვეში 3000-ევროიან ხელფასს პირდებიანო), მაგრამ კომპენსაცია მაინც ხომ უნდა მივიღოთ. საქართველომ დიდი შრომა გასწია შუკვანის ამ დონემდე მისაყვანად, ასეთი რანგის სპორტსმენად ჩამოსაყალიბებლად და ახლა ამის საზღაური რატომ არ უნდა მიიღოს.

ბუნებრივია, წინააღმდეგი არ ვართ, შუკვანმა ან ნებისმიერმა სხვამ თავისი მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს, თუნდაც უცხოეთში წასვლით (სხვა თუ არაფერი, ასეა წასული მთელი ქვეყანა), მაგრამ აქ საქმე სხვა რამეშია - ღირსებაში, რომელიც არ უნდა დაკარგო. საქმეც ამაშია, თორემ ერთი კონკრეტული სპორტსმენის, თუნდაც შუკვანზე ბევრად ტიტულოვანის წასვლას სულაც არ ვაიგივებთ არათუ ქვეყნის ხერხემალთან, ერთ რიგით მალასთანაც კი, ამან მთელი ძიუდო, მთელი სპორტი რომ ჩამოგვიშალოს. ისიც სამწუხაროა, რომ ჩვენში სამშობლო ბევრს ჯერაც ლამის გასათევი სადგური ჰგონია. ლეგენდარული **ნონა გაფრინდაშვილის** სიტყვებსაც შევახსენებთ მომავალ თაობას, წასვლის მსურველ ასე გაჯიქებულ სპორტსმენს რომ მიახალა, სამშობლოს არ ევაჭრებიანო...

ერთი სიტყვით, ამ კონკრეტული ფაქტის უკან ბევრი მანკიერების სათავე იმალება, რაც ზოგად ტენდენციაში გადადის და სცილდება შუკვანის კონკრეტულ პრობლემას. ბოლო-ბოლო, როდემდე ვუყუროთ, საქართველოდან წასული მწვრთნელები დასტა-დასტად როგორ აყოლებენ ხელს ნიჭიერ სპორტსმენებს სხვა ქვეყნებში და ჩვენს წინააღმდეგ ზრდიან? ზაიზენბახერი არც პირველია და თუ ასე გაგრძელდა, არც ბოლო იქნება. ან ეს რა მიდგომაა, რომელიმე წონაში ერთი მაღალი დონის ფალავანი თუ გვყავს, სხვა აღარ გვინდა? შუკვანზეც ასე გაისმოდა ამ თვეებში, **ამირან პაპინაშვილი** ხომ გვყავს, რაღა გვადარდებსო! პაპინაშვილი ევროპის ჩემპიონია ანუ შუკვანზე უფრო ტიტულოვანი, მართლაც კარგი სპორტსმენი, მაგრამ ორი გვყავდეს, განა გვაწყენს? ძლივს ისეთი წესი შემოიღეს, ევროპამსოფლიოზე ერთ წონაში ორი კაცის გაყვანა შეიძლება და გამოვიყენოთ ეს შანსი.

**ირაკლი თავაძე**

სუმო

# წლის პირველი გამარჯვება

დღეისათვის ერთადერთი ფალავანი, რომელიც პროფესიულ სუმოში საქართველოს სახელს იცავს **თეიმურაზ ჯუღელია (გაგამარუ)**, რომელიც ელიტურ ლიგაში მე-12 მაეგაშირას რანგით ასპარეზობს. III დივიზიონის მკვიდრი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ტრავმირებულია და ის კიდევ უფრო დაეშვება რეიტინგ-ლისტში.

გაგამარუმ პირველი მოგება მონღოლ **შოტენროსთან** ძალზე ინტენსიურ ორთაბრძოლაში მოიპოვა, შუა დოჰიოზე ერთ-ერთ მომენტში გამოეცალა მეტოქეს და ის ძირს დაენარცხა. გაგამარუს 1-1 ბალანსი აქვს და **კიოკუშუჰოს** შეხვდება, რომელთანაც ძალზე უარყოფითი ბალანსი აქვს: 0:4.

**II დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ჰიკიოტოში), კაკურიუ-ჩიოტაირიუ (უვატედაშინაგე), ოკინოუმი-კოტოშოგიკუ (კოტეჰინერი), კისენოსატო-მიოგირიუ (სუკუინაგე), იკიოი-კოტოოშუ (სუკუინაგე), **გაგამარუ-შოტენრო** (ჰატაკიკომი).

**III დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ოკინოუმი, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კისენოსატო-ჩიოტაირიუ, კაკურიუ-ტოჩიოძანი, გოეიდო-ამინიშიკი, **გაგამარუ-კიოკუშუჰო**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჭიდაობა. დოპინგი

# ისევ დოპინგი და დისკვალიფიკაცია

## ედიშერაშვილი და არაბული: მორიგი დასჯილი დუეტი

მორიგი სამწუხარო და სკანდალური ცნობა ქართულ სპორტში, ისევ დოპინგის თემაზე, რომელმაც ერთბაშად ორი მოჭიდავის კარიერა შეაფერხა. პირველი მათგანი ევროპის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **გიორგი ედიშერაშვილია** (55), მეორე - ბერძნულ-რომაულში ახალგაზრდებში ევროპის 2012 წლის ვიცე-ჩემპიონი **ლევან არაბული** (120. მათ სინჯები შარშან მოსკოვში, 8-10 ნოემბერს გამართულ „ევროპის ერთა თასზე" აუღეს. პირველმა ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა, განმეორებითზე კი ორივე სპორტსმენმა უარი განაცხადა - როგორც ამ დარგის ექიმებმა განგვიმარტეს, იმდენნაირ პრეპარატსა და ისეთ დოზებზეა საუბარი, ამას აზრიც არა აქვსო.




ორივე ფალავანს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, თუმცა ესეც იმის ხარჯზე, რომ ჯერ ძალაში არ შესულა ახალი დებულება, თორემ ის კიდევ უფრო მკაცრია და პირველივე შემთხვევაზე ოთხწლიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს, რაც ავტომატურად ნიშნავს ოლიმპიადის გამოტოვებას. ახლა ქართული მხარის მთავარი საზრუნავია, იქნებ როგორმე სადამსჯელო მექანიზმის გადმოცემას მაინც მიაღწიონ და სპორტსმენებს ოდნავ ნაკლები სასჯელი დააკისრონ, რათა მათ სალიცენზიო შეჯიბრებებში მონაწილეობა შეძლონ, თუმცა ძალზე საეჭვოა, ამ გადმოცემას მიაღწიონ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ფედერაცია უკვე შეუდგა სათანადო საბუთების მომზადებას. დისკვალიფიკაციის ვადა 2013 წლის 11 ნოემბრიდან აითვლება, 2015 წელს სალიცენზიო მსოფლიოს პირველობა კი (ადრე აქ გაიცემოდა ყველაზე მეტი საგზური) სექტემბრის დასაწყისშია ლას-ვეგასში. სავარაუდოდ, ფალავნებს ამის შემდეგაც ექნებათ ლიცენზიების მოპოვების შანსი (ალბათ, ორიოდე სალიცენზიო ტურნირი ისევ ჩატარდება), თუმცა დისკვალიკიფიკაციის პერიოდში ისინი ვერ ივარჯიშებენ ნაკრებთან ანუ სრულფასოვნად ვერ მოემზადებიან. ამავე პერიოდში მათ მოეხსნებათ ხელფას-პრემიებიც, რაც ამ სამწუხარო ცნობის მიღებისთანავე მყისიერად გააკეთეს სამინისტრომ, ფედერაციამ თუ ოლიმპიურმა კომიტეტმა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგებოდა.

როგორც ექიმები და ჩვენი ანტიდოპინგური სააგენტოს წარმომადგენლები ამბობენ, ამჯერადაც თვითნებურად მიღებულ და ინტერნეტით გამოწერილ პრეპარატებზეა საუბარი. სამწუხაროა, რომ მავნე და საკუთარი კარიერის დამღუპველი ასეთი მიდგომა ისევ გრძელდება. ხელწერა ამჯერადაც იგივეა - მეგობრების, ნაცნობების, მწვრთნელების დახმარებით გამოწერილი და ექიმთა დაუკითხავად მიღებული პრეპარატები... როგორც უმეტესად ხდება ხოლმე, ამ დროს ათლეტებს არასწორი ინფორმაცია აქვთ კონკრეტული წამლის შემადგენლობაზე და მისი კვალი გაცილებით დიდხანს რჩება ორგანიზმში, ვიდრე ამას არაპროფესიონალები ეუბნებიან. ჯერ მხოლოდ მოარული ინფორმაციით, ერთ-ერთ პრეპარატზე თურმე მათ იცოდნენ, რომ ოთხ დღეში გამოდიოდა ორგანიზმიდან, მაგრამ 80 დღის შემდეგაც კი აღმოაჩნდათ მისი კვალი! სამწუხაროა სპორტსმენთა ასეთი თვითნებობა, მაგრამ კიდევ უფრო დამღუპველია, ამას ექიმებს რომ უმალავენ... მოსკოვის ზემოაღნიშნულ ტურნირზე გამგზავრებამდე ასე ვაიპროფესიონალებისგან დაიმედებულ ერთ-ერთ მოჭიდავეს ეყო გონიერება და ექიმები დაუკითხავად მიღებულ წამალზე გააფრთხილა... ვინაიდან იყო მისი ჩავარდნის საშიშროება, ის საერთოდ არ წაიყვანეს იმ შეჯიბრებაზე. ცოტა უფრო ადრე ანალოგიურად მოიქცა ერთი ძალზე პერსპექტიული ახალგაზრდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მოგვიტევეთ, თუ ახალგაზრდა კაცის ვინაობას პირდაპირ არ ვასახელებთ - მან მოინანია თავისი შეცდომა) და იმასაც გამოატოვებინეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი წინდახედულების მაგალითები ძალზე მცირეა.

უკვე ცნობილია ის ხალხი, ამ ბიჭებმა ვისი მეშვეობითაც გამოიწერეს წამლები. საინტერესოა, რომ ლაპარაკია ერთსა და იმავე დარბაზთან დაკავშირებულ ადამიანებზე - თურმე უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა იმ ჯგუფის მიერ გამოწერილი წამლებით სპორტსმენები დოპინგზე ჩავარდნენ. ჯერჯერობით ამ დარბაზის დასახელებისგანაც თავს შევიკავებთ, რადგან ოფიციალურად არავინ დაგვიდასტურა, თუმცა უახლოეს დღეებში (შესაძლოა, დღესვე) ამ თემაზე საგანგებო პრესკონფერენციაც იგეგმება და ვიმედოვნებთ, იქ ღიად იტყვიან ყველაფერს. სავარაუდოდ, ისინიც ისევე დაისჯებიან, როგორც - ძალოსნობის მწვრთნელები, როცა ამას წინათ მათი მთელი ნაკრები ჩავარდა დოპინგზე.

ერთი სიტყვით, მოსკოვის ის ტურნირი ყოველმხრივ უიღბლო აღმოჩნდა ჩვენთვის - ეს ორნი ხომ დოპინგზე გაიჭედნენ, ტურნირზე ნაუსვლელობისთვის **იაკობ მაქარაშვილი** (74), დაგვიანებით ჩასვლისთვის კი **დავით მარსაგიშვილი** (84) ძლივს გადაურჩნენ ექვსთვიან დისკვალიფიკაციებს ჩვენივე ფედერაციისგან. შეგახსენებთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა **ლუკა კურტანიძემ** მაშინ სათანადო ბრძანება გამოსცა კიდეც და პრესკონფერენციაზეც გააჟღერა, მაგრამ აღმასკომმა არ დაუმტკიცა. საბოლოოდ სპორტსმენებმა გაფრთხილება მიიღეს და კი გადარჩნენ, მაგრამ, ვეჭვობთ, ამჯერად ქართული ფედერაცია გადარჩეს. სამწუხაროდ, ეს არაა პირველი ანალოგიური შემთხვევა - ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ბესარიონ გუჩაშვილს** (55) ორწლიანი დისკვალიფიკაცია ზაფხულში, 27 ივნისს უმთავრდება; თან ამჯერად ლაპარაკია ერთბაშად ორ ფალავანზე და, სავარაუდოდ, გარკვეული სანქციები ფედერაციასაც დაეკისრება.

დასასრულს, ერთი გარემოებაც: დეკემბრის დასაწყისში ორივე დასჯილმა ფალავანმა იასპარეზა საქართველოს ჩემპიონატში. ედიშერაშვილი ჩემპიონი გახდა, არაბული კი მესამეზე გავიდა, თუმცა ეს ფაქტი ჩვენს ფედერაციას ნაკლად და ანტიდოპინგური კოდექსის დარღვევად არ ჩაეთვლება, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი პირველი ტესტის შედეგი.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა

# ოლიმპი ჩიტაშვილითა და ალხანაიძით გაძლიერდა



საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე „ოლიმპმა“ ერთი მოგებით მერვე ადგილზე დაასრულა. გარდა იმისა, რომ გუნდში ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობა იყო შეკრებილი, პირველ წრეში ვერ დაეხმარა ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი, რომელმაც სუპერლიგის დაწყებამდე, დუდუ დადიანის მემორიალზე, დისკვალიფიკაცია მიიღო.

მეორე წრიდან „ოლიმპი“ ერთი ორად გაძლიერდება, გარდა იმისა, რომ დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა მათიაშვილს, გუნდს დაემატა გამთამაშებელი **მიხეილ ჩიტაშვილი** და ცენტრი **ირაკლი ალხანაიძე.** სხვათა შორის, ალხანაიძე და მათიაშვილი პარალელურად სტუ-ს ღირსებას იცავენ საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაზე.

მიხეილ ჩიტაშვილის დარი გამოცდილი კალათბურთელი კი „ოლიმპის“ უკანა ხაზს ძალიან წაადგება. იგი ხომ საქართველოს სამგზის ჩემპიონია. მიშა მოედანს ნახევარსეზონიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

- სეზონის დასაწყისში მზადება „შსს აკადემიასთან“ ერთად დავიწყე, კონტრაქტიც მაკავშირებდა, თუმცა გუნდიდან გამომიშვეს. ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა კლუბების უმეტესობა დაკომპლექტებული იყო და ამიტომაც მომიწია უქმობა პირველ წრეში, - გვითხრა მიხეილ ჩიტაშვილმა.

**- „ოლიმპში“ რა მიზნებით მიხვედი?**

- გუნდი პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილშია, თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის მეორე წრიდან საჩუქარი არავისთვის იქნება. კარგი შემადგენლობა გვყავს და შედეგებიც უნდა გავაუმჯობესოთ.

**- დაბრუნდა რიჩარდ მათიაშვილი, დაემატა ალხანაიძე...**

- რიჩოსთან თსუ-ში ვთამაშობდი, ძალიან კარგი გუნდი გვყავდა. სუპერლიგაში მეტად გამოცდილი ცენტრია და „ოლიმპისთვის“ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, ისევე როგორც ახალწვეულ ირაკლი ალხანაიძეს. რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ გუნდის წარმატებისთვის.

16-წლამდელთა ნაკრები




# კადეტები თურქეთით იწყებენ

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები 2-დან 8 თებერვლის ჩათვლით თურქეთში, წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. თურქეთის კალათბურთის ფედერაციის ტრადიციულ ტურნირს საკალათბურთო წრეებში არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატს უწოდებენ.

თურქეთის ქალაქ საქარიაში 15 ქვეყნის ნაკრები მოიყრის თავს. უკვე შედგენილია ჯგუფები და კალენდარი. საქართველოსთან ერთად B ჯგუფში გერმანია, სლოვენია და შვედეთი მოხვდნენ. მასპინძლები 2 ნაკრებით იქნებიან წარმოდგენილნი. გთავაზობთ ტურნირის 4-ივე ჯგუფის შემადგენლობას:

**A ჯგუფი**
თურქეთი, რუსეთი, ბოსნია, ლატვია.

**B ჯგუფი**
გერმანია, სლოვენია, შვედეთი, **საქართველო.**

**C ჯგუფი**
სერბეთი, ჩერნოგორია, არგენტინა, ბულგარეთი.

**D ჯგუფი**
თურქეთი 2, საფრანგეთი, პოლონეთი, უკრაინა.

თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო მეოთხედფინალში გავა, ჩარჩენილი გუნდები კი მე-9-16 ადგილებს გაითამაშებენ. გთავაზობთ საქართველოს ნაკრების კალენდარს:

**2 თებერვალი**
შვედეთი-საქართველო 19:45

**3 თებერვალი**
საქართველო-გერმანია 19:45

**4 თებერვალი**
სლოვენია-საქართველო 17:30

*(მითითებულია თბილისის დრო)*

პლეი ოფის და პლეი აუტის თამაშები გაიმართება 6, 7 და 8 თებერვალს.

რა შემადგენლობით წავა საქართველოს ნაკრები თურქეთში, ამას მწვრთნელთა შტაბი გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყვეტს. გასულ დღეებში 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელთა შტაბში ცვლილება მოხდა. ნაკრებს შეემატა ახალი ასისტენტი მწვრთნელი **თემურ კანკია, გიორგი ნიკოლაძემ** კი 18-წლამდელებში აინაცვლა. 16-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად კვლავ **გია კაზანჯიანი** იმუშავებს, ისევე როგორც მისი ასისტენტი **ირაკლი ტომარაძე.**

gbf.ge




ქართველები ფინეთში



# მოგება ამერიკელთა ხარჯზე

ფინეთის პირველობაზე მეოთხე შეხვედრა მოიგო ლაპუას „კორიკობრატმა“, რომელშიც **გივი ბაქრაძე** და **არჩილ პულუზაშვილი** თამაშობენ. ლაპუელებმა „კატაიას“ აჯობეს - 91:79.

არჩილი სათადარიგო იყო და მოედანზე არ გამოჩენილა, გივიმ კი 3 წუთი ითამაშა და მატჩი 1 მოხსნით დაასრულა. მწვრთნელი ძირითადად ოთხ ამერიკელს დაეყრდნო, რომელთაგან ყველაზე ნაკლები, 33 წუთი **ჯეის პერიმ** ითამაშა. მატჩის ბომბარდირი 38 ქულით **კაილ ფოგი** გახდა, რომელიც შემდგომში ტურის საუკეთესო კალათბურთელადაც აღიარეს.

„კატაიას“ შემადგენლობაში 8 ქულა ჩააგდო ფინეთის ნაკრების ლიდერმა **ტეემუ რანიკომ.**

ქართველი ამერიკაში

# ფხაკაძის 7 ქულა და გამარჯვება იეზუიტებთან




ამერიკის სტუდენტური ლიგის მეორე დივიზიონში წარმატებით ასპარეზობს **ოთარ ფხაკაძის** „ფეირმონტ ფალკონსი“. ფეირმონტელებმა მორიგი გამარჯვება „უილინგ იეზუიტთან“ მოიპოვეს. წარმატება იოლად არ მოსულა, „ფალკონსმა“ მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში 80:74 დაამარცხა.

ქართელი გამთამაშებელი სათადარიგო იყო, მოედანზე 25 წუთი გაატარა და 7 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. ფხაკაძემ 3-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

მომდევნო შეხვედრა ფხაკაძის გუნდმა შინ „კონკორდთან“ ჩაატარა და 71:66 გაიმარჯვა. ეს არ იყო ოთარის გამორჩეული თამაში, მან 15 წუთში თითო ორქულიან-სამიანი სტყორცნა და მიზანშსი ვერ მოარტყა. მატჩი 2 მოხსნით დაასრულა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

საქართველოს ჩემპიონატი

# სეზონის პირველი ეტაპის შეჯამება

**„ლელო“**
**სტატისტიკური დოსიე**
**სატურნირო მდგომარეობა:** I
**მოპოვებული ქულები:** 44 ქულა (9 მოგება, 3 წაგება, 8 პრემიალური ქულა)
**გატანილი ქულები:** 317 (26,4 საშუალოდ მატჩში)
**გაშვებული ქულები:** 146 (12,1 საშუალოდ მატჩში)
**საუკეთესო მელელოვე:** ბაჩო კოლელიშვილი (5)
**საუკეთესო მექულე:** ირაკლი ყიასაშვილი (138)
**ბარათები:** ყვითელი (14), წითელი (1)

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატი უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. მიმდინარე პირველობას უკვე თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ საუკეთესო უკანასკნელ ათწლეულში. უმაღლესი ლიგის გუნდებმა რეგულარული გათამაშების 12 ტური განვლეს და ამჟამად ჩემპიონატი ზამთრის შესვენებაზეა გასული. ჩვენ საშუალება გვეძლევა ვისარგებლოთ ამით და შევაფასოთ, თუ როგორ განვლეს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი უმაღლესი ლიგის გუნდებმა.

**ლევან მაისაშვილის** გაწვრთნილი გუნდი საქართველოს მოქმედი ჩემპიონია და მათი მთავარი ამოცანა შარშან მოპოვებული ოქროს მედლების შენარჩუნებაა. „ლელოს“ თავის არსებობის ისტორიაში სამჯერ აქვს მოგებული საქართველოს ჩემპიონობა (2004, 2009, 2013), წინა ორ შემთხვევაში მათ ვერ დაიცვეს ტიტული, თუმცა ამჯერად მშვენიერი შანსი აქვთ, რათა გატეხონ ეს უსიამოვნო ტრადიცია.

„ლელომ“ XXIV ეროვნული ჩემპიონატი „ბოლნისის ყოჩებთან“ მატჩით გახსნა. შეხვედრის პირველმა ტაიმმა მოქმედ ჩემპიონთა სრული დომინაციით ჩაიარა და მათ ყველანაირ ასპექტში დაჯაბნეს მეტოქე 13:6, თუმცა მოულოდნელად შეხვედრის მეორე ტაიმში „ლელომ“ მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა და უკანასკნელი 40 წუთი 0:26 დათმო, რამაც განაპირობა კიდეც პირველი მარცხი - 13:32.

როგორც მაღალი კლასის მეტოქეს სჩვევია, „ლელომ“ მალევე შეძლო კონცენტრაციის მოკრიბვა და მომდევნო სამ მატჩში გამარჯვებები იზეიმა, ისე, რომ სამივე შეხვედრაში პრემიალური ქულა მიითვალა. თავდაპირველად ლევან მაისაშვილის გუნდი 42:6 გაუსწორდა „აკადემიას“, შემდეგ რუსთავის „ხარებს“ სძლია 37:16, რასაც „ბათუმის“ სტუმრად დამარცხება მოჰყვა 28:3. სამივე შემთხვევაში მოქმედმა ჩემპიონმა ლაღი და გაშლილი რაგბის დემონსტრირება მოახდინა, მშვენივრად ურთიერთქმედებდა შერკინება და უკანა ხაზი, გატანილ ლელოთა უმეტესობა კი გარემარბებზე მოდიოდა, რაც, რამდენად ბანალურიც არ უნდა იყოს, იშვიათობაა საქართველოს ჩემპიონატში.

მეხუთე ტურში „ლელო“ საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდა და მძიმე ბრძოლაში 20:14 გაიმარჯვა. შეხვედრის გმირი გახდა ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი,** რომელმაც დადებულ ლელოს გარდა, მეტოქეს 2-2 საჯარიმო-გარდასახვა გაუტანა და მოპოვებული 15 ქულით მნიშვნელოვნად განაპირობა საკუთარი გუნდის წარმატება.

მომდევნო შეხვედრის ჩატარებამ ლევან მაისაშვილის გუნდს საკმაოდ მომძლავრებულ „ჯიქებთან“ მოუწია. ამ შემთხვევაშიც გუნდის წარმატებას საფუძველი ფეხჩუბინ ყიასაშვილის ზუსტმა დარტყმებმა ჩაუყარა. „რიჟას“ გატანილი 4 საჯარიმო გადამწყვეტი გამოდგა მწირქულიან მატჩში 19:9. „ლელომ“ ოთხმატჩიანი მოგებათა სერიის წყალობით პირველად მოახერხა სატურნირო ცხრილს სათავეში ჩადგომოდა, თუმცა მომდევნო ტურის მატჩი მათ ქუთაისის „აიასთან“ უწევდათ იმერეთის დედაქალაქში.

მეშვიდე ტურის ცენტრალური შეხვედრა მოლოდინისამებრ უაღრესად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. „აია“ ცდილობდა მძიმე შერკინების წყალობით დაეჩაგრა მეტოქე, „ლელოელთა“ მთავარი კოზირი კი სისწრაფე იყო. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მატჩში მოქმედი ჩემპიონები გაცილებით უფრო დისციპლინირებულად გამოიყურებოდნენ, მორკინალთა აგრესიული თამაშის წყალობით არაერთხელ დააჯარიმებინეს მთავარ მსაჯს მასპინძლები მოლსა და რაქში, რითაც მშვენივრად ისარგებლა ირაკლი ყიასაშვილმა რომელმაც ერთბაშად 7 საჯარიმო გაუტანა ქუთაისლებს და პრინციპულ მეტოქესთან 21:7 მოაგებინა საკუთარ გუნდს.

„აიასთან“ ნათამაშები მძიმე მატჩის შემდეგ „ლელოს“ ჩემპიონობის კიდევ ერთ ფავორიტთან, „არმიასთან“ მოუწია დაპირისპირებამ, მატჩის მიმდინარეობისას აშკარად იგრძნობოდა მოქმედ ჩემპიონთა შორის დაღლილობა, რაც საბოლოო ჯამში გადამწყვეტი გამოდგა. „არმიამ“ მეტოქე 16:12 დაამარცხა და შეწყვიტა „ლელოს“ 7-მატჩიანი მოგებათა სერია.

სანაკრებო პაუზით გამოწვეული თითქმის ერთთვიანი პაუზის შემდეგ, ლევან მაისაშვილის გუნდს ძირითადი მგეზავი **ლაშა ხმალაძე** დაუბრუნდა, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით „ლელომ“ იოლად დაამარცხა „არმაზი“, რომელიც რამდენიმე ლიდერის გარეშე ასპარეზობდა - 28:3.

რეგულარული გათამაშების მეორე წრე ლელომ კვლავ „ყოჩებთან“ დაპირისპირებით გახსნა. ლევან მაისაშვილის გაწვრთნილებს პირველ ტურში ნაწვნევი მარცხისთვის რევანში სწყუროდათ და მათ ძალიან აქტიურადაც დაიწყეს მატჩი. პირველ ტაიმში მათთვის ხელსაყრელად ქროდა ქარი, რითაც მოქმედმა ჩემპიონებმა მშვენივრად ისარგებლეს და სოლიდური სათამაშო უპირატესობაც მოიპოვეს, რაც მალევე ანგარიშშიც ასახეს. შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთი რჩებოდა, „ლელოელთა“ უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა 27:10, თუმცა ბოლომდე მებრძოლმა „ყოჩებმა“ მცირე მოდუნება არ აპატიეს მეტოქეს, თითქმის შეუძლებელი შეძლეს და შეხვედრის დასკვნით 7 წუთში მეტოქე სამჯერ დაალელოვეს, რისი წყალობითაც დაუჯერებელი მატჩი მოიგეს 29:27 და აღორძინებულ სინსაც დაეუფლნენ. „ლელომ“ კი „ყოჩებისგან“ მეორე მარცხი იწვნია მიმდინარე სეზონში.

ზამთრის დიდ შესვენებამდე 2 ტური იყო დარჩენილი, „ლელოს“ ამჯერად აუტსაიდერებთან უწევდა დაპირისპირება. მოქმედმა ჩემპიონებმა ჯერ „აკადემია“ დაამარცხეს მშრალი ანგარიშით 32:0, რასაც რუსთავში „ხარებთან“ მიღწეული შთამბეჭდავი გამარჯვება მოჰყვა 38:8.

განვლილ 12 ტურში ლევან მაისაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა 3 მარცხი იწვნია და 9 მატჩში გაიმარჯვა, დაიმსახურა რვა პრემიალური ქულა, რამაც ჯამში 44 ქულა შეადგინა, რისი წყალობითაც „ლელო“ სატურნირო ცხრილს ლიდერობს და მშვენიერ შანსს ინარჩუნებს, რათა შეინარჩუნოს შარშან მოპოვებული ტიტული.



ლელოს საუკეთესო მექულე ირაკლი ყიასაშვილი

კალენდარი







# 2014 წლის სარაგბო კალენდარი

**2014 წლის დადგომასთან ერთად განახლდა ყველა წამყვანი ევროპული საკლუბო ჩემპიონატი და ტურნირი. საფრანგეთსა და ინგლისში ყველანაირი პაუზის გარეშე გრძელდება შიდა ჩემპიონატი, გასულ უქმეებზე კი „ჰაინეკენის თასის“ და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის მატჩები ჩატარდა. სანაკრებო ბატალიები ოდნავ მოგვიანებით, თებერვლიდან აიღებს სტარტს და კიდევ ერთი ძალიან საინტერესო სეზონი ელის რაგბის მოყვარულთ. გადავწყვიტეთ, დაწვრილებით მოგითხროთ მიმდინარე წლის სარაგბო კალენდარზე, რათა რაგბის ერთგულ გულშემატკივარს არ გამორჩეს არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა თუ მატჩი.**

**იანვარი** - ტრადიციულად არ ისვენებენ ბებერი კონტინენტის წარმომადგენლები და თითქმის პაუზის გარეშე მიმდინარეობს ინგლისისა და საფრანგეთის შიდა ჩემპიონატები, 17 და 18 იანვარს VI ტურის მატჩებით დასრულდება „ჰაინეკენის თასის“ და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ ჯგუფური ეტაპები და გამოვლინდებიან პლეი ოფში გამსვლელი გუნდები.

**თებერვალი** - პირველსავე რიცხვში ევროპის მასშტაბით შეწყდება საკლუბო მატჩები და მცირე ხნით სანაკრებო შეხვედრები ჩაანაცვლებს. 1 თებერვალს, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ საქართველოს ნაკრები ერთა თასის მატჩის რანგში ბელგიის ნაკრებს უმასპინძლებს, ერთი კვირის თავზე გასვლაზე პორტუგალიას დავუპირისპირდებით, ხოლო 22 თებერვალს ეროვნულ სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს ვმასპინძლობთ. თვის განმავლობაში განახლდება საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის მატჩები და XIII - XVII ტურის შეხვედრები ჩატარდა. ერთა თასის პარალელურად სტარტს აიღებს ექვსი ერის გათამაშება, აღსანიშნავია 1 თებერვალს გასამართავი საფრანგეთი-ინგლისის დაპირისპირება, 8 თებერვალს ირლანდია - უელსი, 21-ში უელსი - საფრანგეთის ჯახი, მომდევნო დღეს კი ინგლისი - ირლანდიის უშელავათო ბრძოლა.

14 თებერვლიდან სამხრეთ ნახევარსფეროშიც სტარტს იღებს ყველაზე ძლიერი საკლუბო ტურნირი „ზე რაგბი“, რომლის რეგულარული გათამაშება 12 ივლისამდე გასტანს.

**მარტი** - 1-2 მარტს 70-დღიანი პაუზის შემდეგ განახლდება საქართველოს XXIV ეროვნული ჩემპიონატი და თვის განმავლობაში XIII - XV ტურის შეხვედრები გაიმართება. I ლიგის გათამაშებაში კი დასრულდება რეგულარული სეზონი და სტარტს აიღებს პლეი ოფის პირველი დაპირისპირებები.

სანაკრებო დონეზე საქართველო 8 მარტს სტუმრად ესპანეთის ნაკრებს დაუპირისპირდება, ხოლო ერთი კვირის შემდეგ მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონზე რუმინეთის ნაკრების მასპინძლობით დავასრულებთ ერთა თასის 2014 წლის გათამაშებას. პარალელურად დასრულდება 6 ერის გათამაშებაც: 9 მარტს ინგლისი - უელსია, ხოლო უკანასკნელი ტურის ცენტრალური დაპირისპირება 15-ში შედგება საფრანგეთი - ირლანდია.

**აპრილი** - საქართველოს უმაღლეს ლიგაში ჩატარდება XVI-XVIII ტურის შეხვედრები, რითაც დასრულდება რეგულარული გათამაშება. I ლიგაში გაიმართება პლეი ოფის დაპირისპირებები და გამოვლინდება ჩემპიონი, რომელიც მომდევნო სეზონში ავტომატურად მიიღებს უმაღლესი ლიგის საგზურს (26-27 აპრილი). 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (10-20 აპრილი, პოლონეთი)

ორთვიანი პაუზის შემდეგ განახლდება ევროპული საკლუბო ტურნირები. „ემლინ ჩელენჯ კაპის“ პლეი ოფი 3-27 აპრილი. 5-6 მარტს შედგება „ჰაინეკენის თასის“ მეოთხედფინალური დაპირისპირებები, ხოლო 26-27-ში ნახევარფინალური ეტაპი.

**მაისი** - თვის დასაწყისში სტარტს აიღებს უმაღლესი ლიგის პლეი ოფები, ხოლო 24 მაისს, ფინალურ მატჩში გამოვლინდება საქართველოს ჩემპიონი. 11-18 მაისს გასავარდნ პლეი ოფში, ორრაუნდიან მატჩში უმაღლესი ლიგის საგზურისთვის დაუპირისპირდებიან პირველი ლიგის II ადგილოსანი და უმაღლესი ლიგის IX ადგილოსანი.

შედგება საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის პლეი ოფი. მეოთხედფინალები 9-10 მაისი, ნახევარფინალები 16-17 მაისი; ფინალი - 31 მაისი.

ინგლისის „ავივა პრემიერშიფის“ ნახევარფინალები 16-17 მაისი, ფინალი - 31 მაისი („თვიქნემი“, ლონდონი)

23 -ში გაიმართება „ემლინ ჩელენჯ კაპის“ ფინალური დაპირისპირება, რომელსაც კარდიფის „არმს პარკი“ უმასპინძლებს.

24 აპრილს კარდიფის „მილენიუმზე“ შედგება „ჰაინეკენის თასის“ ფინალური მატჩი.

**ივნისი** - ივნისის დასაწყისში საქართველოს დედაქალაქში გაიმართება საერთაშორისი ტურნირი „თბილისის თასი 2014“ (7-21 ივნისი), რომელშიც „ბორჯღალოსანთა“ გარდა მონაწილეობას მიიღებენ არგენტინის და იტალიის A ნაკრებები, ტურნირის მეოთხე მონაწილის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

**ივლისი** - ზე რაგბის ჯგუფური ეტაპის დასასრული (12 ივლისი), მეოთხედფინალური მატჩები (18-19 ივლისი), ნახევარფინალური დაპირისპირებები (25-26 ივლისი).

2-20 ივლისს ახალ ზელანდიაში გაიმართება იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტესტ მატჩთა რანგში ახალი ზელანდია 7, 14 და 21 ივლისს უმასპინძლებს ინგლისს, ხოლო სამხრეთ აფრიკა 7-ში და 14-ში ორჯერ დაუპირისპირდება უელსს, 28 ივნისს კი შოტლანდიას უმასპინძლებს.

**აგვისტო** - მსოფლიო თასი (1-17 ქალები, საფრანგეთი); ზე რაგბის ფინალური მატჩი (2 აგვისტო); ოთხი ერის გათამაშების სტარტი (14 აგვისტო - 4 ოქტომბერი); საფრანგეთის ჩემპიონატის სტარტი (17 აგვისტო). საქართველოს პირველი ლიგის გათამაშების სტარტი (30-31)

**სექტემბერი**: საქართველოს XXV ეროვნული ჩემპიონატის სტარტი (6-7 სექტემბერი); ინგლისის „ავივა პრემიერშიფის“ სტარტი (13-14);

**ოქტომბერი:** საქართველოს ჩემპიონატი V- IX ტურები; I ლიგა - VI - X ტურები.

**ნოემბერი:** საქართველოს პირველი ლიგა: VIII - X ტურები ; ტესტ მატჩები - 8 ნოემბერი: ინგლისი - ახალი ზელანდია; ირლანდია - ს.აფრიკა; უელსი - ავსტრალია; 15 ნოემბერი: ინგლისი - ს. აფრიკა; შოტლანდია - ზელანდია; უელსი - ფიჯი; ირლანდია - საქართველო (სავარაუდოდ). 22 - ინგლისი - სამოა, ირლანდია - ავსტრალია; უელსი - ზელანდია;

**დეკემბერი**: საქართველოს ჩემპიონატი VII-XII ტურები; I ლიგა - X -XIII ტურები

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბარბაქაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# პირველი სლემის პირველი დღე

## ავსტრალიის ღია პირველობის პირველმა დღემ მამაკაცებს შორის კანონზომიერად ჩაიარა, ქალებში კი რამდენიმე სენსაცია მოხდა...

### დღის სენსაცია

ყველაზე ხმაურიანი სენსაცია იყო **პეტრა კვიტოვას** მარცხი ტაივანელ **ლუკსიკა კუმხუმთან**, რომელმაც შარშან, პირველ წრეში **სოფია არვიდსონი** დაამარცხა. ეს იყო მისი პირველი მოგება WTA-ის ტურში. ახლა კი 20 წლის ჩოგბურთელი, რომელიც მსოფლიოს 88-ე ჩოგანია, ახალ დონეზე გავიდა. ის არ შეუშინდა უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონს და მოიგო პირველი სეტი, მაგრამ მეორეში პეტრა გონს მოვიდა და ძალიან იოლად გაათანაბრა ანგარიში. ეს თითქოს გარდატეხა იყო, მაგრამ კუმხუმმა კვლავ შემოაბრუნა თამაში თავის სასარგებლოდ. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ კვიტოვა ცუდად თამაშობდა. უბრალოდ, ტაივანელი იყო კარგი. მის დარტყმებს ძალა არ ჰყოფნიდა, სამაგიეროდ, ლუკსიკა გონებით მუშაობდა, კორტზე დაარბენინებდა მეტოქეს და პეტრას შეცდომების დაშვებას აიძულებდა. მატჩზე ჩანოდებისას, კუმხუმი ანერვიულდა, ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და წააგო საკუთარი გეიმი, მაგრამ იქვე მოახერხა კონცენტრაცია და ბრეიკით დაასრულა მატჩი.

### დღის დეჟავიუ

ქალთა ბადეში განთესვის მაღალი ნომრის მქონე კიდევ რამდენიმე ჩოგბურთელი გამოეთიშა ბრძოლას, მათ შორის, **სარა ერანი**, რომელსაც მელბურნში დეჟავიუ ჰქონდა, რადგან ზედიზედ მეორედ გამოეთიშა პირველივე წრიდან ავსტრალიის ღიას.

**ჯულია გორგესი** დიდი ხანია შორს არის ოპტიმალური ფორმისგან, მაგრამ ერანისთან ბრწყინვალედ ითამაშა. გერმანელმა 39 „ვინერსი" მიითვალა, იტალიელმა კი მხოლოდ ექვსი ქულა აიღო აქტიური მოქმედებით. გორგესს შეცდომაც მეტი ჰქონდა, მაგრამ არა იმდენად, რომ თამაშის გადარჩენა მოეხერხებინა. აპენინელი ძალიან ულიმღამოდ გამოიყურებოდა და მეტოქის შეტევებს ვერაფერი მოუხერხა - 3:6, 2:6.

### დღის სტარტი

**სერენა უილიამსმა** დამაჯერებლად დაამარცხა ავსტრალიური ჩოგბურთის იმედი, 17 წლის **ეშლი ბარტი**. უაილდ-ბარდის მფლობელს წილისყრის მხრივ არ გაუმართლა და პირველ რაუნდში უშანსოდ იყო. მას მხოლოდ იმაზე უნდა ეზრუნა, რომ მაქსიმალურად კარგი თამაში ეჩვენებინა. ბარტი ამ ამოცანას გაუმკლავდა და, ასე თუ ისე, ღირსეულად გამოიყურებოდა. ცალკეულ შემთხვევებში კარგი კონტრშეტევები გამოსდიოდა და აპლოდისმენტებიც ხშირად დაიმსახურა. თუმცა სერენა საკუთარ მოწოდებაზე შანსს არ უტოვებდა ავსტრალიელს, ამიტომაც მთელი მატჩი ნერვიულობის საბაბი არ ჰქონია. ამერიკელი კარგად აკონტროლებდა შეხვედრას და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია - 6:2, 6:1.

სერენასგან განსხვავებით, პირველი რაუნდის ბარიერი ვერ გადალახა **ვინუს უილიამსმა**. ის რუს განთესილ **ეკატერინა მაკაროვას** ხვდებოდა და ახლოსაც იყო მოგებასთან, მაგრამ 3:0-დან წააგო გადამწყვეტი სეტი, როცა მეტოქეს შვიდიდან ექვსი გეიმი აალებინა.

### დღის სტაბილურობა

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ზედიზედ 22-ე მატჩი მოიგო ტურნირზე. მელბურნის მთავარ კორტზე მან სამ სეტში მოუგო **ლუკაშ ლაჩკოს**. სლოვაკმა მაქსიმალურად მოინდომა: პირველ სეტში ერთი ბრეიკი ჰქონდა, მეორეში ტაი-ბრეიკამდე მიაღწია, მესამეში კი... არაფერი გამოუვიდა. შარშან, აშშ-ის ღიას ფინალის წაგების შემდეგ, ჯოკოვიჩი ზედიზედ 26 მატჩია არ მარცხდება.

### დღის შემობრუნება

ალბათ, ასეთი მომენტების გამო ველოდებით „დიდი სლემის" ტურნირებს. ადგილობრივი პუბლიკა თითქმის დარწმუნებული იყო იმაში, რომ მსოფლიოს 321-ე ნომერი **ჯორდან ტომპსონი** შეძლებდა პატარა სასწაულის მოხდენას და პოლონელი **იერჟი იანოვიჩის** შეჩერებას. ავსტრალიელს პირველ ორ სეტში აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მხოლოდ შვიდი უნებლიე შეცდომა დაუშვა, იმ დროს, როცა პოლონელი 29-ჯერ შეცდა. მიუხედავად ამისა, იუნიორმა სასწაული ვერ მოახდინა. იანოვიჩმა ხელთ იგდო ინიციატივა და ყოველი გეიმის შემდეგ სულ უფრო უკეთ თამაშობდა, ტომპსონმა კი ვერაფერი აჩვენა მეოთხე და მეხუთე სეტებში. მიუხედავად ამისა, მისი დებიუტი „დიდ სლემზე" დიდი ხანი დაამახსოვრდებათ ჩოგბურთის მოყვარულებს.


პეტრა კვიტოვა

### დღის რევანში

ერთი კვირის წინ, ჰობარტის ტურნირზე **სამანტა სტოსური კლარა ზაკოპალოვასთან** დამარცხდა და გუშინ, რევანში მართებდა. ავსტრალიელმა თავიდანვე ბრეიკი გააკეთა და პირველი სეტი მოიგო, მეორეში კი მოდუნდა და მეტოქეს 4:1 დაწინაურების საშუალება მისცა, მაგრამ, როცა მესამე პარტია გარდაუვალი ჩანდა, ჩეხმა თამაშზე კონტროლი დაკარგა, რითაც სტოსურმა კარგად ისარგებლა და ბოლო ხუთი გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

### დღის განადგურება

ავსტრალიის ღიას ორგზის ფინალისტი **ნა ლი** ერთი ამოსუნთქვით გაუსწორდა ავსტრალიის ღიას ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეს, ხორვატ **ანა კონიუხს**. 16 წლის ჩოგბურთელი სრულიად უმწეო იყო გამოცდილი ჩინელის წინააღმდეგ. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ლიმ ამ მატჩში 61 ქულა აილო, მისმა მეტოქემ - მხოლოდ 36.

თუ შარშანდელი ფინალისტისგან ასეთი დამარჯერებელ გამარჯვებას ყველა ელოდა, გასაკვირი იყო **ანიკა ბეკის** „მშრალი" ანგარიშით მოგება **პეტრა მარტიჩის** წინააღმდეგ. 19 წლის გერმანელმა არც ერთი გეიმი არ გაიმეტა მეტოქისთვის, არადა, ორი ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა მას. საბოლოოდ, მარტიჩის ანგარიშზე მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 12 ქულა იყო.

### დღის რიცხვი

26 წელი და 5 თვე - სწორედ ამდენი წლის იყო იაპონელი **კიმიკო დატე**, როცა მისი გუშინდელი მეტოქე **ბელინდა ბენჩიჩი** მოევლინა ამ ქვეყანას. იმ მომენტისთვის, დატემ მოასწრო WTA-ის რვა ტიტულის მოგება, „დიდი სლემის" ტურნირების სამ ნახევარფინალში თამაში, მსოფლიოს რეიტინგის მეოთხე საფეხურზე ყოფნა და კარიერის დასრულება. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა შვეიცარიელი ამომავალი ვარსკვლავისთვის: 16 წლის ჩოგბურთელმა, რომელმაც გასულ სეზონში იუნიორების როლან გაროსი და უიმბლდონი მოიგო, სამ სეტში - 6:4, 4:6, 6:3 გაიმარჯვა.

# ციფრები ლაპარაკობენ

## ავსტრალიის ღია პირველობის სტარტის წინ, ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე საინტერესო სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნდა...

### რაფაელ ნადალი (ესპანეთი, 1)

- ავსტრალიის ღიაზე გამარჯვების შემთხვევაში, **ნადალი** გახდება ერთადერთი ჩოგბურთელი „ღია ერაში", ვინ მინიმუმ ორჯერ გაიმარჯვებს „დიდი სლემის" ყველა ტურნირზე.

- გარდა ამისა, მოგების შემთხვევაში, ნადალი „დიდი სლემის" მე-14 ტიტულს მოიპოვებს. ასე რომ, ესპანელი ამ მაჩვენებლით **პიტ სამპრასს** გაუტოლდება და მასზე წინ მხოლოდ **როჯერ ფედერერი** იქნება.

- რაფაელ ნადალს შეუძლია მოიგოს ავსტრალიის ღია პირველობა ამ ტურნირზე პირველი გამარჯვებიდან ხუთი წლის თავზე. ბოლოს ასეთი რამ **ანდრე აგასიმ** შეძლო, ვინც 1995 წელს მოიგო ტურნირი და ეს მიღწევა 2000 წელს გაიმეორა.

### ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, 2)

- **ნოვაკ ჯოკოვიჩი** შეიძლება გახდეს პირველი ჩოგბურთელი, ვისაც ავსტრალიის ღია პირველობა „ღია ერაში" ხუთჯერ ექნება მოგებული. ასევე ოთხ-ოთხი გამარჯვებაა აგასისა და ფედერერის ანგარიშზე.

- ჯოკოვიჩს ზედიზედ სამჯერ (2011-13) აქვს მოგებული ავსტრალიის ღია პირველობა, რაც „ღია ერაში" არავის გაუკეთებია.

- მორიგი წარმატების შემთხვევაში, ჯოკოვიჩს ხუთი გამარჯვება ექნება შვიდ სეზონში (71.4 პროცენტი).

### ენდი მარეი (ბრიტანეთი, 4)

- **ენდი მარეის** ავსტრალიის ღიას სამ ფინალში აქვს მიღებული მონაწილეობა (2010, 2011, 2013). მან სამივე გადამწყვეტი მატჩი წააგო.

- ავსტრალიის ღიას ფინალში კიდევ ერთი წაგების შემთხვევაში, მარეი დაამყარებს ანტირეკორდს. ის იქნება „ღია ერაში" ერთადერთი ჩოგბურთელი, ვინც ოთხჯერ წააგო ამ ტურნირის ფინალი.

- **ფრედ პერი** 1934 წელს გახდა ბოლო ბრიტანელი, ვინც ავსტრალიის ღიაზე მთავარი პრიზი მოიპოვა.

- მარეი შეიძლება გახდეს მეორე ბრიტანელი პერის შემდეგ, ვისაც „დიდი სლემის" სამი სხვადასხვა ტურნირი ექნება მოგებული.

### როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 6)

- როჯერ ფედერერმა „დიდი სლემის" ბოლო 15 ტურნირიდან მხოლოდ ერთი მოიგო. თუ ამ მონაკვეთამდე ბოლო 15 ტურნირს ავიღებთ, მის ანგარიშზე იყო 9 ტიტული (მათ შორის - ოთხი ავსტრალიის ღიაზე).

- წლევანდელი ტურნირის ფინალის დღეს, ფედერერი 32 წლის და 171 დღის იქნება. გამარჯვების შემთხვევაში, ის გახდება ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი, ვინც მთავარ პრიზს მიიღებს. **კენ როზუოლმა** ეს 37 წლისა და 67 დღის ასაკში მოახერხა (1972), აგასიმ - 32 წლისა და 272 დღის ასაკში (2003).

- გასულ სეზონში ფედერერმა ATP-ის მხოლოდ ერთი ტურნირი მოიგო (ჰალეში). ეს მისი უარესი შედეგია 2001 წლის შემდეგ, როცა ასევე ერთი გამარჯვება ჰქონდა.

- წელს, ფედერერს მხოლოდ ერთი მოგება სჭირდება **ივან ლენდლის** რეკორდის გასამეორებლად - მინიმუმ ერთი ტიტული ზედიზედ 14 წლის განმავლობაში.

### სერენა უილიამსი (აშშ, 1)

- **სერენა უილიამსი** შეეცდება განაახლოს მისივე რეკორდი „ღია ერაში" ავსტრალიის ღია პირველობაზე მოპოვებული ტიტულების რაოდენობით. ამერიკელი წელს მეექვსე მოგებისთვის იბრძოლებს.

- სერენას ასევე ხუთ-ხუთჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი და აშშ-ის ღია. ავსტრალიაში წარმატების შემთხვევაში, ეს ტურნირი მისთვის ყველაზე წარმატებული იქნება.

- უმცროსმა უილიამსმა უკვე მოიპოვა „დიდი სლემზე" ტიტულების სარეკორდო რაოდენობა (10) ჰარდის საფარზე („ღია ერა"). ამერიკელის შემდეგ მოდიან **შტეფი გრაფი** (9) და **მონიკა სელეში** (6).

- ავსტრალიაში გამარჯვების შემთხვევაში, მსოფლიოს პირველ ჩოგანს „დიდი სლემის" 18 ტიტული დაუგროვდება. „ღია ერაში" უფრო მეტი მოგება მხოლოდ გრაფს აქვს (22).

### ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 2)

- **ვიქტორია აზარენკა** ეცდება ავსტრალიის ღიას ზედიზედ მესამედ მოგებას.

- „ღია ერაში" ზედიზედ სამჯერ ავსტრალიის ღია პირველობა მოგებული აქვთ: **მარტინა ჰინგისს** (1997-99), სელეშს (1991-93), გრაფს (1988-90), **ივონ გულაგონგსა** (174-76) და **მარგარეტ კორტს** (1969-71).

- ავსტრალიის ღია „დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირია, რომელშიც აზარენკას გაუმარჯვია.

### მარია შარაპოვა (რუსეთი, 3)

- **მარია შარაპოვა** ეცდება მოიგოს „დიდი სლემის" პირველი ტიტული მას შემდეგ, რაც 2012 წელს როლან გაროსზე გაიმარჯვა.

- შარაპოვას მოგებული აქვს „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირი, მაგრამ თითოეულზე მხოლოდ ერთხელ გაუმარჯვია.

- „დიდი სლემის" ყველა ტიტული შარაპოვამ ლუწ წლებში მოიგო (უიმბლდონი-2004, აშშ-ის ღია-2006, ავსტრალიის ღია-2008 და როლან გაროსი-2012).

- შარაპოვას სამჯერ უთამაშია ავსტრალიის ღიას ფინალში (2007, 2008, 2012). „დიდი სლემის" ყველა ტურნირიდან, რუსს ყველაზე მეტჯერ სწორედ ავსტრალიაში მიუღწევია ფინალამდე.

### ნა ლი (ჩინეთი, 4)

- ბოლო სამი სეზონის განმავლობაში, **ლიმ** ორჯერ მიაღწია ავსტრალიის ღიას ფინალამდე. ორივეჯერ მან თავის მეტოქეებთან სამ სეტში წააგო (**კიმ კლაისტერსთან** 2011 წელს და **ვიქტორია აზარენკასთან** 2013 წელს).

- ჩინელი შეიძლება გახდეს მეორე ჩოგბურთელი, ვისაც ავსტრალიის ღიას სამი ფინალი ექნება წაგებული. „ღია ერაში" ასეთი შედეგი მხოლოდ **ივონ გულაგონგს** ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### I წრე

#### კაცები

**ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ნედოვესოვი (ყაზ) 6:3, 6:4, 6:3; **დე სხეპერი (საფ)**-ვუ (ჩინ) 7:5, 7:5, 7:6(2); **ძუმჰური (ბოს)**- ჰაიეკი (ჩეხ) 6:4, 6:2, 6:1; **დოდიგი (ხორ, 32)**-კარლოვიჩი (ხორ) 7:6(8), 6:3, 7:6(4); **ანდერსონი (ს. აფრ, 19)**-ვესელი (ჩეხ) 2:6, 6:7(4), 6:4, 6:4, 6:4; **ტიემი (ავსტრა)**-სოუზა (პორ) 5:7, 6:4, 6:3, 7:6(3); **როჟე-ვასელენი (საფ)**-ბერლოკი (არგ) 6:4, 7:6(5), 6:7(9), 6:2; **გარსია-ლოპესი (ესპ)**-ჰაასი (გერ, 12) 7:5, 6:2 უარი; **იუჟნი (რუს, 14)**-შრუფი (გერ) 6:1, 6:4, 6:2; **ფ. მაიერი (გერ)**-კუდლა (აშშ) 6:4, 6:2, 6:4; **ანდუხარი (ესპ)**- რამოსი (ესპ) 6:4, 6:2, 6:4; **იანოვიჩი (პოლ, 20)**-ტომპსონი (ავსტრა) 1:6, 4:6, 6:4, 6:2, 6:1; **შარდი (საფ, 29)**-პუტა გალუნგი (პოლ) 6:2, 6:4, 6:4; **დოლგოპოლოვი (უკრ)**-ბერანკისი (ლიტ) 7:5, 7:5, 6:2; **მანარინო (საფ)**-ჯონსონი (აშშ) 3:6, 6:3, 6:0, 5:7, 6:4; **ფერერი (ესპ, 3)**-გონსალესი (კოლ) 6:3, 6:4, 6:4; **ვავრინკა (შვეიც, 8)**-გოლუბევი (ყაზ) 6:4, 4:1 უარი; **ფალა (კოლ)**-კუკუშკინი (ყაზ) 6:7(2), 6:2, 6:2, 6:3; **ებდენი (ავსტრა)**-მაუ (საფ) 6:3, 7:5, 4:6, 0:6, 6:3; **პოსპიშილი (კან, 28)**-გროტი (ავსტრა) 6:4, 6:3, 6:4; **რობრედო (ესპ, 17)**-როსოლი (ჩეხ) 6:1, 6:7(7), 3:6, 7:6(5), 8:6; **ბენეტო (საფ)**-კარენო ბუსტა (ესპ) 6:3, 3:6, 4:6, 6:1, 6:2; **დავიდენკო (რუს)**-კუბოტი (პოლ) 2:6, 6:3, 3:6, 6:3, 6:4; **გასკე (საფ, 9)**-გუეზი (საფ) 7:5, 6:4, 6:1; **ფონინი (იტა, 15)**-ბოგომოლოვი (რუს) 6:3, 6:2 უარი; **ნიემინენი (ფინ)**-სელა (ისრ) 3:6, 7:6(3), 6:7(3), 6:3, 6:3; **კუერი (აშშ)**-ხირალდო (კოლ) 6:3, 6:2, 3:6, 7:6(3); **გულბისი (ლატ, 23)**-მონაკო (არგ) 1:6, 6:4, 7:6(4), 6:2; **ტურსუნოვი (რუს, 30)**-რასელი (აშშ) 6:2, 6:2, 6:3; **ისტომინი (უზბ)**-ბაღდატისი (კვიპ) 6:4, 7:5, 6:4; **ლ. მაიერი (არგ)**-მონტანესი (ესპ) 6:1, 6:3, 6:1; **ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ლაჩკო (სლოვაკ) 6:3, 7:6(2), 6:1.

#### ქალები

**ს. უილიამსი (აშშ, 1)**-ბარტი (ავსტრა) 6:2, 6:1; **დოლონცი (სერ)**-არუაბარენა (ესპ) 2:6, 6:2, 6:4; **კარ. პლიშკოვა (ჩეხ)**-პარმენტიე (საფ) 6:0, 6:1; **ჰანტუხოვა (სლოვაკ, 31)**-უოტსონი (ბრიტ) 7:5, 3:6, 6:3; **სტოსური (ავსტრა, 17)**-ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **პირონკოვა (ბულ)**-სოლერ ესპინოსა (ესპ) 6:3, 6:2; **ბეკი (გერ)**-მარტიჩი (ხორ) 6:0, 6:0; **ივანოვიჩი (სერ, 14)**-ბერტენსი (ჰოლ) 6:4, 6:4; **ჟენგი (ჩინ)**-ვინჩი (იტა, 12) 6:4, 6:3; **კისი (აშშ)**-მეირი (ავსტრია) 6:2, 6:7(8), 9:7; **დელაკუა (ავსტრა)**-ზვონარევა (რუს) 6:2, 6:2; **ფლიპკენსი (ბელ, 18)**-რობსონი (ბრიტ) 6:3, 6:0; **ბუშარი (კან, 30)**-ტანი (ჩინ) 7:5, 6:1; **რაზანო (საფ)**-ვან უიტვანკი (ბელ) 7:6(3), 7:6(3); **დევისი (აშშ)**-ვიკერი (აშშ) 6:3, 6:3; **გორგესი (გერ)**-ერანი (იტა, 7) 6:3, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 4)**-კონიუჰი (ხორ) 6:2, 6:0; **ბენჩიჩი (შვეიც)**-დატე (იაპ) 4:6, 6:4, 6:3; **ჰრადეცკა (ჩეხ)**-ვეკიჩი (ხორ) 6:3, 6:1; **საფაროვა (ჩეხ, 26)**-გლუშკო (ისრ) 7:5, 3:6, 6:1; **მაკაროვა (რუს, 22)**-ვ. უილიამსი (აშშ) 2:6, 6:4, 6:4; **ფალკონი (აშშ)**-მედინა გარიგესი (ესპ) 6:3, 6:1; **ნიკულესკუ (რუმ)**-პეერი (ისრ) 6:4, 6:1; **ლისიცკი (გერ, 15)**-ლუჩიჩი (ხორ) 6:2, 6:1; **კერბერი (გერ, 9)**-გაიდოშოვა (ავსტრა) 6:3, 0:6, 6:2; **კუდრიავცევა (რუს)**-გარსია (საფ) 6:2, 7:6(7); **ვიკმაიერი (ბელ)**-პფიცენმაიერი (გერ) 7:6(5), 6:3; **რისკე (აშშ)**-ვესნინა (რუს, 23) 6:2, 6:2; **პენეტა (იტა, 28)**-კადანტუ (რუმ) 6:0, 6:2; **პუიგი (პ-რიკო)**-ტატიშვილი (საქ) 6:2, 6:4; **ბარტელი (გერ)**-ჟანგი (ჩინ) 7:6(4), 6:3; **კუმხუმი (ტაილ)**-კვიტოვა (ჩეხ, 6) 6:2, 1:6, 6:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლავი ვეღარ ქაჩავს

„კლივლენდი“ არ მიიჩნეოდა „საკრამენტოსთან“ მატჩში აშკარა ფავორიტად, მაგრამ იმასაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ **მაიკ ბრაუნის** შეგირდები ასე განადგურდებოდნენ „მეფეების“ წინააღმდეგ. მით უმეტეს, რომ პირველი ტაიმის სირენასთან ერთად **სი ჯეი მაილზის** მიერ ცენტრიდან ჩაგდებული ბურთით, „კავალერებმა“ პირველი ნახევარი ორი ქულით მოიგეს. პრაქტიკულად, შეხვედრის ბედი მესამე მეოთხედის შუა ნაწილში გადაწყდა, როცა **მაიკ მელოუნის** გუნდმა 16:0 სპურტი მოაწყო და სტუმრებმაც საბოლოოდ ჩამოუშვეს ხელები. კალიფორნიელებმა კი ტემპი არ დააგდეს და 44 ქულით მოიგეს, რაც მიმდინარე რეგულარულში სარეკორდო სხვაობაა.

მატჩის ანტიგმირი აღმოჩნდა „კლივლენდის“ ლიდერი **კაირი ირვინგი**, რომელმაც 14-დან 11 ბურთი ააცილა და აგრეთვე, თავი ვერ გაართვა აიზია ტომასის მეურვეობას. ამ უკანასკნელმა 26 ქულა ჩაიწერა აქტივში. ამასობაში კი „კინგზის“ მოგებათა სერიამ სამ მატჩს მიაღწია. ასეთი შედეგი კალიფორნიის დედაქალაქის გუნდს 2012 წლის დეკემბრის შემდეგ არ ჰქონია.

■ ■ ■

საკადრო პრობლემები არ ელევა „ატლანტას“. **ელ ჰორფორდის** სეზონის ბოლომდე დაკარგვის შემდეგ, ახლა, „ჰოქსს“ **პერო ანტიჩიც** გამოაკლდა, რითაც „მემფისთან“ გასვლით მატჩში უშანსოდ ჩანდა. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა ბოლომდე იბრძოლეს, მესამე და მეოთხე მეოთხედების მიჯნაზე 13-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მოგებისთვის. დასკვნით 12-წუთეულში ბრწყინვალედ ითამაშა **მაიკ კონლიმ**, რომელმაც დროის ამ მონაკვეთში 8 ქულა და 6 შედეგიანი პასი მიითვალა.

■ ■ ■

**ნიკოლა პეკოვიჩის** გარდა, „მინესოტას“ სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა ჩააგდო „სან ანტონიოსთან“ შეხვედრა. **რიკი რუბიომ, კევინ მარტინმა, კორი ბრიუერმა** და **კევინ ლავმა** 39-დან მხოლოდ 9 ბურთი მოათავსეს კალათში. ჩერნოგორიელმა ცენტრმა 22 ქულა დააგროვა და მინი-დუელი მოუგო **ტიმ დანკანს**, მაგრამ სათანადო დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო შარშანდელი ფინალისტის დამარცხება. განსაკუთრებით უცნაურია **კევინ ლავის** ცუდი თამაში. ვარსკვლავურმა მძიმე ფორვარდმა ძალიან მოუკლო, ბოლო სამ მატჩში ვერც ერთხელ ვერ დააგროვა 20 ქულა და 44 ცდიდან მხოლოდ 13 ბურთი ჩააგდო.

„სან ანტონიომ“ კი არ შეიმჩნია **მანუ ჯინობილისა** და **ტიაგო სპლიტერის** არყოფნა და შესანიშნავი გუნდური თამაში შემოგვთავაზა. ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ 10 ქულა, რეზერვისტებმა **ბონერმა** და **მილზმა** კი თითქმის უშეცდომოდ ისროლეს სამქულიანები (სულ „სპურსმა“ 13-დან 9 შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში).

**მემფისი-ატლანტა 108:101**

21:18, 27:23, 29:31, 31:29

მ: კონლი (21+13 პასი), რენდოლფი (18+12 მოხსნა), ლი (15), მილერი (15), კუფოსი (11), პრინსი (11).
ა: მილსეპი (21), ტიგი (20), კეროლი (15), სკოტი (15).

**საკრამენტო-კლივლენდი 124:80**

30:32, 29:18, 30:11, 35:19

ს: ტომასი (26), გეი (20), კაზინსი (16+11 მოხსნა), ფრედეტი (13), უილიამსი (13), ტომპსონი (8+16 მოხსნა).
კ: მაილზი (14), დენგი (12), კლარკი (11), ვარეჟაო (10).

**სან ანტონიო-მინესოტა 104:86**

28:21, 24:28, 29:22, 23:15

ს-ა: ლეონარდი (17), დანკანი (15), პარკერი (14+10 პასი), ბონერი (14), ბელინელი (13), მილსი (10).
მ: პეკოვიჩი (22), ლავი (14), შვედი (11).



კევინ ლავი

# ჩიკაგო ნოასაც უშვებს?



ჟოაკიმ ნოა

როგორც ჩანს, „ჩიკაგო ბულზი“ ახალი გუნდის მშენებლობას იწყებს. „ხარების“ გულშემატკივრები უკვე შეეგუენ **ლუოლ დენგის** „კლივლენდში“ გაშვებას და ახლა, ჰორიზონტზე გამოჩნდა ახალი უსიამოვნო ისტორია. სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვისთვის, კლუბმა მაღალანაზღაურებადი მოთამაშეების გაშვება დაიწყო. ახლა ჯერი **ჟოაკიმ ნოაზეა**.

ფრანგი ძალიან განაწყენებული იყო თავისი უახლოესი მეგობრის - დენგის გაცვლით, მაგრამ, ამჯერად, თავისი ბედით იქნება შეწუხებული (ან პირიქით, გახარებული). ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სად გაუშვებენ მას. „კლივლენდში“ გადასვლა თითქმის შეუძლებელია, რადგან ნოამ არაერთხელ დასცინა აქ ქალაქს და იქ ფრანგი არ უყვართ. სამაგიეროდ, როგორც ამერიკული პრესა წერს, „ფინიქსი“ მზად არის ქარიზმატული ცენტრისთვის კარგი კომპენსაცია გაიღოს. თუმცა ბოლომდე გასაგები არ არის, რაში სჭირდება „სანზს“ ასეთი ტრეიდი, როცა გუნდმა ახალგაზრდა მოთამაშეებისგან ახალი გუნდი ააშენა.

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ასტონ ვილა-არსენალი | 1:2 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კარლსრუე-ჰაიდენჰაიმი | 2:0 |
| შტუტგარტი II-ვილემი II | 0:0 |
| ალ ქუვეითი-ბაიერნი | 0:8 |
| ფრაიბურგი-ლასი | 2:0 |
| **იტალია** | |
| სამპდორია-უდინეზე | 3:0 |
| ინტერი-კიევო | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| ვილიარეალი-სოსიედადი | 5:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრესტი-ლანსი | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| კალონი-არისი | 3:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-ბოლუ | 2:1 |
| **კვიპროსი** | |
| ნეა სალამისი-ეთნიკოსი | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| ირონი (ძ-შ)-მაკაბი (თ-ა) | 3:1 |
| **აფრიკის თასი** | |
| **შესარჩევი** | |
| განა-კონგო | 1:0 |
| ლიბია-ეთიოპია | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| პო ორტეზი-შალონი | 67:81 |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-აპოლონი | 81:73 |
| **თურქეთი** | |
| ქონია-ეფესი | 76:72 |
| გალათასარაი-მერსინი | 85:60 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| სერბეთი-პოლონეთი | 20:19 |
| ხორვატია-ბელარუსი | 33:22 |
| საფრანგეთი-რუსეთი | 35:28 |
| შვედეთი-ჩერნოგორია | 28:21 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-ვიტიაზი | 1:0 |
| ცსკა-ამური | 3:0 |
| ატლანტი-ტორპედო | 4:5 |
| სკა-აკ ბარსი | 3:1 |
| დინამო (რ)-ადმირალი | 2:5 |
| ლევი-მეტალურგი (ნ) | 3:2 (ბ) |
| სლოვანი-სიბირი | 2:1 (ბ) |

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ავტოგოლი 56 მეტრიდან

უცნაურ ეპიზოდს ჰქონდა ადგილი „ჩიკაგოსა“ და „ედმონტონის“ შეხვედრაში. ჩიკაგოელმა ფორვარდმა **პატრიკ კეინმა** 56 მეტრიდან საკუთარ კარში გაიტანა შაიბა. კეინმა ავტოგოლი მეორე პერიოდის მე-12 წუთზე შეაგდო, როცა „ჩიკაგომ“ მეკარე წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით შეცვალა და რიცხვობრივი უპირატესობის გამოყენება სცადა.

ამ დროს ანგარიში იყო 2:1 „ბლეკჰოქსის“ სასარგებლოდ. ჩიკაგოელები შეტევაში იყვნენ. კეინმა მეტოქის ზონაში მიიღო შაიბა, უკან პასი გააკეთა, მაგრამ შაიბა ბარიერს მოხვდა და საბოლოოდ, „ჩიკაგოს“ კარში შეცურდა (NHL-ის ოფიციალური ვებგვერდის შეფასებით, კეინი საკუთარი კარიდან 56 მეტრში იმყოფებოდა). იმის გამო, რომ ჰოკეიში ავტოგოლები არ ფიქსირდება, ეს შაიბა „ედმონტონის“ მოთამაშეს **ბოიდ გორდონს** ჩაუთვალეს.

ავტოგოლის მიუხედავად, „ჩიკაგომ“ 5:3 მოიგო. „ბლეკჰოქსს“ 48 მატჩში 70 ქულა აქვს და დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზე იმყოფება. „ედმონტონმა“ 48 მატჩში 35 ქულა დააგროვა და დასავლეთში ბოლოსწინა მე-14 პოზიციაზეა.

**დალასი-აილენდერსი 2:4**

2:0, 0:1, 0:3

**გოლები:** 1:0 რეი უიტნი-5 (ჩიასონი-15, ფიდლერი-7), 2:0 გონჩარი-1, 2:1 ოკსოპო-18 (ვანეკი-23, ტავარესი-35), 2:2 ოკსოპო-19 (დე ჰაანი-4), 2:3 ტავარესი-21 (დე ჰაანი-5, ვანეკი-24), 2:4 ნელსონი-6 (ბეილი-11).

**რეინჯერსი-ფილადელფია 4:1**

3:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 კარჩილო-2, 2:0 რიკ ნეში-11 (კრაიდერი-15, მაკდონაჰი-19), 3:0 ბრასარი-8 (ზუკარელო-22, პულიო-9), 4:0 კრაიდერი-12 (ბ. რიჩარდსი-23), 4:1 შტრაიტი-6 (კუტურიე-12, ლეკავალიე-9).

**ვაშინგტონი-ბაფალო 1:2 (ბ)**

1:1, 0:0, 0:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ჩიმერა-8 (ჯ. უორდი-14, კერიკი-1), 1:1 ენისი-9 (ჰოჯსონი-12, ერჰოფი-14).
**ბულიტები გაიტანეს:** ჰოჯსონი (ბაფალო).

**ანაჰაიმი-დეტროიტი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 კოლიანო-15 (ს. კოივუ-10, პალმიერი-11).

**ნეშვილი-მინესოტა 0:4**

0:2, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰიტლი-9 (კოილი-9, რ. სატერი-25), 0:2 ცუკერი-3 (ჰიტლი-8, კოილი-10), 0:3 კუკი-6 (ფონტენი-5, ბროძიაკი-10), 0:4 სკანდელა-3 (ნიდერაიტერი-16, გრანლუნდი-16).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 3:2 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბოჟაკი-7 (კესელი-20, გლისონი-2), 1:1 ენრიკე-11 (ქლოუ-6, ენდი გრინი-16), 2:1 ვან რიმსდიკი-17 (ფრანსონი-19, კესელი-21), 2:2 ქლოუ-1 (ჟიდლიცკი-17, გელინასი-13).
**ბულიტები გაიტანეს:** ვან რიმსდიკი (ტორონტო).

**ჩიკაგო-ედმონტონი 5:3**

1:1, 3:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ჰემსკი-7 (პეტრი-8), 1:1 ბ. სმიტი-6 (ჰიალმარსონი-15, კრუგერი-15), 2:1 შოუ-12 (საადი-17, პ. კეინი-32), 2:2 ბ. გორდონი-8, 3:2 მარიან ჰოსა-17 (კიტი-41, პ. კეინი-33), 4:2 ტეივზი-17 (შარპი-24, მარიან ჰოსა-21), 4:3 ტ. ჰოლი-18 (შულცი-15, ჰემსკი-17), 5:3 სიბრუკი-6.



კეინის ავტოგოლი გორდონს ჩაუთვალეს

● ავტოსპორტი. დაკარი 2014

# ესპანური დუბლი დაკარზე

ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა რალი-რეიდი დაკარი და მეშვიდე ეტაპი ესპანელთა ორმაგი გამარჯვებით დასრულდა. საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე მოტოციკლებისა და ავტომბილების გზები გაიყო. მოტომრბოლელები ბოლივიაში გადავიდნენ, ავტომრბოლლები კი არგენტინაში დარჩნენ, რადგან ბოლივიის ვიწრო გზები მათთვის გაუვალი იქნებოდა. სხვათა შორის, დაკარი პირველად ჩავიდა ამ ქვეყანაში.

მოტოციკლების კლასში მესამე გამარჯვებას მიაღწია ესპანელმა **ხოან ბარედა ბორტმა** „ჰონდას“ მოტოციკლით. მან 400-კილომეტრიანი დისტანცია დაახლოებით 3.5 საათში დაფარა. ოთხი წუთი წააგო მასთან **მარკ კომამ** (KTM), რომელსაც შეუძლია დარჩენილ ეტაპებზე არ გარისკოს, რადგან გენერალურ კლასიფიკაციაში მისი უპირატესობა ნახევარ საათზე მეტს შეადგენს.

ავტომობილების კლასშიც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა. **ხოან ნანი რომა** ძალიან დამაჯერებლად ლიდერობს საერთო ჩათვლაში, ამიტომაც არ რისკავს და მეშვიდე ეტაპზე მხოლოდ მეოთხე მივიდა ფინიშთან. გამარჯვება



კი „ბაგით“ მოასპარეზე **კარლოს საინსმა** მოიპოვა. ამ ლეგენდარულ რალისტს თითქმის არ დარჩა „დაკარის“ მოგების შანსი, რადგან საათსა და 50 წუთს აგებს რომასთან. ამ უკანასკნელის ყველაზე სახიფათო მეტოქე მოქმედი ჩემპიონი, ფრანგი **სტეფან პეტერანსელია**. მან რომასთან ჩამორჩენას დაახლოებით წუთნახევარი ჩამოაკლო და ახლა, გენერალურ კლასიფიკაციაში 30 წუთზე ოდნავ მეტს აგებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ერთიანი ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# მხოლოდ პრესის იმედად



მიხაელ შუმახერი

კვლავინდებურად არანაირი ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს **მიხაელ შუმახერის** ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და გულშემატკივრები პრესის მიერ გავრცელებული დაუდასტურებელი ინფორმაციით „იკვებებიან".

გერმანული ტაბლოიდი „ბილდი" ეყრდნობა სამედიცინო წრეებში საკუთარი წყაროს ინფორმაციას და ამტკიცებს, რომ მიხაელის მდგომარეობა „სტაბილურია, მაგრამ კრიტიკული". მოკლედ, ახალი არაფერი.

გაზეთი წერს იმის შესახებ, რომ დღეისთვის ექიმები დაწვრილებით იკვლევენ შუმახერის ტვინის მდგომარეობას და იმის გარკვევას ცდილობენ, ტვინის რა ნაწილია დაზიანებული და რომელი ნაწილი ფუნქციონირებს ნორმალურად. ხელოვნური კომიდან გამოყვანის თარიღის შესახებ არაფერს იტყობინებიან, რადგან დიდია საფრთხე იმისა, რომ მოულოდნელი გართულებები წარმოიშვას.

*„ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის უნდა ველოდოთ ახალ ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამას შეიძლება რამდენიმე კვირა ან თუნდაც თვეები დასჭირდეს"*, - ასკვნის „ბილდი".

# ბატონმა მამა დაკარგა

გუშინ, ბრიტანულმა პრესამ გამოაცხადა „მაკლარენის" პილოტის **ჯენსონ ბატონის** მამის - **ჯონ ბატონის** გარდაცვალების შესახებ. უფროსი ბატონი 70 წლის იყო. ჯონი ახალგაზრდობაში თავად იყო პილოტი და რალი-კროსში გამოდიოდა. ის საფრანგეთში საკუთარ სახლში იპოვეს გარდაცვლილი.

*„სამწუხაროდ უნდა დავადასტუროთ, რომ ჯონ ბატონი საფრანგეთის სამხრეთით, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზი ინფარქტი გახდა. პირველმა ჯონის სხეული მისმა ახლო მეგობარმა აღმოაჩინა, რომელიც მას სტუმრად ეწვია"*, - წერია ჯენსონ ბატონის მენეჯმენტის განცხადებაში.

ჯონ ბატონი მუდმივად იმყოფებოდა ფორმულა 1-ის პადოკში მას შემდეგ, რაც მისმა ვაჟმა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სერიაში დაიწყო გამოსვლა.



მამა-შვილი ბატონები

ტრამპლინიდან ხტომა

# სოჭის შანსი გაჩნდა



ტომას მორგენშტერნი

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრიელი **ტომას მორგენშტერნი**, რომელიც ვარჯიშის დროს მიღებულ თავის ტრავმას მკურნალობს, ზალცბურგის ერთ-ერთ კლინიკაში კვირის ბოლომდე დარჩება. ამის შემდეგ, მას კლაგენფიურტის ბაზაზე გადაიყვანენ, სადაც აღდგენით კურსს გაივლის. ექიმებმა დამაიმედებელი პროგნოზები გააკეთეს, თუმცა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, როდის დაუბრუნდება მორგენშტერნი ვარჯიშებს.

*„ტომასი სტაბილურ მდგომარეობაშია და ჩვენ კმაყოფილები ვართ აღდგენითი პროცესი მიმდინარეობით*, - ამბობს მორგენშტერნის მკურნალი ექიმი **იოზეფ ობრისტი**. - *შეიძლება ითქვას, რომ ტვინში სისხლის ჩაქცევა და ფილტვის დაზიანება აღარ არსებობს.*

თავის მხრივ, ავსტრიის ნაკრების ექიმმა **იურგენ ბარტჰოფერმა** არ გამორიცხა, რომ ტომასმა მოასწრებს სოჭის ოლიმპიადისთვის გამოჯანმრთელებას.

*„დღეს მნიშვნელოვანია, რომ ტომასმა სრულად გაიაროს სარეაბილიტაციო კურსი*, - ამბობს ექიმი. - *მხოლოდ 14 დღის შემდეგ იქნება შესაძლებელი ზუსტად იმის თქმა, როგორ განვითარდება მისი საქმეები ამ სეზონში და მთლიანად კარიერაში".*

კრივი

# პაკიაო: ფლოიდთან ჩხუბი დაივიწყეთ

რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** განაცხადა, რომ ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერის** მიერ ბრძოლის ჩატარებაზე წამოყენებული ახალ-ახალი პირობები მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს - მეივეზერს არ სურს ეს შეხვედრა.



მენი პაკიაო

*„ისე ჩანს, რომ მეივეზერს არ სურს ჩემთან ჩხუბი და ჩვენ უკვე არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, მოლაპარაკებები ხან იწყებოდა, ხან მოულოდნელად წყდებოდა. ის უამრავ პირობას გვიყენებდა - დოპინგ-ტესტის გავლა, ჰონორარის გაყოფა და ა. შ. ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვიყავით, მაგრამ ფლოიდმა ზედმეტი მოინდომა. ახლა მას სურს, რომ მე გამოვეთხოვო ჩემს პრომოუტერს ბობ არუმს, მაგრამ ამის გაკეთება არ შემიძლია, რადგან ამით უხეშად დავარღვევ კონტრაქტის პირობებს.*

*მინდა განვაცხადო, რომ არ დავსდევ მეივეზერს. მასთან ჩხუბი მხოლოდ ფანებისთვის და მთლიანად სპორტისთვის მსურს. ყველას უნდა ამ ბრძოლის ხილვა. ეს ისტორიული მოვლენა იქნებოდა და მინდოდა კრივის ისტორიის ნაწილი გავმხდარიყავი"*, - განაცხადა პაკიაომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ფოტოებში



ტომაშ ბერდიხი

## დღის ერთგულება

პირველად დიდი ხნის შემდეგ, **როჯერ ფედერერი** ვერ მოხვდა პირველ ოთხ განთესილს შორის. შვეიცარიელის კარიერაში წარუმატებელი პერიოდის მიუხედავად, მას ავსტრალიაში კვლავაც ბევრი ფანი ჰყავს.

## დღის ხსოვნა

პირველ სათამაშო დღეს გაიმართა მცირე ცერემონია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როჯერ ფედერერმა და **ელი დრიუიტმა**. მაყურებელს წარუდგინეს **ბრედ დრიუიტის** ბიუსტი - ATP-ის პრეზიდენტი გასულ წელს გარდაიცვალა.



დღის ფანი

## დღის ფორმა

სასტარტო დღეს, სათამაშო ფორმით ყველაზე მეტად **ტომაშ ბერდიხი** დაგვამახსოვრდა. ხშირად ვერ ნახავთ ჩოგბურთელებზე ზოლებიან მაისურებს. თავისი ლურჯ-თეთრი მაისურით, ჩეხი არგენტინის ნაკრების ან „სოსიედადის" ფეხბურთელს მოგაგონებდათ, ოღონდ ზურგზე ნომერი არ ეწერა.

## დღის გულშემატკივარი

ორშაბათს მელბურნში ძალიან ცხელოდა, ასე რომ, მაყურებელი გაგრილების ნებისმიერ საშუალებას ეძებდა. დღეს, ჩოგბურთელებს უფრო მკაცრი გამოცდა ელით, რადგან ჰაერის ტემპერატურა 41 გრადუსს მიაღწევს.




ფედერერის ფანები



ბრედ დრიუიტის ბიუსტი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:40 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე

ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**